F75 N835

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—20.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ნიუ-იორკში დაარსდა პოლონეთის ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი.
— საპროტესტო დემონსტრაციები პრაღაში.
— ქვემო ავსტრიის ლანდტაგმა დაადგინა [illegible] საბჭოთა კავშირს კრედიტები.
— კანტონის არმიაში დაიწყო აჯანყება.
— ჰინდენბურგმა დაითხოვა რეიხსტაგი. — ახალი არჩევნები დანიშნულია 20 მაისისათვის.
— მორიგი სკანდალი პოლონეთის სეიმში.

კვირა, 1 აპრილი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 76 (2119)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
დღეს, 1 აპრილს, კანტორა ღია იქნება
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კომუნისტური ხელმძღვანელობა სამეურნეო მშენებლობაში

ეკონომიური კონტრ-რევოლუცია, რომელიც აღმოჩენილი იქნა დონბასის ერთ-ერთ რაიონში, სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, ჩვენს წინაშე აყენებს ერთ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანასაც. ეს არის კომუნისტური ხელმძღვანელობის საკითხი სამეურნეო მშენებლობის დარგში.

მკითხველი დღეს ჩვენს გაზეთში წაიკითხავს ცნობას იმის შესახებ, რომ პარტიის სათანადო ორგანოებმა უკვე განიხილეს შახტის რაიონში მომუშავე პასუხისმგებელ კომუნისტების საქმე და შესაფერი სასჯელი დაადეს მათ საბჭოთა მუშაობის ხაზით. რაც შეეხება მათ პარტიულ პასუხისმგებლობას, საკითხი ამის შესახებ ცალკე იქნება განხილული.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა პასუხისმგებლობას აკისრებს პარტია იმ თავის წევრებს, რომელნიც გაგზავნილნი არიან სამეურნეო ფრონტზე სამუშაოდ. პარტია კარგათ გრძნობს რამდენად რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა კომუნისტ სამეურნეო მუშაკებს, პარტია ნათლად ხედავს იმ ობიექტიურ ხასიათის სიძნელეებს, რომელთაც დაძლევა კომუნისტ სამეურნეო მუშაკებისაგან ხშირად ზეკაცურ თვისებებს მოითხოვს, მაგრამ ამასთან ერთად პარტია გადაჭრით და მთელი თავისი დისციპლინის სისასტიკით მოითხოვს სამეურნეო ფრონტზე გაგზავნილ კომუნისტებისაგან, რომ მათ შეიგნონ რა პასუხისმგებლობა ეკისრება თვითეულ მათგანს და აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნა გააკეთონ.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ძირფესვიანად აღმოიფხვრას ის ზერელე დამოკიდებულება საქმისადმი, რომელიც ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს ახასიათებს. ასეთ დამოკიდებულების გაძლიერებას ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ ზოგჯერ კომუნისტი სამეურნეო მუშაკები მთლიანად და სავსებით ეყრდნობიან ტეხნიკურ აპარატის მუშაობას და თავის არსებობას წარმოება-დაწესებულებაში უმთავრესად ფორმალურად აღნიშნავენ. იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფაქტიურად ჩვეულებრივ ზედამხედველის როლს ასრულებს, მუშაობას კი ხელმძღვანელობენ სხვები, საქმის მცოდნე სპეციალისტები. ეს კი ნიშნავს პარტიულ ხელმძღვანელობის ლიკვიდაციას ამა თუ იმ სამეურნეო ორგანიზაციაში.

ჩვენ ამ შემთხვევაში სრულიადაც არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ სპეციალისტების უმრავლესობის გულწრფელ და ენერგიულ მუშაობაში. ჩვენში უკვე შეიქმნა ძველი სპეციალისტების დიდი კადრები, რომელნიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული ჩვენთან და რომელნიც მუშაობენ არა შიშით, არამედ სინდისის ქვეშ. პარტია მოითხოვს კიდევ სამეურნეო მუშაკ კომუნისტებისაგან, რომ მან შექმნას სპეციალისტების ირგვლივ ამხანაგური მუშაობის პირობები და რაც შეიძლება მეტად მოიზიდოს ისინი საბჭოთა აღმშენებლობაში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ანთავისუფლებს კომუნისტ სამეურნეო მუშაკს პირადი პასუხისმგებლობისაგან.

პარტია ავალებს სამეურნეო დარგში სამუშაოთ გაგზავნილ კომუნისტს, რომ ის ნათლად ერკვეოდეს თავისი მეურნეობის ყველა ტეხნიკურ საკითხში, რომ ის არ მუშაობდეს მექანიკურად, არ წარმოადგენდეს ცოცხალ კონვეიერს, როგორც ეს ამხ. რიკოვმა მოსწრებულად აღნიშნა მე-15 ყრილობაზე, კონვეიერს, მექანიკურად რომ აწერს ხელს ყველა იმ ქაღალდებზე, რომელნიც მის საწერ მაგიდაზე გაივლიან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. იმისათვის, რომ კომუნისტ სამეურნეო მუშაკმა პირნათლად შეასრულოს პარტიის ეს სავალდებულო მოთხოვნილება, საჭიროა მას შეუქმნათ სათანადო პირობებიც. არ შეიძლება ამ შემთხვევაში უყურადღებოთ დავტოვოთ ერთი საზოგადო ხასიათის არანორმალური მოვლენა, რომელიც დიდი უარყოფით გავლენას ახდენს კომუნისტ სამეურნეო მუშაკების ტეხნიკურ კვალიფიკაციაზე. ჩვენ დღემდე არა გვაქვს მოწესრიგებული სამეურნეო მუშაკების რაციონალურად გამოყენების საქმე. პირველ ყოვლისა, საჭიროა მეტი ანგარიში გაეწიოს ამა თუ იმ ამხანაგის [illegible] თვისებებს, მის მომზადებას, გამოცდილებას, მოწოდებას და სხვა, როცა ის იგზავნება ამა თუ იმ სამეურნეო პოსტზე. ამასთან ერთად, რაც მთავარია, ბოლო უნდა მოეღოს სამეურნეო მუშაკ კომუნისტების დაუსრულებელ გადაყვან - გადმოყვანას ერთი დარგიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ასე შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის-თავად ცხადია, ჩვენ ვერ მოვითხოვთ მისგან საქმის სათანადოთ ცოდნის და დაკისრებულ მოვალეობისათვის სრულ პასუხისმგებლობას.

სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით განვითარება დამოკიდებულია არა მარტო საერთო ობიექტიურ ეკონომიურ პირობებისაგან, არამედ ამ აღმშენებლობის სწორ ხელმძღვანელობისაგანაც. ამ აზრით უნდა გაიმსჭვალონ ჩვენი სამეურნეო აპარატის ყველა უჯრედების ხელმძღვანელნი და მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა. შახტის კონტრრევოლუციის ისტორია ამას ერთხელ კიდევ მოგვაგონებს.

საფრანგეთის ავანტიურა საბჭოთა ოქროს საკითხში

საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის პრეტენზიას საბჭოთა ოქროზე, რომელიც გადაგზავნილია ნიუ-იორკში ამერიკელ ფირმებთან გასასწორებლად, როგორც ვიცით, ენერგიულად უჭერს მხარს საფრანგეთის მთავრობა, რომლის ელჩმა პოლ კლოდელმა სათანადო ნოტითაც კი მიმართა ვაშინგტონის მთავრობას. ჩვენს პრესაში უკვე აღნიშნულ იქნა ის გარემოება, რომ საფრანგეთის მთავრობის საქციელი, პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა მან საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის დროს. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს შევაფასოთ ბანკ დე ფრანსის და მის ზურგს უკან მდგომ პუანკარეს მთავრობის მოქმედება, როგორც იმის მაჩვენებელი, რომ საფრანგეთმა შეითვისა აშკარა ანტისაბჭოთა კურსი.

უნდა ითქვას, რომ ამ ახალი კურსის სიმპტომების დანახვა შეიძლება საფრანგეთის მთავრობის მთელ რიგ სხვა აქტებშიაც. საკმაოა გავეცნოთ საფრანგეთის კომპარტიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიის ხასიათს, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს კამპანია ესაჭიროება საფრანგეთის რეაქციონურ ბურჟუაზიას არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო მიზნებისთვისაც.

საფრანგეთის მთავარ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თეთრგვარდიელების მიერ „რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების" („როპიტ") გემების გატაცების საქმეზე, გადაწყვეტილება, მიმართული საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგ, წარმოადგენს დამატებით დამახასიათებელ ნიშანს იმ საერთო მტრული კურსისა, რომელიც ამჟამად აღებული აქვთ საფრანგეთის მმართველ წრეებს. უაღრესად დამახასიათებელია, რომ გერმანიასთან ეკონომიურ დაახლოების იდეას, რომელიც ამჟამად ძლიერ პოპულიარულია საფრანგეთის ბურჟუაზიის წრეებში, დაჰკრავს აშკარა ანტისაბჭოთა ელფერი.

არაფერი არ არის საკვირველი იმაში, რომ საფრანგეთის მთავრობას, ცდილობს რა ის საბჭოთა ოქროს ხელში ჩაგდებას, სურს გაადიდოს თავისი ოქროს მარაგი და ამავე დროს ლახვარი ჩასცეს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობას. რომ ეს სწორედ ასეა, ამას ადასტურებენ ამერიკის საქმიან წრეების უფრო ფხიზელი წარმომადგენლები. ბუნებრივია, რომ საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს და საბჭოთა სამეურნეო წრეებს აფიქრებს ის გარემოება, თუ როგორ განვითარდება შემდეგში ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა. „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა", რომელიც გამოხატავს საბჭოთა სამეურნეო მუშაკების ფართო წრეების აზრს, ფიქრობს, რომ შექმნილ პირობებში ამერიკასთან ვაჭრობის გაგრძელება და მით უმეტეს განვითარება უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს. საბჭოთა ეკონომისტები და სამეურნეო მუშაკები, როგორც მაგალითად, პროფესორი ტრახტენბერი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ში და სინჩუკი „იზვესტია"-ში, ამაოდ ცდილობენ გამოააშკარავონ ის ეკონომიური მიზეზები, რომლებითაც შეიძლებოდეს ამერიკის მთავრობის საქციელის ახსნა; ამერიკის მთავრობამ უარი განაცხადა საბჭოთა ოქროს მიღებაზე შეერთებულ შტატებში და მსვლელობა მისცა ბანკ დე ფრანსის სარჩელს. რა თქმა უნდა ეს პოლიტიკა მოკლებულია ყოველგვარ გონივრულ ეკონომიურ და მით უმეტეს იურიდიულ საფუძვლებს. ყოველგვარი დაბრკოლება ოქროს თავისუფალ ბრუნვისათვის საერთაშორისო ვაჭრობაში საზიანო იქნება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ინტერესებისათვის. ამას აღიარებს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ რეზერვო ბანკის დირექტორიც.

ვეძიებთ რა შეერთებულ შტატების მთავრობის პოზიციის ახსნას, ჩვენ ბუნებურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სიმძიმის ცენტრი აქ იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის მთავრობაზე პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენს საფრანგეთი, რომელიც ცდილობს თავის ავანტიურით ჩაშალოს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

„პრავდა"-ს პოლიტმიმომხილველიდან. 31 მარტი.

გაიხსნა პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია

პოლონეთის ოფიციოზი აცხადებს, რომ პოლონეთს არ სურს ტერიტორიალურ საკითხებზე ლაპარაკი

გერმანიის პრესის აზრით საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების განახლება მოსალოდნელია ივნისში

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

„გლოს პრავდა"-ს მოწინავე წერილი

ვარშავა, 30 მარტი. ოფიციოზი „გლოს პრავდა" მოწინავე წერილში პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების გამო სწერს:

„ლიტვას არ შეუძლია შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, თუ ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა არ შეინარჩუნა პოლონეთთან. მაგრამ ლიტვას ეხლა ისეთი ურთიერთობა აქვს სხვა სახელმწიფოებთან, რომ შეუძლებელია ლაპარაკი აღმოსავლეთ-ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებაზე. პოლონეთი კენიგსბერგში მიდის თავისი ნება-სურვილით და მზად არის მოისმინოს ლიტვის ყოველგვარი წინადადებანი, მაგრამ მას არა აქვს განზრახვა ილაპარაკოს ტერიტორიალურ საკითხებზე, რომლებიც საბოლოოდ არის გადაწყვეტილი საერთაშორისო ინსტანციების მიერ" (გაზეთს მხედველობაში აქვს ვილნოს ოლქის საკითხი.) (ადს)

პირველმა სხდომამ ვერ შეიტანა გარკვეულობა

კენიგსბერგი. 30 მარტი. პოლონეთ - ლიტვის კონფერენცია გახსნა სხდომამ, რომელიც დამთავრდა რეგლამენტის მიღებით, გარკვეულობა ვერ შეიტანა საკითხში კონფერენციის პროგრამის შესახებ. პოლონეთის დელეგაციის წრეები ცდილობენ გაართულონ ლიტველთა მდგომარეობა, ავრცელებენ რა ხმებს, რომ პოლონეთის დელეგაცია მზადაა მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდეს ტეხნიკურ საკითხებში. ასე მაგალითად, პოლონეთის დელეგაციის წრეებიდან, რომლებიც აქტიურ მუშაობას აწარმოებენ ევროპის და ამერიკის პრესის 70 სპეციალურ კორესპონდენტს (კენიგსბერგში) შორის, გამომდინარეობს ცნობა, რომ თუ ლიტველებს არ სურთ საფოსტო კავშირის აღდგენა პოლონეთთან, ვილნოსთან ერთად, იმ მოსაზრებით, რომ ეს იქნება ვილნოს პოლონეთთან შეერთების დადასტურება, ამავე დროს, პოლონელები მზად არიან შეუთანხმდნენ ლიტვას საბაჟო ტარიფის საკითხში.

რეგლამენტის შემუშავება

კენიგსბერგი, 30 მარტი. კენიგსბერგში ჩასვლისთანავე ზალესკიმ ინახულა ვოლდემარასი. მათი შეხვედრის შემდეგ გამოირკვა, რომ ორივე მხარე შეთანხმდა მოლაპარაკების რეგლამენტის შემუშავება მიანდონ კომისიას, რომლის შემადგენლობაში შევლენ: პოლონეთის ელჩი ბერლინში ოლშევსკი, პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორი გოლუვკო, ლიტვის ელჩი ბერლინში სიძიკაუსკასი და ლიტვის გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი საუნისი. კონფერენციის პროგრამის შემუშავება არ შეადგენს კომისიის ამოცანას. (ადს)

კენიგსბერგის კონფერენციის გახსნა

კენიგსბერგი, 30 მარტი. პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია გახსნა ვოლდემარასმა.

„კონფერენციის წინაშე მდგარი ამოცანა — განაცხადა ვოლდემარასმა —მდგომარეობს მშვიდობიანობის უზრუნველყოფაში, ვინაიდან გართულებას ევროპის ამ ნაწილში მეტად სერიოზული შედეგები შეუძლია გამოიწვიოს სხვა ქვეყნებისათვის, ამიტომ ერთა ლიგა შეუდგა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გარჩევას. კონფლიქტის გადაჭრის უნაყოფო ცდის შემდეგ ლიგამ ურჩია ლიტვას და პოლონეთს მოეწესრიგებიათ თავისი ურთიერთობა ისე, რომ უზრუნველეყოთ მშვიდობიანობა. ჩვენ არ დაგვიდგია პირობა, რომ მივაღწევთ საბოლოო გადაწყვეტილებებს და ვცდილობთ მხოლოდ გამომუშავებულ იქნეს შეთანხმების პირობები".

ვოლდემარასის საპასუხოთ, ზალესკიმ განაცხადა: „მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი მოლაპარაკებას თვალყურს ადევნებს არა მარტო ინტერესით, არამედ მოუთმენლადაც. იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ მივაღწევთ ნაყოფიერ შედეგებს".

შემდეგ კონფერენციამ მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული რეგლამენტი, რომლის თანახმად მოლაპარაკება წარმოებულ უნდა იქნეს ფრანგულ ენაზე (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის გარშემო

მოლაპარაკების განახლება მოსალოდნელია ივნისში

ბერლინი, 30 მარტი. ცენტრის პარტიის ორგანო „გერმანიის" პარიზელი კორესპონდენტი სთვლის, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკების განახლება ვალების შესახებ ივნისამდე არ არის მოსალოდნელი. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ნავთის იმპორტის მოწესრიგების შესახებ და ინციდენტი საბჭოთა ოქროს გარშემო მოწმობს, რომ პუანკარემ, როგორც ფინანსთა მინისტრმა საბჭ. კავშ. მიმართ დაიკავა იგივე პოზიცია, რომელიც მას უჭირავს გერმანიის მიმართ რეპარაციების საკითხში, რაც შეეხება მონზის ცნობილ გეგმას საფრანგეთ-გერმანიის მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირთან, კორესპონდენტის ცნობით, ორივე ქვეყნის დაინტერესებულ წრეებში ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მზადდება ზოგიერთი კონკრეტიული პროექტები. საფრანგეთში მეტად ძლიერია საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისათვის ბურჟუაზიული ქვეყნების მთლიანი ფრონტის დაპირდაპირების ტენდენცია(ადს).

რევოლიუციონური გზით

პრაღა, 30 მარტი. ირკვევა, რომ გარდა ცენტრისა, დიდი დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე პრაღის განაპირა უბნებში. ამ დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო იმ მუშათა მასებმა, რომელთაც პოლიციამ და ჟანდარმერიამ გზა გადაუღობა ცენტრისაკენ.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავოს" ცნობით, დემონსტრაციების მონაწილეთა საერთო რიცხვი 100 ათას კაცამდე აღწევდა.

საინტერესო ინციდენტი მოხდა მოედანზე, სადაც შემთხვევით იქ ყოფილი სეიმის ავტომობილი სახელდახელო ტრიბუნად გადაიქცა. ამ ავტომობილიდან სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტ-დეპუტატმა ზაპოტოცკიმ.

„რუდე პრავო" იუწყება, რომ ლუცოვის ქუჩაზე პოლიციამ სროლა აუტეხა მუშებს, რომლებიც მიტინგიდან ბრუნდებოდენ; დაიჭრა რამოდენიმე მუშა.

თითქმის მთელი პრესა აღნიშნავს დემონსტრაციების წარმატებით ჩატარებას. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკა თავის მოწოდებაში ამბობს: „29 მარტი უმნიშვნელოვანესი დღეა ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის ცხოვრებაში ვინაიდან ამ დღეს მთლიანმა ფრონტმა მოიპოვა ქუჩაზე არსებობის უფლება".

„მოითხოვეთ ჩეხო-სლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა ყრილობის მოწვევა!— ნათქვამია მოწოდებაში — მოიწვიეთ სარაიონო ყრილობები! ძირს ბურჟუაზიული მთავრობა! მოითხოვეთ ახალი არჩევნები!".

ახალი საპროტესტო მიტინგები დანიშნულია ორშაბათისთვის.. (ადს).

პოლონეთის ფაშიზმის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 30 მარტი. შეიქმნა პოლონეთის ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის მთლიანი ფრონტი, რომელმაც მუშათა ყველა ორგანიზაციებს და ლიბერალურ ჯგუფებს მიმართა მოწოდებით მოითხოვონ ბელორუსიის გრომადის ყველა დაპატიმრებულ წევრების და სხვა პოლიტიკურ პატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლება და პოლონეთის მთავრობის მიერ გრომადისა და მუშათა კლასის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციების დაკანონება.

კომიტეტი მოუწოდებს გაიღონ წვლილი გრომადის დაპატიმრებულ წევრთა და პოლონეთის ტერორის სხვა მსხვერპლთა დახმარების ფონდში.

კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: [illegible] წარმომადგენლები, [illegible] კავშირის, კანადის პროფკავშირების გაერთიანების, უორკერს პარტიის (კომუნისტური პარტია), უკრაინის, ბელორუსიის და ლიტვის ჯგუფებისა და „რუსსკი გოლოს"-ის და „ნოვი მირ"-ის წარმომადგენლები. (ადს).

საჩუქარი „დამსახურებისათვის"

ტოკიო, 30 მარტი. პოლონეთის წარმომადგენელმა იაპონიაში და პოლონეთის სამხედრო ატაშემ იაპონიის სამხედრო და საზღვაო სარდლობის გამოჩენილ პირებს ცერემონიალით გადასცეს პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენი „რუსეთ-იაპონიის და მსოფლიო ომში თავის გამოჩენისათვის". ცერემონიალს დაესწრო პრემიერი ტანაკა.

პოლონეთის სამხედრო ატაშემ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ „რუსეთ-იაპონიის ომმა მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერებას". (ადს).

მორიგი სკანდალი სეიმში

ვარშავა, 31 მარტი. 31 მარტს სეიმის დილის სხდომაზე მოხდა ახალი სკანდალი. ჯერ კიდევ წინად ბიუჯეტის საკითხის გარშემო გამართულ კამათი შესწყვიტეს კომუნისტ-დეპუტატების გამოსვლის წინ. 31 მარტს განმეორდა იგივე: როცა კომუნისტ-დეპუტატს— სოხაცკის უნდა ელაპარაკნა, კვლავ შემოტანილ იქნა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. სოხაცკიმ მოითხოვა სიტყვა წესრიგისათვის და განაცხადა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ სეიმის უმრავლესობა და მთავრობა შეთანხმდნენ ხელი შეუშალონ კომუნისტ - დეპუტატების გამოსვლას. პილსუდსკის მომხრე დეპუტატები და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ფრაქციის წევრები გააფთრებით აწყვეტინებენ სიტყვას ორატორებს.

„მუშებისა და გლეხების დეპუტატებს ლაპარაკის საშუალებას არ აძლევენ",—ყვირის სოხაცკი. კომუნისტებისა, მემარცხენე სელრობისა და ბელორუსთა გრომადის ადგილებიდან ხმაური პროტესტების ძლიერდება. გაისმის ხმა ავტომობილის საყვირისა, რომელიც ხელში უჭირავს კომუნისტ - დეპუტატს ბიტნერს. ამ დროს სოხაცკისთან მიდის სეიმის მდივანი — პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი პეტროვსკი და თავმჯდომარე დაშინსკის სახელით აცხადებს, რომ სოხაცკი გამორიცხულია ერთი სხდომიდან. ამხ. სოხაცკი არ სტოვებს სხდომის დარბაზს. დაშინსკი სხდომას შეწყვეტილად აცხადებს და ამ დროს სეიმის დამცველ რაზმს სოხაცკი ძალით გაჰყავს დარბაზიდან.

სოხაცკის გაძევების შემდეგ ობსტრუქცია ძლიერდება. მუშათა და გლეხთა მემარცხენე დეპუტატები აცხადებენ პროტესტს ტერორისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატები ზულავსკისა და მალინოვსკის მეთაურობით მუშტებით მიიწევენ კომუნისტ - დეპუტატების წინააღმდეგ და უშვერი სიტყვებით იგინებიან. დარბაზში პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებსა და კომუნისტებს შორის ხელჩართული ბრძოლა იმართება. სცემეს და ტანსაცმელი შემოახიეს კომუნისტ - დეპუტატებს; — **ბიტნერს, როსიაკს და ბაჩინსკის**. ვინაიდან სხდომის განახლების შემდეგ ობსტრუქცია გაგრძელდა, ამიტომ დაშინსკიმ ერთი სხდომიდან კიდევ გამორიცხა ორი კომუნისტი - დეპუტატი — ბიტნერი და როსიაკი. სეიმის პირველ სხდომაზე კომუნისტ - დეპუტატებს გაუსწორდნენ პოლიციის დახმარებით, მეოთხე სხდომაზე კი პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებმა ბრწყინვალედ შეასრულეს პოლიციის როლი (ადს).

კრედიტები საბჭოთა კავშირს

ქვემო ავსტრიის მონაწილეობა საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემაში

ვენა, 31 მარტი. პროვინცია ქვემო ავსტრიის ლანდტაგმა მიიღო კანონი ქვემო ავსტრიის მონაწილეობის შესახებ საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემაში. კანონი წარმოადგენს ერთგვარ დამატებას ანალოგიური კანონისა, რომელიც მიიღო პროვინცია შტირიის ლანდტაგმა, და გულისხმობს 8 მილიონი შილინგის უზრუნველყოფას იმ კრედიტიდან, რომელიც ეძლევა საბჭოთა კავშირს. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან-ძო-ლინის განცხადება

პეკინი, 31 მარტი. ჩან-ძო-ლინმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ერთად ერთ მიზეზს, რომელიც ხელს უშლის მას უარი სთქვას დიქტატორის პოსტზე, წარმოადგენს მისი სურვილი განდევნოს კომუნისტები ჩინეთიდან.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ „პეკინის მთავრობას საკმაო ძალა შესწევს, რათა აწარმოოს სამხედრო მოქმედება კომუნისტების წინააღმდეგ".

დასასრულ, ჩან-ძო-ლინი პეკინის მთავრობის თანამდებობის პირთ ურჩევს არ დაუახლოვდნენ სამხრეთელებს. მაგრამ აცხადებს, რომ ყველა თანამდებობის პირებს უფლება აქვთ შეუერთდნენ სამხრეთელებს, თუ მოისურვებენ. (ადს).

მენავეების გაფიცვა პუტუნში

შანხაი, 30 მარტი. 3.300 მენავემ პუტუნში (შანხაის ჩინური ნაწილი მდინარე ვამპუს მარჯვენა ნაპირზე), გამოაცხადეს საპროტესტო გაფიცვა ახალი სპეციალური გადასახადების შემოღების წინააღმდეგ.

გაფიცვის ცხრა ხელმძღვანელი დააპატიმრეს (ადს).

აჯანყება კანტონის არმიაში

შანხაი, 30 მარტი. როგორც გონკონგიდან იუწყებიან, კანტონის არმიის ერთ-ერთი პოლკი, რომელიც იმყოფება გუვლაის რაიონში, სვატოუდან 45 კილომეტრის დაშორებით, აჯანყდა, აჯანყებულმა პოლკმა დაამარცხა მთავრობის ჯარები და დაიკავა ქალაქი. გაზეთების ცნობით, კანტონის მთავრობის ჯარებმა დასტოვეს გუილაი. გაზეთების ცნობით ქალაქი გუილაი გაანადგურა ხანძარმა (ადს).

აჯანყებულთა რაზმების მოქმედება გუანდუნში.

შანხაი, 30 მარტი. გაზეთ „სინ-ვან ბაოს" ცნობით, აჯანყებულ გლეხთა რაზმებმა, რომელთაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, დაიკავეს ქალაქი გუიერი, გუანდუნის პროვინციაში, ნავთსადგურ სვატოუს სამხრეთით (ადს).

ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს 6 კომუნისტი

შანხაი, 30 მარტი. გაზეთ „შუნბაოს" ცნობით, 28 მარტს ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს 6 გამოჩენილი კომუნისტი (ადს).

გერმანიის გაზეთების ჭორები

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

გერმანიის პრესა თავის პოლემიკურ გამოსვლებში გერმანელ ინჟენერების დაპატიმრების გამო საბჭოთა კავშირში, არაერთხელ სარგებლობდა ყალბი ვერსიით იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირმა ამ საქმეში არ შეასრულა გერმანია-საბჭოთა კავშირის 1925 წლის 12 ოქტომბრის შეთანხმება, რომლის მიხედვით გერმანიის კონსულს შვიდი დღის განმავლობაში უნდა ეცნობოს გერმანელ მოქალაქეთა დაპატიმრება. ამ მტკიცებამ განსაკუთრებით აშკარა გამოხატულება ჰპოვა ბერლინის საღამოს გაზეთ „ახტ ურ აბენდბლატ"-ის ცნობაში. ამ ცნობაში ნათქვამი იყო, თითქოს გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის 21 მარტის სხდომაზე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა „დაარღვია უფლებრივი დებულება", რომელიც გამომდინარეობს ხსენებულ ხელშეკრულებიდან. როგორც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ავტორიტეტულ წრეებში აცნობებს, გერმანიის ელჩმა აცნობა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს, რომ გაზეთ „ახტ ურ აბენდბლატ"-ის ზემოხსენებული ცნობა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის გამოსვლის შესახებ ემყარებოდა კულუარებში გავრცელებულ ცრუ ხმებს; სინამდვილეში შტრეზემანმა რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე დაადასტურა, რომ ცნობა ინჟენერების დაპატიმრების შესახებ დონეცკი ბასეინში გერმანიის ელჩმა მიიღო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინისაგან ინჟენერების დაპატიმრებასთანავე (საუბარი შედგა 6 მარტს საღამოთი, დაპატიმრება კი სწორედ იმ დღეს მოხდა). ელჩმა აგრეთვე მიიღო დამატებითი დაწვრილებითი ინფორმაცია ამ საქმის შესახებ.

შახტის ორგანიზაციების გამოკვლევა

დონის-როსტოვი, 31 მარტი. საკავშირო კომპარტიის ჩრდილო-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბიურომ კონტრ-რევოლუციონურ შეთქმულებასთან დაკავშირებით გამოიკვლია შახტის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები და დაადგინა:

„სამეურნეო მუშაკებმა—კომუნისტებმა, რომლებიც შახტის ოლქის დონის ქვანახშირის მაღაროების სამმართველოს სათავეში იდგნენ, ამხ. შეინკინმა და გონჩარენკომ, ვერ გაამართლეს პარტიის ნდობა, ვერ განახორციელეს კონტროლი ბურჟუაზიულ სპეციალისტების მიმართ და სინამდვილეში მავნე კონტრ-რევოლუციონერების ტყვეებად აღმოჩნდნენ. პროფორგანიზაციებმა და ხელმძღვანელმა პროფმუშაკებმა შეუწყნარებელი უყურადღებობა გამოიჩინეს მუშების ჩივილისა და უკმაყოფილებისადმი, რომლებმაც არა ერთხელ აღნიშნეს ზოგიერთი სპეციალისტების დანაშაულობრივი მოქმედება. მასებისაგან დაშორების გამო პროფორგანიზაციებმა დროზე ვერ გამოარკვიეს წარმოების პრაქტიკული დეფექტების ნამდვილი ხასიათი და [illegible] ვერ ჩაჰკლეს მავნე საქმიანობა

შახტის ოლქის კომიტეტისა და რაიკომების ბიუროებმა ვერ გამოაშკარავეს კონტრ-რევოლუციონური ბოროტმოქმედნი, მიუხედავად მუშათა მასის უამრავი საჩივრისა, რომლის პარტიულმაც და უპარტიო ნაწილმაც ხელი კლასობრივი ალღო გამოიჩინა.

ზემოთ თქმულის მიხედვით, საკავშირო კომპარტიის ჩრდილო-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბიურო საჭიროდ სცნობს: კომპარტიის შახტის საოლქო კომიტეტის ბიურო დაითხოვოს, სამუშაოდან მოიხსნას საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. კრასცოვი, საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. შიპოვი და გაზ. „კრასნი შახტიორ"-ის რედაქტორი ამხ. ტოკარევსკი; წინადადება მიეცეს ჩრდილო-კავკასიის საოლქო პროფსაბჭოს ფრაქციას, რომ სამუშაოდან მოხსნას შახტის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ილარიონი; სამუშაოდან მოიხსნას შახტის საოლქო პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე ამხ. ჩერნოკოლოვი, მეშახტეთა კავშირის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩურლიაევი და კავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შეშერი. დადასტურდეს ჩრდილო-კავკასიის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ სამუშაოდან მოიხსნას შახტის ოლქის საკონტროლო კომისიის მდივანი ამხ. კრიშჩენკოვი; სამუშაოდან მოიხსნას შახტის პარტ. რაიკომის მდივანი ამხ. დორმენკო; სამუშაოდან მოიხსნას ნესვეტაევის მაღაროების სამმართველოს გამგე ამხ. კოზირევი. ზემოთ დასახელებული მუშაკების საქმე გადაეცა ჩრდილო-კავკასიის საკონტროლო კომისიას. დაუყოვნებლივ მიღებულ იქნან ჩრდილო-კავკასიის ხელმძღვანელი მუშაკები შახტის ორგანიზაციის გასამაგრებლად, რისგან გარეშე მოწვეულ იქნას შახტის პარტ. საოლქო კომიტეტის პლენუმი საოლქო კომიტეტის ახალი ბიუროს ამოსარჩევად. დაევალოს საოლქო კომიტეტს ახალი ბიუროს მუშაკების შემადგენლობის გადათვალიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნას პარტიული, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობა. დაევალოს შახტის საოლქო კომიტეტს, რომ მან სამეურნეო მუშაობაზე წამოაყენოს უნარიანი კვალიფიცირებული მუშები და ყველაზე უფრო ნიჭიერი ახალგაზრდა ინჟენერ-ტეხნიკოსები, უმთავრესად, კომუნისტები და მუშათა წრიდან გამოსულები. გააძლიერონ ხელმძღვანელობა ჩრდილო-კავკასიის პარტიულმა, პროფესიონალურმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა შახტის ორგანიზაციების მიმართ".

ჩრდილო-კავკასიის პროფკავშირების საოლქო საბჭოს პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში [illegible] გაიზიარა ჩრდილო-კავკასიის საოლქო პარტიული კომიტეტის ბიუროს მითითებანი პროფკავშირების მუშაობის ხაზით.

ჩრდ.-კავკასიის პროფსაბჭოს დადგენილებაში ნათქვამია: „სპეციალისტების მუშაობაზე სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების კონტროლის გაძლიერებასთან ერთად, საჭიროა შექმნას საბჭოთა ხელისუფლების ერთგული სპეციალისტები და მუშაობის ხელშემწყობი პირობები, საჭიროა განმარტებითი მუშაობის წარმოება მასებში [illegible] სპეცჭამიობისა და სპეციალისტ[illegible] უსაფუძვლო იერიშების წინააღმდეგ". (ადს.

პროფინტერნის კონგრესი

კამათი ამხ. გელერის მოხსენების გარშემო.

მოსკოვი, 31 მარტი. პროფინტერნის კონგრესის 30 მარტის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. გელერის მოხსენების (პროფმოძრაობა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში) გარშემო. ამხ. გელერის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონგრესმა ერთხმად მიიღო მომხსენებლის თეზისები და სპეციალურად გამოყოფილ კომისიას დაავალა სათანადო რეზოლიუციის შემუშავება.

მიმართვა თეთრი ტერორისა და იმპერიალისტური „განიარაღების" შესახებ

ამავე სხდომაზე კონგრესმა მიიღო მიმართვა თეთრი ტერორის წინააღმდეგ ჩინეთში და მოწოდება მუშათა კლასისადმი—გააძლიერონ ბრძოლა პროლეტარიატის საერთაშორისო მთლიანობისათვის.

საღამოს სხდომაზე ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. ხორნერმა შეიტანა წინადადება მიღებულ იქნას მოწოდება ყველა ქვეყნების მუშებისადმი იმპერიალისტების „განიარაღების" შესახებ.

„მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა,—აცხადებს ამხ. ხორნერი,—ჟენევის მოლაპარაკებიდან უნდა გამოიტანოს ის გაკვეთილი, რომ მხოლოდ კაპიტალიზმის დამხობა არის ერთად-ერთი სწორი გზა განიარაღებისაკენ".

კონგრესმა განსაკუთრებულ კომისიას მიანდო შეიმუშაოს მოწოდება ყველა ქვეყნების მუშებისადმი პროლეტარიატის მორიგი ამოცანების შესახებ კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღების ზრდასთან და ომის საფრთხესთან ბრძოლაში.

ამხ ვეკერტის მოხსენება

შემდეგ ამხ. ვეკერტმა (გერმანია) ვრცელი მოხსენება გააკეთა სოციალური კანონმდებლობის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი რიგი რეაქციონური ღონისძიებების შემდეგ სოციალური კანონმდებლობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსპობილად შეიძლება ჩაითვალოს. ამის გამო პროფინტერნის მომხრე ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა იბრძოლონ სოციალური კანონმდებლობის გაფართოებისა, სამუშაო დღის შემცირებისა, ქალების და ბავშვების ღამის შრომის აკრძალვისათვის და სხ. ბრძოლამ მუშათა კლასის არსებითი მოთხოვნილებებისათვის ხელი უნდა შეუწყოს რევოლიუციონური პროფმოძრაობის ზრდას მუშათა ახალი რაზმების ხარჯზე, რომლებიც ამ ჟამად რეფორმიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

თანამომხსენება ამავე საკითხზე გააკეთა სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ნემჩენკომ, რომელმაც გააშუქა საბჭოთა კანონმდებლობის უმთავრესი მიღწევანი (ადს).

მოსკოვი, 31 მარტი. პროფინტერნის კონგრესმა 31 მარტის დილის სხდომაზე ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო მსოფლიო პროფმოძრაობის ამოცანების შესახებ. კონგრესი აღიარებს პროფინტერნის აღმასბიუროს პოლიტიკის და პრაქტიკის სისწორეს და ამასთან ერთად აღნიშნავს არა საკმაო კავშირს აღმასბიუროსა და ცალკე ქვეყნების ორგანიზაციებს შორის, ადგილებისათვის ინსტრუქციების არარეგულიარულად მიწოდებას, გაფიცვების დროს არა საკმაო გეგმიან დახმარების გაცემას, სოლიდარობის მუდმივი ფონდის არსებობას და საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტების მუშაობის არა საკმაო განვითარებას.

კონგრესი ავალებს ახალ შემადგენლობის აღმასბიუროს გამოასწოროს დეფექტები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის შექმნას პროფინტერნის მომხრე ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ეკონომიურ გაფიცვების დროს. კონგრესი წინადადებას აძლევს პროფინტერნის მომხრე ორგანიზაციებს გზავნონ აღმასბიუროში პასუხისმგებელი წარმომადგენლები რეგულიარულ კავშირის დასამყარებლად პროფინტერნთან (ადს).

ამნისტია დაასამარეს

ბერლინი, 30 მარტი. რეიხსტაგმა უარჰყო კანონპროექტი ამნისტიის შესახებ.

რეიხსტაგის სხდომა, რომელზედაც დამთავრდა ამნისტიის კანონპროექტის განხილვა, მეტად მძიმე ატმოსფერაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მღელვარე სცენებს ჰქონდა ადგილი სოციალ - დემოკრატ ლანდსბერგის სიტყვის დროს. ლანდსბერგის ცდამ გა[illegible] [illegible]-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკა, რომელმაც ხელი შეუწყო კანონპროექტის დამარხვას, მხურვალე პროტესტები გამოიწვია კომუნისტების მხრივ. (ადს).

რეიხსტაგის დათხოვნა

ბერლინი, 30 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება: რეიხსტაგი დათხოვნილია, სხდომის გახსნის დროს რეიხსკანცლერმა მარქსმა გამოაქვეყნა რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰინდენბურგის დეკრეტი რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ. რეიხსტაგის არჩევნები დანიშნულია 20 მაისს (ადს).

ძმ. ბარმატების საქმე

ბერლინი, 31 მარტი. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება ძმებ ბარმატების სენსაციურ საქმეზე, რომელიც 14 თვეს გრძელდებოდა. ბარმატებს ბრალი ედებოდათ ქრთამის მიცემაში და მოტყუების საშუალებით კრედიტების მიღებაში, ბარმატებს დახმარებას უწევდენ ყოფილი კანცლერი სოციალისტი ბაუერი, ყოფილი ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი გეფლე, რომელიც წინასწარ გამოძიების დროს გარდაიცვალა ციხეში, და სხვა გავლენიანი პირები.

იულიუს ბარმატს მიუსაჯეს 11 თვის ციხე. ანრი ბარმატს 6 თვის ციხე. სასამართლოს ხარჯები უდრის 10 ათას მანეთს. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ა.-კავკასიის ბიუჯეტის განხილვა საკავშირო საბიუჯეტო კომისიაში

მოსკოვი, 31 მარტი. საკავშირო საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა განიხილა ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი და დაამტკიცა ის შემდეგი ცვლილებით: საშემოსავლო ნაწილი გადიდებულ იქნა სამი მილიონ რვაასი ათასი მანეთით, რაც შეეხება ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებას კრედიტების გადიდების შესახებ, საკავშირო საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა შეუძლებლად სცნო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება

რა ართულებს საქონლის ნაკლებობას

მოსკოვი, 31 მარტი. როგორც საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის ცნობებიდან ირკვევა, უკანასკნელ ხანებში საცალო ვაჭრობის ბაზარზე შემჩნეულია კერძო კაპიტალის მნიშვნელოვანი შეტევა. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის ორგანოები ვერ ასწრებენ კერძო ვაჭრის წასვლით გამოწვეულ სავაჭრო ქსელის დანაკლისის შევსებას. სავაჭრო ერთეულების სიმცირე განსაკუთრებით მივარდნილ ადგილებში ხელოვნურად ქმნის საქონლის დეფიციტიანობას ისეთ ნაწარმოებზედაც კი, რომელიც ბაზარზე საკმაოზე მეტად მოიპოვება.

ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა გადაწყვიტა ენერგიული ზომები მიიღოს საცალო ვაჭრობის ქსელის გასაძლიერებლად. ამ მიზნით სხვა რაიონებთან ერთად ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატს წინადადება მიეცა ორი კვირის განმავლობაში დაამუშაოს სავაჭრო ფარდულების ქსელის გეგმა; ასეთი ფარდულების რიცხვი ამიერ-კავკასიაში წინასწარი ვარაუდით ორი ათას უნდა უდრიდეს.

ცენტრალური კოოპერატიული ბანკი ამ მიზნით სათანადო ორგანოებს აძლევს სესხს.

60 ქარხანა გადადის 7 საათის სამუშაო დღეზე

მოსკოვი, 31 მარტი. რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ განიხილა მთელ რიგ საწარმოო ერთეულების მდგომარეობა, მათი მიღწევები და შესაძლებლობანი და მიზანშეწონილად სცნო, რომ წინანდელ წარმოებათა გარდა, სამოცი ახალი წარმოება გადაყვანილ იქნას 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე.

ასეთ წარმოებათა რიცხვში არის საფეიქრო, პოლიგრაფიულ მრეწველობის, ტყავეულობისა და მეშეულობის ქარხნები.

[illegible]ავდა" უცხოეთის ტეხნი[illegible] შესახებ

[illegible]კოვი, 31 მარტი. „პრ[illegible] [illegible]სტების ნაკლებობაზ[illegible] [illegible]ვაში და აღნიშნა[illegible] [illegible]რიალიზაციის პოლიტიკის ნორმალური განვითარება მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე უცხოეთის ტეხნიკის მიღწევათა მაქსიმალურად გამოყენების საკითხს.

გაზეთის სიტყვით, იმისათვის, რომ გადმოტანილი იქნას საბჭოთა კავშირში უცხოეთის ტეხნიკის მიღწევები, საჭიროა მოეწყოს ჩვენი სპეციალისტების მივლინება საზღვარგარეთ და საქმის მცოდნე უცხოელების მოწვევა საბჭოთა კავშირში. ამას გარდა, იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვაწარმოებთ კომერციულ ოპერაციებს, უნდა მოეწყოს ტეხნიკური კონსულტაციის ბიურო.

წერილში ნათქვამია აგრეთვე, რომ ხუთწლიან სამეურნეო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ტეხნიკური განვითარებისათვის ხელის შემწყობი პირობები.

საქართველოს დაეთმო 2 ადგილი მრეწველობის აკადემიაში

მოსკოვი, 31 მარტი. ამ დღეებში დამტკიცებულ იქნა ახლად მისაღებ მსმენელთა ადგილების განაწესრიგება მრეწველობის აკადემიაში. აღნიშნული განაწესრიგების თანახმად მრეწველობის აკადემიაში საქართველოს ეთმობა ორი ადგილი.

ვაჭრობის კომისარიატი მებაღეობის შესახებ

მოსკოვი, 31 მარტი საკავშირო ვაჭრობის კომისარიატი აღნიშნავს, რომ მებაღეობის საქმე საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში ვერ სდგას სათანადო დონეზე.

ამას გარდა შემჩნეულია, რომ ხილი ვერ ნაწილდება მოთხოვნილების თანახმად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების ბაზარზე. ამის გამო ადგილი აქვს ფასების არევ-დარევას და ზოგ შემთხვევაში (როცა ხილი მოთხოვნილებაზე მეტი იგზავნება) საქონლის სრულ გაფუჭებას.

ამის გამო საკავშირო რესპუბლიკათა ვაჭრობის კომისარიატებს წინადადება მიეცათ, რათა მათ ჩააბან მომხმარებელი კოოპერაცია ხილის გავრცელების საქმეში საბჭოთა კავშირის შინაურ ბაზარზე.

მწერალ ალტშულერის და სხვების საქმე

მოსკოვი, 31 მარტი იუსტიციის ორგანოების განკარგულებით გამოძიება სტუდენტ -კომკავშირელი ქალის ისლამოვას თვითმკვლელობის შესახებ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ახლო მომავალში გამოძიება დასრულდება და საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს. მწერალთა ფედერაციის მდივანს ალტშულერს და პოეტებს ანოხინსა და ავრუშენკოს, როგორც უკვე გადმოვცემდით, ბრალად ედებათ ისლამოვის ქალის გაუპა-

ღამის ცნობები

გოტო საბჭოთა კავშირის შესახებ

ტოკიო, 31 მარტი. პანპასიფიკის კლუბში ვიკონტ გოტომ გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის ეკონომიური მიღწევების შესახებ. (ადს).

ახალი კრედიტები საბჭოთა კავშირს

ვენა, 31 მარტი. ქალაქ ლინცის (ზემო-ავსტრია) მუნიციპალურმა საბჭომ გადასწყვიტა 6 მილიონი შილინგით მიიღოს მონაწილეობა ვენის მუნიციპალიტეტის მიერ საბჭოთა დაკვეთებისათვის მიცემულ გარანტიაში. ლინცის მუნიციპალიტეტმა ამის ნებართვა მიიღო საკანონმდებლო წესით ზემო-ავსტრიის ლანდტაგისაგან. ფინანსთა სამინისტრომ გააპროტესტა ზემო-ავსტრიის ლანდტაგის დადგენილება იმ საბაბით, რომ ლინცის მუნიციპალიტეტი განიცდის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას. მთავრობის წრეებში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ ფინანსთა სამინისტროს პროტესტი არ არის მიმართული იმ საქმეების წინააღმდეგ, რომლებსაც ვენის მუნიციპალიტეტი აწარმოებს საბჭოთა კავშირთან, არამედ წარმოადგენს მხოლოდ შინაურ ფინანსიურ პოლიტიკის აქტს (ადს).

ამნისტიის საკითხი სეიმში

ვარშავა, 31 მარტი. „ვიზვოლენიე“-ს დეპუტატ ბაგინსკის წინადადებით სეიმმა დაადგინა შექმნას საგანგებო კომისია არჩევნების დროს მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამოსაძიებლად. თავის წინადადების დასასაბუთებლად ბაგინსკიმ განაცხადა: არჩევნები განაპირა ოლქებში წარმოადგენს სერიოზულ ბრალდებას პოლონეთის პოლიციის წინააღმდეგ. არჩევნების შედეგი ზოგიერთ საარჩევნო ოლქებში წარმოადგენს კანონიერების აშკარა უარყოფას და ჩირქს სცხებს პოლონეთის ღირსებას. უკრაინელმა დეპუტატმა ზახაიკევიჩმა შეიტანა სეიმში შეკითხვა პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის შესახებ. სეიმმა 175 ხმით 172-ის წინააღმდეგ სასწრაფოდ სცნო შეკითხვა.

ფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი

ნიუ-იორკი, 30 მარტი. ამერიკელმა მფრინავებმა ხოლდმენმა და სტინსონმა დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის ახალი მსოფლიო რეკორდი. ხოლდმენმა და სტინსონმა ჰაერში დაჰყვეს 53 საათი და 36 წუთი და ამრიგად 1 საათით და 14 წუთით გადააჭარბეს გერმანელ მფრინავების რისტიცის და ედზარდის მიერ გასულ წელში დამყარებულ რეკორდს. (ადს).

1.450 მკვლელობა

პეკინი, 30 მარტი. კანტონიდან მიღებული ცნობებით, ერთი თვის განმავლობაში, 12 თებერვლიდან 11 მარტამდე კანტონში მოკლეს და სიკვდილით დასაჯეს არა ნაკლებ 1.450 კაცისა, რომელთაც ბრალდებოდა კომპარტიის მიმდევრობა (ადს).

კელნის გამოფენის კომიტეტი

მოსკოვი, 31 მარტი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა დაარსოს კომიტეტი საბჭოთა პრესის მონაწილეობის მისაღებად ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც ეწყობა კელნში. კომიტეტში შედიან ამხ. ხალატოვი (კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა პავილიონის კომისარი), მინკინი, ვოლინი, კამენევი, გრონსკი; დოლეცკი და გუსი (კომიტეტის წევრები) (ადს).

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა

მოსკოვი, 31 მარტი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიმდინარე წელში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაიყვანოს კიდევ ორი საფეიქრო ფაბრიკა: ვისოკოვის და ნაროფომინის ფაბრიკა. ამის გამო მუშების რაოდენობა ვისოკოვის ფაბრიკაში გადიდებულ იქნება 920 კაცით, ხოლო ნაროფომინის ფაბრიკაში 1.600 კაცით. (ადს).

საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საქმე

მოსკოვი, 31 მარტი. უზენაესმა სასამართლომ 31 მარტს დაჰკითხა კერძო ვაჭრების უკანასკნელ ჯგუფს. პროცესის ათი დღის განმავლობაში დადასტურდა ბრალდებები და სავსებით გამოაშკარავდა საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობისა და კერძო ვაჭრების მიერ მოწყობილი ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია. გამოირკვა აგრეთვე, რომ საზოგადოების საკრედიტო ოპერაციები უმთავრესად სწარმოებდა მსხვილ კერძო ვაჭრებთა [illegible] ლად. მიუხედავად შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ წესდებისა, საზოგადოების მოღვაწეობა ხელს უწყობდა მხოლოდ მსხვილი კერძო კაპიტალის განვითარებას (ადს).

სახელის გადაცვლა

მოსკოვი, 31 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ქალაქ კრასნოკოკშაისკს (მარის ავტონომიური ოლქი) ეწოდოს იოშკარ-ოლა. (ადს).

დღეს დილის ორ ნახევარ საათზე გარდაიცვალა ნიკო ნიკოლაძე

დღეს, დილის 2 ნახევარ საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავის ბინაზე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძე.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ნ. ნიკოლაძე დაიბადა 1843 წელს. უმაღლესი სწავლა-განათლება მიიღო პეტერბურგის და ციურიხის უნივერსიტეტებში. მინიჭებული ჰქონდა ეკონომიურ მეცნიერების დოქტორის ხარისხი. პუბლიცისტური მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ 1864 წელს ჩერნიშევსკის ჟურნალ „სოვრემენიკ“-ში. 1865 წელს თანამშრომლობდა გერცენის „კოლოკოლ“-ში, დაახლოებით იმავე ხანებში დაიწყო თანამშრომლობა ქართულ პერიოდულ გამოცემებშიაც. 1877 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, სპეციალურ კორესპონდენტად იყო გაგზავნილი მცირე აზიაში. 1878 წელს გამოსცა თბილისში ყოველდღიური გაზეთი „ობზორ“-ი, რომელმაც მალე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, როგორც საერთო ნიჭიერი ხელმძღვანელობით, ისე ცენზურასთან ბრძოლით. 1880 წელს ეს გამოცემა დახურულ იქნა, ნ. ნიკოლაძე კი გადაასახლეს სტავროპოლში. ოთხმოციან წლებში ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობს ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“-ში, შემდეგ თბილისის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში.

პუბლიცისტურ მუშაობის გარდა ნ. ნიკოლაძე ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მუნიციპალურ მეურნეობის დარგში. 1875 ციატივით აშენა თბილისის წყალსადენი 1882 წ. ნ. ნიკოლაძემ სრულიად რუსეთის ტექნიკურ ყრილობას წარუდგინა ნავთის გადაზიდვის პროექტი.

ფოთის ქალაქის თავად ყოფნის დროს ნ. ნიკოლაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ფოთის ნავთსადგურის აგებაში, მასვე ეკუთვნის რიონზე ნაოსნობის მოწყობის იდეა. აგრეთვე აღსანიშნავია მისი როლი საქართველოს ელექტრიფიკაციის დარგში, რომლის იდეა მან წამოაყენა ჯერ კიდევ 45 წლის წინად.

ნ. ნიკოლაძე ცნობილი სპეციალისტი იყო შავი ქვის მრეწველობის საკითხებში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური და ეკონომიური შრომა რუსულ და ქართულ ენებზე.

საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

ამხ. შმიდტის მოხსენება

მოსკოვი, 31 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის 30 მარტის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. შმიდტის მოხსენება ბიუჯეტის მოსამზადებელი კომისიის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვის დროს ამ რესპუბლიკების წარმომადგენლებმა მოსამზადებელ კომისიაში გაილაშქრეს სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გამოანგარიშებათა წინააღმდეგ. ისინი უმთავრესად მოითხოვდნენ ბიუჯეტის სახარჯო ნაწილის გადიდებას და შემოსავლის გამოანგარიშებათა შემცირებას.

მხოლოდ რ.ს.ფ.ს.რ. და უკრაინის ს.ს.რ. წარმომადგენლებმა შემოიტანეს წინადადება ბიუჯეტის გასავლის ნაწილის გადიდების შესახებ 17.237.000 მან. რაოდენობით. მოკავშირე რესპუბლიკების მოთხოვნილება ბიუჯეტის გასავალი ნაწილის გადიდების შესახებ სულ უდრის 49.227.000 მან., ხოლო მოთხოვნილება შემოსავლის ნაწილის გადიდების შესახებ უდრის 4.610.000 მან.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა რ. ს. ფ. ს. რ. შემოსავლის ნაწილი გაადიდა 33.880.000 მან.; გასავლის ნაწილი—28.479.000 მან. რაოდენობით; უკრაინის ს.ს.რ. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გადიდებულ იქნა 16.586.000 მან. გასავლის ნაწილი 10.917.000 მან. რაოდენობით. ბელორუსიის ს.ს.რ. ბიუჯეტის გასავლის ნაწილი გადიდებულ იქნა 1.767.000 მან.; ამიერკავკ. ს.ფ.ს.რ. შემოსავლის ნაწილი გადიდებულ იქნა—3.800.000 მან.; უზბეკისტანის ს.ს.რ. ბიუჯეტის გასავლის ნაწილი გადიდებულია 200.000 მან.; თურქმენისტანის ს.ს.რ. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შემცირებულია 134.000 მან.; გასავლის ნაწილი გადიდებულია—75.000 მან. რაოდენობით. (ადს).

მოსკოვი, 31 მარტი. საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის საღამოს სხდომაზე დამტკიცებულია გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილი 1.685.000.000 მან. რაოდენობით. სახკომსაბჭოს მიერ მიღებული საგასავლო ნაწილი საბიუჯეტო კომისიამ შეამცირა 240.980 მანეთით და დაამტკიცა 1.998.750.020 მან. რაოდენობით.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილი, რომელიც სახკომსაბჭოს გათვალისწინებული ჰქონდა 170.524.000 მან. რაოდენობით, გადიდებულ იქნა 1.376.000 მანეთით. ხარჯთაღრიცხვის საგასავლო ნაწილი მიღებულია სახკომსაბჭოს მიერ დადასტურებულ თანხის რაოდენობით.

საკავშირო ცაკის, სახკომსაბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, უზენაეს სასამართლოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვები საბიუჯეტო კომისიამ დაამტკიცა იმ რაოდენობით, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა მოსამზადებელ კომისიას, უმნიშვნელო შესწორება შეიტანა საკავშირო ცაკისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხარჯთაღრიცხვებში (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესის გამო

მინსკი, 31 მარტი. საზღვარგარეთელი ბელორუსული გაზეთები გაკვირვებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ბელორუსთა გრომადის პროცესზე ვილნოში არ ესწრება საბჭოთა ბელორუსული პრესის წარმომადგენელი. ამის გამო გაზეთი „სოვეტსკაია ბელორუსია“ აღნიშნავს, რომ პროცესის დასაწყისშივე მან შუამდგომლობა აღძრა პოლონეთის კონსულის წინაშე მინსკში, რათა რედაქციის სპეციალური კორესპონდენტს მისცემოდა პოლონეთში შესვლის ნებართვა პროცესის გასაშუქებლად. შუამდგომლობის აღძვრიდან სამ კვირაზე მეტმა განვლო და დღემდე კონსულს არავითარი პასუხი არ მოუცია. (ადს)

დაუდევრობა თუ საბოტაჟი?

არტემოვსკი, 31 მარტი. საოლქო სასამართლომ განიხილა ინჟ. ფელიზანტის და აგრეთვე შრედინგის საქმე. ფელიზანტი ქვანახშირის მაღაროს მმართველად ყოფნის დროს არ იღებდა ზომებს უშიშროების წესების დასაცავად. კერძოდ, ქვანახშირის ფენების აფეთქების დროს იყენებდნენ 83 პროცენტიან დინამიტს ნაცვლად ჩვეულებრივ 12 პროცენტიანისა, რაც დაუშვებელია. ფელიზანტმა ეს იცოდა. პასუხისმგებლობა მაღაროს ვენტილიაციისათვის უნდა ეკისრებოდეს სპეციალურ პირს, რომელიც განთავისუფლებული უნდა იყოს სხვა მოვალეობიდან. ფელიზანტმა მაღაროს ვენტილიაციისათვის თვალყურის დევნება მიანდო თავის თანაშემწე შრედინგს, რომელსაც ჰქონდა ბევრი სხვა მოვალეობა. ამის გამო გასული წლის 23 მარტს მაღაროში გაზების დაგროვების გამო დაიხრჩო მუშა. გვამი მხოლოდ მეორე დღეს ნახეს, რაც იმას მოწმობს, რომ კატასტროფის დღეს მაღარო არ დათვალიერებულა. პასუხისგებაში მიცემული იყო აგრეთვე ათის თავი კუდრიავცევი. საოლქო სასამართლომ ფელიზანტს, შრედინგს და კუდრიავცევს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა წელიწად ნახევრის ვადით თვითეულს. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ ეს განაჩენი დაამტკიცა. (ადს)

ა.-კ. პერიოდულ გამოცემათა რედაქტორების თათბირი

კამათი ამხ. რუბენის მოხსენების გარშემო

30 მარტს საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. რუბენის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა იღებენ ამხ. ზაქიროვი, ბარხაშევი, კიკნაძე, ანჩარსკი, გვაზავა, არსენიანი, ტრიჩიჩი, ხეფი; ბაქრაძე, კაზარლი, ახლიბეკიანი, ტაგიევი, მაირანოვსკი, რახმანი, რავიჩი, ცოვიანი, აბაევი, ბლიუმენფელდი, ალნიაშვილი, ახრიბეკოვი და სუტირინი.

კამათის ძირითად საკითხს წარმოადგენდა საკითხი თვითკრიტიკის შესახებ.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი კამათში იყო საკითხი პრესის მუშაკთა კომუნისტურ კადრების აღზრდისა და მომზადების შესახებ. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მთელ კადრების მომზადებასთან ერთად საჭიროა უკვე არსებულ კადრების გადამზადება მარქსისტულად და სალიტერატურო მუშაობაში ჩაბმა ძველ პარტიულ ჟურნალისტთა კადრების, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში.

თვითკრიტიკისა და კადრების საკითხს ორატორები უკავშირებდნენ ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ იდეოლოგიის შეპარვას ჩვენს პრესაში; ამ მოვლენის ლიკვიდაციისათვის საჭიროა რათა ჩვენი პრესის მუშაკებმა ხელი მიჰყონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებას და თვითგანვითარებას.

შემდეგ ორატორები ეხებოდნენ ცალკე დეფექტებს პრესის მუშაობაში. აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა პრესის განყოფილებათა ხელმძღვანელობის და კონტროლის გაძლიერება, გაზეთების პარტიულ განყოფილებებში საქმის დაყენების გაუმჯობესება, მეტი ყურადღება მუშკორთა მოძრაობისადმი, გაზეთის ენის გაუმჯობესება და სამხედრო და ანტირელიგიოზურ პროპაგანდის გაძლიერება.

ორატორები აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ ლოზუნგი წამოყენებულ იქნას ბოროტებათა მხილება „პიროვნებათა მიუხედავად“ ბევრ შემთხვევაში ვერ ტარდება სათანადო სიმტკიცით.

ეხებოდნენ რა საკითხს ნაციონალურ გაზეთების შესახებ, რომელთა ტირაჟი მნიშვნელოვნად გაიზარდა (მუსავატისტების ოფიციალურ ორგანოს ტირაჟი უდრიდა მხოლოდ 4.000 ეგზემპლიარს, თურქულ საბჭოთა გაზეთების ტირაჟი აღწევს 25.000 ეგზემპლიარს), ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება ამ გაზეთების ხარისხის გაუმჯობესებისადმი.

შემდეგში ჩვენმა პერიოდულმა პრესამ უნდა აიღოს კურსი პარტიის სამეურნეო და კულტურულ პოლიტიკის ყოვლმხრივ გატარებაზე. გაზეთი უნდა გახდეს არა მარტო დირექტივების გამტარებელი, არამედ აგრეთვე პარტიის დამხმარე კულტურულ მუშაობაში.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. რუბენმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ყველა სადაო მომენტებს და აღნიშნა ჩვენი პრესის შემდგომი მუშაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე და გაზეთის დაახლოება მკითხველთან. ზოგიერთი სპეციალური საკითხები, როგორიც, მაგალითად, საკითხი მუშკორთა მოძრაობის შესახებ, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და უნდა დაისვას უახლოეს თათბირზე. ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და ლოზუნგი მხილება „პიროვნებების მიუხედავად“ პრესაში გატარებულ უნდა იქნეს ამ მუშაობის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობასთან დაკავშირებით.

31 მარტის დილის სხდომაზე რედაქტორების თათბირმა მოისმინა ამხ. სუტირინის მოხსენება რეპორტაჟის შესახებ.

ამხ. სუტირინმა სთქვა, დაახლოებით შემდეგი:

თათბირზე ბევრს ლაპარაკობდნენ ინფორმაციის ღირსების შესახებ. საგაზეთო მასალის, განსაკუთრებით გაზეთების უკანასკნელ გვერდების მასალის ღირსება, დამოკიდებულია რეპორტიორების კვალიფიკაციაზე. რეპორტიორების მიერ მოტანილ მასალის ღირსების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ რომ მათ არა აქვთ საკმაო კვალიფიკაცია და მტრული იდეოლოგია იპარება ჩვენს პრესაში ხშირად რეპორტიორების ამ წვრილმან ცნობების საშუალებით. მაგრამ მთელი ბრალი არ უნდა დავაკისროთ მარტო რეპორტიორებს, ვინაიდან ჩვენი რედაქციები საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ მათ მუშაობას, არ უნერგავენ მათ პასუხისმგებლობის გრძნობას მოტანილ მასალისათვის და ამით რეპორტიორების როლს აქვეითებენ შიკრიკების როლამდე. რეპორტიორებს შორის ფეხი მოიკიდა ასეთმა თვალსაზრისმა. ჩემი საქმე მასალის მიტანაა, რედაქციაში კი გაარჩევენ, თუ რაა საჭირო. რეპორტიორების ასეთ უპასუხისმგებლობას რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო. რეპორტიორების მუშაობის პირობები ხშირად ძლიერ მძიმეა. საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები რეპორტიორს ხშირად უყურებენ, როგორც ისეთ პირს, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ სტრიქონების სიმრავლით, და რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მოიშორო თავიდან. ყოველივე ამასთან საბრძოლველად, რეპორტიორის აღზრდასთან ერთად, საჭიროა მისი შრომის პირობების შემსუბუქებაც, მათთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარება როგორც რედაქციების მხრივ, ისე იმ დაწესებულებების მხრივ, რომლებიც იძლევიან მასალას.

ამხ. სუტირინ წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ზომები კომუნისტ-რეპორტიორების კადრის შესაქმნელად, მოეწყოს სისტემატიური მუშაობა რეპორტიორების აღზრდისათვის; გაძლიერებულ იქნას კონტროლი რეპორტიორების მუშაობაზე, მიეცეს მათ მეტი ინიციატივის გამოჩენის საშუალება, მოემატოს რეპორტიორებს ხელფასი ისეთ გაზეთებში, სადაც მეტისმეტად მცირე ხელფასია.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. გიულუმიანი, გურსკაია, მელიქიანი, ხეფი, დუმბაძე, დერმიჩევი, მაირანოვსკი, რახმანი და ტრიჩიჩი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ რედაქციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ უკანასკნელ გვერდების მასალას და აგრეთვე გააძლიერონ რეპორტიორების კვალიფიკაცია, რისთვისაც უნდა მიაღებინონ მათ მონაწილეობა სარედაქციო თათბირებში, რეპორტიორთა სპეციალურ თათბირებში, ასწიონ მათი კულტურული დონე, გააღრმაონ პოლიტიკური ცოდნა და სხვ.

შემდეგ აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიულ რეპორტიორების რიცხვის გადიდება. ლიტერატურის ახალგაზრდა მუშაკმა კომუნისტებმა უნდა გაიარონ რეპორტაჟის სკოლა. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებებმა მთელი რიგი დირექტივები უნდა მისცენ ცენტრალურ და პროვინციალურ პრესას და აგრეთვე საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებათა საინფორმაციო ბიუროებს რეპორტიორებისადმი მეტი ყურადღებით მიდგომის შესახებ. რეპორტიორების მუშაობა უნდა შეეფერებოდეს გაზეთის ხასიათს.

საბოლოო სიტყვაში ამხ. სუტირინმა დასახა მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც სდგას რედაქციების წინაშე რეპორტიორების კვალიფიკაციის აწევის და გაზეთების შინაარსის გაუმჯობესების დარგში.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა გასანხარის მოხსენება ამიერ-კავკასიის გაზეთების სალიტერატურო კრიტიკულ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებების შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 9 ამხანაგი. (ადს).

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ცაკის მეორე სესია

სოციალური უზრუნველყოფა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში

მოსკოვი, 31 მარტი. 31 მარტს, საბჭოთა რუსეთის ცაკის სესიის დილის სხდომაზე სოციალური უზრუნველყოფის კომისრის ამხ. ნაგოვიცინის მოხსენების გარშემო ილაპარაკეს ამხ. ამხ. გუდინოვმა (ურალის ოლქი), მარტიუშოვმა (არხანგელსკის გუბ.), გოროშინმა (ჩრდილო-კავკასია) და სხვებმა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ნაგოვიცინმა აღნიშნა ფართო მასების ინტერესი სოციალური უზრუნველყოფის საქმისადმი, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ კამათში მონაწილეობა მიიღეს უმთავრესად, ქვედა ორგანიზაციების მუშაკებმა. შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ უადგილოა ლაპარაკი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების სისტემიდან გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების გამოყოფის შესახებ. ნაჭრობით ვაჭრობის განვითარება ინვალიდთა კოოპერაციის საშუალებით ძალიან სუსტად მიმდინარეობს. ნაჭრობით ვაჭრობა შეიძლებოდა მოგვექცია ინვალიდების კოოპერაციაში. ამხ. ნაგოვიცინი განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნავს აგრეთვე, რომ საჭიროა ინვალიდთა შორის კულტურული მუშაობის გაუმჯობესება, სოფლის გლეხკომებისათვის ინსტრუქციების მიცემა, ღარიბთათვის და აგრეთვე ინვალიდთა მასისათვის დახმარების გაძლიერება, ღრმად მოხუცებული გლეხების უზრუნველყოფა და სხვა. ამხ. ნაგოვიცინის მოხსენების გამო წარმოდგენილი რეზოლიუცია საფუძვლად იქნა მიღებული. მისი დეტალური დამუშავებისათვის შექმნილია კომისია ამხ. რისკულოვის თავმჯდომარეობით (ადს).

პარტიული ცხოვრება

სოციალური მდგომარეობის განსაზღვრა

საკავშირო კომპარტიის უკანასკნელ აღწერამ მნიშვნელოვნად შესცვალა ზოგიერთ ორგანიზაციების სოციალურ მდგომარეობის სურათი. აქა-იქ მოხდა გადაჯგუფება, რადგან გამოირკვა, რომ ზოგჯერ, პარტიაში მიღების დროს, სწორედ არ ყოფილა განსაზღვრული ამა თუ იმ პირის სოციალური მდგომარეობა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა წერილში თუ ვინ უნდა ჩაითვალოს მუშათ. საჭიროა აგრეთვე განიმარტოს ვინ უნდა მივაკუთვნოთ ჩვენ პარტიაში მიღების დროს გლეხისა და მოსამსახურის სოციალურ ჯგუფს. დღემდე ხშირად ასე ხდებოდა. გლეხათ მოჰქონდა ბევრს თავი, თუ ის სოფლად ცხოვრობდა და ოდესმე ფიზიკურად ემუშავნა სოფლის მეურნეობაში.

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებაში 1928 წ., 13 მარტ. ნათლად არის ნათქვამი, თუ ვინ ჩაითვლება გლეხათ და ვინ მოსამსახურეთ. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„გლეხთა სოციალურ ჯგუფს ეკუთვნის ის პირები, რომელთა ძირითად ხელობასაც პარტიაში შესვლამდე წარმოადგენს მიწის ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად დამუშავება, მესაქონლეობა, მევენახეობა, მონადირეობა და სხვა (არა დაქირავებით“).

ამავე დადგენილებაში ნათქვამია, თუ ვინ ჩაითვლება პარტიაში მიღების დროს მოსამსახურეთ. დადგენილება ამბობს:

„მოსამსახურეთა სოციალურ ჯგუფს ეკუთვნის ის პირები, რომელთა ძირითად ხელობას პარტიაში შესვლამდე წარმოადგენს მუშაობა როგორც ხელმძღვანელი პერსონალი მეურნეო, ტექნიკურ, საანგარიშო-საკონტროლო, საქმის წარმოების, მედიკო-სანიტარულ პედაგოგიურ და სხვა დარგში. მოსამსახურეთა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე დაწესებულებაში მოსამსახურე დაბალი პერსონალი“.

ცეკას დადგენილებაში ამასთანავე განმარტებულია ისიც, თუ ვის უფლებას შეადგენს სოციალური მდგომარეობის განსაზღვრა. ამ დადგენილების თანახმად, „პარტიაში მიმღებ პირთა სოციალურ მდგომარეობას აქვეყნებს უჯრედი და ამტკიცებს პარტიული კომიტეტი“.

ადგილობრივ ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ ცეკას ზემოხსენებულ დადგენილებით პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხებში. აღარ უნდა ქონდეს ადგილი რაიმე გაუგებრობას პარტიის წევრთა თუ პარტიაში მისაღებ პირთა სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის დროს. საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება სრულ საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ამ შემთხვევაში რაიმე უნებლიე შეცდომებს.

დ. გ-ი.

წითელი არმიის ორგანიზაციის არჩევნებისათვის

აპრილის პირველ რიცხვებიდან სამხედრო ნაწილებში ჩატარებული იქნება პარტ. და კომკავშირის ორგანიზაციების გადარჩევები, რომლის შემდეგ მოწვეული იქნება პარტკონფერენციები დივიზიის მასშტაბით. ამ კამპანიას ეძლევა დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს იქნება შეჯამება მთელი იმ მუშაობისა, რომელიც ჩატარებული იქნა განვლილ ექვსი თვის მუშაობაში და დასახული იქნება მომავალი მუშაობის მომენტები. სამზადისი მუშაობა უკვე დაიწყო: წინასწარ ჩატარდა რამოდენიმე თათბირი, სადაც დასახული იქნა კონკრეტიული ღონისძიებები გადარჩევების ჩასატარებლად.

სამხედრო ორგანიზაციები წარსულ გადარჩევების შემდეგ საგრძნობლათ გაიზარდნენ. წრევანდელმა გაწვევამ მოგვცა პარტ. და კომკავშირის პროცენტული ზრდა წარსულთან შედარებით. განსაკუთრებით გაიზარდა კომკავშირის შემადგენლობა; გაიზარდა აგრეთვე კულტურული დონე წითელ არმიელთა შემადგენლობისა, რომელიც ახალ ამოცანებს უყენებს პარტორგანიზაციას.

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ჩვენს პარტორგანიზაციას აქვს საკმაო მიღწევები. შემჩნეულია დიდი ლტოლვა პარტიაში და კომკავშირში, ბევრი მიღებული იქნა და ამიტომ პარტორგანიზაციას მართებს მეტი სიფხიზლე მუშაობაში, რომ ახალი მასა გარკვეული იქნას სამხედრო ორგანიზაციის ამოცანებში.

გარდა ამისა, როგორც ვიცით, პარტორგანიზაციის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია სკოლის გარეშე მუშაობა, რომელიც წარმოადგენს პარტორგანიზაციის მუშაობას უპარტიოთა შორის. მიღწევები ამ დარგში დიდია, მაგრამ საჭიროა ახალი ფორმების გამონახვა, რათა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილება სავსებით დაკმაყოფილებული იქნეს.

ნაწილების პარტორგანიზაციებმა კარგა ხანია დაიწყო მე-15 პარტყრილობის დადგენილებათა დამუშავება. საკითხის დამუშავება იწვევს დიდ ინტერესს ნაწილების მთელ შემადგენლობაში. შექმნილია საკმაო რაოდენობა ჯგუფებისა, მოსმენილი იქნა რამოდენიმე მოხსენება.

უფპოლიტშემადგენლობის შორის პარტმუშაობამ სათანადო ადგილი დაიჭირა; მთაურთა შემადგენლობა მიილტვის თვითგანვითარებისაკენ და დახმარებისათვის მიმართავს ნაწილის პარტორგანიზაციას. ამისათვის პარტორგანიზაციამ უნდა გამონახოს ახალი გზები ამ ფრიად სასურველ ამოცანათა შესასრულებლად.

არც შეკრებათაშორისო მუშაობა უნდა დარჩეს მხედველობის გარეშე. ეს უმთავრესად შეეხება ტერნაწილებს. ხსენებული მუშაობა ახალია და შეიძლება ითქვას, რომ მუშაობის ფორმებს ესაჭიროება გამონახვა. გადარჩევებმა უნდა შესძლოს ამ ფორმათა დასახვა მომავალისათვის.

როგორც ვიცით, კომკავშირის ორგანიზაცია საკმაოთ გაიზარდა. მას ესაჭიროება მტკიცე ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციის მიერ. რიცხვობრივ ზრდას უნდა თან ახლდეს თვისობრივი ზრდაც. ეს ამოცანა შესრულებული უნდა იქნეს კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაძლიერებით.

გარდა ამისა არის ბევრი სხვა საჭირო მუშაობანი, როგორიც მაგალითად: საკლუბო, სამსკორთა, შინაორგანიზაციული და სხვ. რომლებმაც სათანადო ადგილი უნდა დაიჭირონ გადარჩევების კამპანიაში.

შინაპარტიული დემოკრატიის გატარების საქმეში კამპანიამ უნდა ითამაშოს უდიდესი როლი, რასაკვირველია სამხედრო ორგანიზაციის თავისებურებასთან დაკავშირებით.

აქედან სჩანს თუ რა დიდი მოვალეობა აწევს სამხედრო-პარტიულ ორგანიზაციებს მომავალ მუშაობის ჩატარებაში. მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნას მთელი პარტ. კომკავშირის შემადგენლობა. ცხადია ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები მუშაობის სწორი განაწილებაზე თავის წევრებს შორის. პარტშემადგენლობის აქტიურ წევრთა განტვირთვა ზედმეტ მუშაობისაგან, რომელსაც ხშირად ავადმყოფურ მოვლენის სახე აქვს, უნდა მოეღოს ბოლო, თორემ ამ ამოცანათა შესრულება პარტორგანიზაციას საგრძნობლად გაუძნელდება.

ახლო მომავალში მოწამენი ვიქნებით იმისა თუ როგორ შეასრულებს ამ ამოცანებს ნაწილების პარტკომკავშირის ორგანიზაციები.

შ. მამალაძე.

პარტგანათლება ქუთაისის მაზრაში

პარტგანათლების სხვადასხვა ფორმები: პოლიტ-წრე, რომელიც როგორც უვარგისი ფორმა პარტგანათლებისა ლიკვიდაციაქმნილი არის მე-13 პარტ. ყრილობის მიერ, პოლიტსკოლა, მოძრავი და სტაციონალური, თვითგანვითარების წრე, შემოკლებული ტიპის სკოლა, ნორმალური საბჭოთა დილის პარტ-სკოლა, საბჭოთა საღამოს პარტ-სკოლა, ლენინიზმის წრე და სხვა.

ჩვენს მაზრაში პარტ-განათლების ამ ფორმების ქსელის ფართოდ გასაშლელად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო სამოსწავლო გასული წლის დასასრულიდან.

გასული წლის საგაზაფხულო არდადეგებზე სამაზრკომის აგიტპროპგანყოფილების მიერ მოწყობ პოლიტ-ცოდნის სტაციონალური სკოლების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი ორთვიანი კურსები—47 მსმენელის შემადგენლობით. ხსენებულ კურსებზე საფუძვლიანად იქნა შესწავლილი პ.-ცოდნის სტაციონალური სკოლების პროგრამა, სწავლების მეთოდიკა და ოპოზიციის მიერ წამოყენებული ყველა საკითხები. კურსების მსმენელები მთლიანად წლევანდ კომუნისტი გამგეები და საზოგადოებით მეცნიერების მასწავლებლები იყვნენ.

როგორც სოფლად, ისე ქალაქად [illegible] ში წინასწარი კამპანია პარტგანათლების შესახებ დაიწყო ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან და დღეს პარტ-განათლების დარგში შედარებით წინა წლებთან შემდეგი სურათი გვაქვს:

ქუთაისის მაზრაში 1924—25 სამოსწავლო წელში გამოშვებულ იქნა მხოლოდ 5 პოლიტ-ცოდნის სტაციონალური სკოლა 140 მსმენელით. წელს ჩამოყალიბებულია 45 პ.-ცოდნის სტაციონალური სკოლა 1.492 მსმენელით, რომელთა შორის: 496 პარტიის წევრი და კანდიდატია,—804 კომკავშირელი და 338 უპარტიო.

წინად ქუთაისის [illegible] არსებობდა ნორმალური და შემოკლებული ტიპის სკოლები. წელს დაარსებულია 4 ნორმალური ტიპის სკოლა—238 მსმენელით, რომელთა შორის: 145 პარტიის წევრი და კანდიდატია, 66 კომკავშირელი და 27 უპარტიო.

მიმდინარე სამოსწავლო წელში მაზრაში მუშაობს 9 პოლიტ-ცოდნის შემოკლებული ტიპის სკოლა 234 მსმენელით, რომელთა შორის: 162 პარტ. წევრი და კანდიდატია. 48 კომკავშ. და 134 უპარტიო. მუშაობს 4 პოლიტ-ცოდნის მოძრავი სკოლა 109 მსმენელით, რომელთა შორის 40 პარტიის წევრი და კანდიდატია, 35 კომკავშ. 33 უპარტიო.

გასულ წელს ქუთაისში მუშაობდა ლენინიზმის შემსწავლელი პირველი საფეხურის ერთი წრე, სამაგიეროთ წელს 9 ასეთი წრე მუშაობს—227 მსმენელთა შემადგენლობით, რომელთა შორის 109 პარტ. წევრი და კანდიდატია, 77 კომკავშ. და 41 უპარტიო.

ამრიგად მიმდინარე სამოსწავლო წელში პარტ-განათლების ქსელში ჩაბმულია 2.300 მსმენელი, რომელთა შორის 952 პარტ. წევრი და კანდიდატია, 891 კომკავშ და 457 უპარტიო.

უნდა ითქვას, რომ ანგარიშში არ შედის ქუთაისის საბჭოთა პარტიული მეორე საფეხურის სკოლის ცნობები.

აქედან, რასაკვირველია, ისეთი დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, თითქო ჩვენს მაზრაში პარტგანათლების საქმე იდეალურად იყოს დაყენებული. არის მთელი რიგი გაუგებრობისა მეთოდიკის დარგში, რაც სკოლების ზოგ ხელმძღვანელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის დაბალ დონეს უნდა მიეწეროს. არის შეცდომები სკოლის გარეშე მუშაობის დარგში, ზოგ სკოლებში მსმენელთა დაუსწრებლობა და სხვა.

ყველა ეს დეფექტები გამოაშკარავებულ იქნა პ.-ცოდნის ყველა ტიპის სკოლებისა და სადელეგატო პუნქტების ხელმძღვანელთა სამაზრო თათბირზე, რომლის მიერ დროულად იქნა მიღებული პრაქტიკული ღონისძიებანი ზემოხსენებულ სკოლებში მომავალი მუშაობის უკეთ დასაყენებლად.

სამაზრკომის აგიტპროპის მიერ ამთავითვე მიღებულია ზომები სამოსწავლო წლის დასასრულს საზაფხულო არდადეგებზე პოლიტ-ცოდნის სტაციონალური სკოლების ხელმძღვანელთა კურსების მოსაწყობად, მათი პედაგოგიური კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით.

ხევ. მინდაძე.

ველისციხის თემკომი

(სიღნაღის მაზრა).

დ. ველისციხის პარტთემკომის სამოქმედო რაიონში შედის 6 უჯრედი. მათში ერთი მუშურია. თემის ორგანიზაციაში სულ არის 35 წევრი და 39 კანდიდატი. როგორც თემკომი, ისე უჯრედები მთლიანად გადავიდნენ მტკიცე გეგმით მუშაობაზე. უჯრედებს აგრეთვე აქვთ გამომუშავებული თვიური კალენდარი. დისციპლინისა და პარტეთიკის დარღვევის წინააღმდეგ დროზედ მიღებულმა გადამჭრელმა ზომებმა საბოლოოდ აღმოფხვრა ამგვარი მოვლენები.

თემის უჯრედები პერიოდულად ატარებენ ღია კრებებს, რომლებზედაც ესწრება მოჯამაგირეები, შვებული წ.-არმიელები და გლეხობის სხვა დაინტერესებული ნაწილი. ყველა უჯრედებში სწარმოებს მიმდინარე პოლიტიკის და მე-15 პარტყრილობის რეზოლიუციების შესწავლა.

ღარიბთა ჯგუფები არსებობს: ორი თემსაბჭოებთან, საკრედიტო ამხანაგობასთან და გლეხკომთან. მათი კრებები თვეში ერთჯერ და ხან ორჯერ ეწყობა. კრებებზე ირჩევა: ღარიბთა კოოპერატივში დარაზმვა, საექიმო დახმარება. ღარიბთა ფონდის გაძლიერება, საქონლის გაიაფება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და სხვა.

თემკომის ინიციატივით ამ ახლო წარსულში მოწვეული იქნა თემის ღარიბთა ჯგუფების სათემო კონფერენცია, სადაც გაირჩა შემდეგი საკითხები: ა) მე-15 ყრილობის დადგენილებები ღარიბ გლეხობის შესახებ, ბ) როგორ უნდა მოეწყოს არტელები, ნადები და სხვ. საზოგადო შრომით დამუშავების ფორმები, გ) საკრედიტო პოლიტიკა სოფლად და სხვა. საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ღარიბ გლეხობამ.

თემში არსებობს ორი სადელეგატო პუნქტი, რომელშიაც ირიცხება 56 დელეგატი ქალი. ჩამოყალიბებულია ერთი სამხედრო-სანიტარული რაზმი, 8 მარტს გახსნილი იქნა ერთი წითელი კუთხე და [illegible] ქალთა მეაბრეშუმეთა არტელი. აღსანიშნავია ისიც, რომ სადელეგატო კრებას ესწრება მეტი წილი არადელეგატი ქალები.

ი. ჭოჭუა.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ვინ გაიმარჯვა. — შტრეზემანი იმედს არ კარგავს.— ფაშისტური დიქტატურა და „დემოკრატია.— ავღანისტანის ფადიშაჰის მოგზაურობის გარშემო.

ჟენევაში გამართულ ურიცხვ კრებებსა და კონფერენციებ შორის განიარაღების კომისიის უკანასკნელი (მეხუთე) სესია ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავად უნდა ჩაითვალოს. და ეს არა იმიტომ, რომ მან გააკეთა რამე დადებითი განიარაღების საქმის წინ წასაწევად. პირიქით — სესია აღსანიშნავია სწორედ იმით, რომ მან კაცობრიობის წინაშე ცხადყო განიარაღების და მშვიდობიანობის შესახებ იმპერიალისტების ლაყბობის მთელი თვალთმაქცობა.

ბურჟუაზიული მთავრობები ყოველთვის გაიძახოდნენ: ჩვენ გვსურს განიარაღება, მაგრამ ამისათვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, რომელიც იმპერიალისტურ ზრახვებს ატარებს, თავის სამხედრო ძალებს ადიდებს და სხვა ქვეყნების დაპყრობას ცდილობსო. ამ ცილისწამების ხუხულას ამსხვრევს მთელი ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა, რომელიც დაგვირგვინდა საბჭოთა დეკლარაციით სრული საყოველთაო განიარაღების შესახებ განიარაღების კომისიის ნოემბრის სესიაზე და შემდეგ მის მეოთხე სესიაზე ასეთივე განიარაღების პროექტის წარდგენით.

იმპერიალისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ გვერდი აევლოთ ჩვენი წინადადებებისათვის და დაემარხათ ისინი ლიგის კომისიებში თუ კანცელარიებში, — ვითომდა მათი „შესწავლის“ მიზნით. მაგრამ ამხ. ლიტვინოვის მიერ პირდაპირ დასმულ კითხვაზე: სურთ თუ არა იმპერიალისტებს განიარაღება, ღებულობს თუ არა განიარაღების კომისია საბჭოთა პროექტს, — შეუძლებელი გახდა მიკიბულ-მოკიბულ პასუხის გაცემა. სესია იძულებული შეიქნა განეხილა საბჭოთა წინადადებები.

და რა გამოირკვა? რა თქმა უნდა, ჩვენთვის ახალი არაფერი. მაგრამ საგულისხმელი აქ ის არის, რომ იმპერიალისტებმა თავისივე პირით საქვეყნოთ აღიარეს, რომ მათ განიარაღება არ სურთ. სესიამ თითქმის ერთხმად უარყო საბჭოთა პროექტი და განაცხადა, რომ სრული განიარაღების პრინციპი არ შეიძლება საფუძვლად დაედვას განიარაღების კომისიის მუშაობას. ამგვარად, იმპერიალისტები პრინციპიალურად წინააღმდეგნი არიან განიარაღების.

საგულისხმოა მათი არგუმენტაცია ამ შემთხვევაში. ამხ. ლიტვინოვის მთავარი ოპონენტი ლორდ კუშენდენი აცხადებს, რომ შეიარაღებული ძალა აუცილებელია სამოქალაქო ომის ასაცილებლად და უფრო დაბალ კულტ. დონეზე მდგარ ხალხების შემოსევისაგან თავის დასაცავადო. უფრო გასაგები ენით ეს ნიშნავს: ჯარები, ზარბაზნები და დრედნოუტები იმპერიალისტებს ესაჭიროებაო მშრომელ მასსების და კოლონიალურ ხალხების დასამონებლად. ამგვარად ქრება „მშვიდობისმოყვარულებმა“ ნიღაბი ჩამოიფხრიწეს.

იმპერიალისტებმა სხვა „საბუთებიც“ წამოაყენეს ჩვენი პროექტის წინააღმდეგ. ისინი, მაგ. აღნიშნავდნენ, რომ ერთა ლიგის წესდება ლაპარაკობს მხოლოდ შეიარაღების შემცირების შესახებ და განიარაღების კომისიის კომპეტენციაში არ შედის სრული საყოველთაო განიარაღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაო. ეს ფორმალური მოსაზრება, რომ კრიტიკას ვერ უძლებს, ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია. ჯერ ერთი, იმპერიალისტებს რომ მართლა სურდეთ განიარაღება, ლიგის წესდება მათ ოდნავ არ დააბრკოლებდა, — მისი სათანადოდ შეცვლა ხომ სულ ადვილი საქმეა. შემდეგ, თუ განიარაღების სესიას „უფლება“ არ ჰქონდა სრული განიარაღების საკითხი განეხილა, მაშინ რატომ შეიტანა ჩვენი პროექტი თავის დღის წესრიგში, რატომ დაუშვა მის გარშემო დისკუსია, კიდევ მეტი: რა „უფლებით“ სცნო ის მიუღებლად. ის რომ ლოღიკური ყოფილიყო, იტყოდა, რომ საბჭოთა პროექტის გარჩევა ჩემი საქმე არ არის და მას ვერც მივიღებ და ვერც უარვყოფო. მაგრამ აშკარაა, რომ სესიას თავისი თავი უფლება-მოსილად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საკითხი დგას განიარაღების საქმის ჩაშლის შესახებ.

ამ, ყურით მოთრეულ არგუმენტის მთელი უსუსურობა კიდევ უფრო გამოაშკარავდა იმით, რომ საბჭოთა დელეგაციამ სესიას ახალი პროექტი წარუდგინა: თქვენ აცხადებთ, რომ უფლება არა გაქვთ თქვენს მუშაობას საფუძვლად დაუდვათ სრული განიარაღების პროექტი, რომ თქვენ მხოლოდ შეიარაღების შემცირების საკითხი გეხებათ, — მაშ ინებეთ შეიარაღების შემცირების პროექტი, რომლის გატარება, მართალია, არ მოსპობს ომის შესაძლებლობას. მაგრამ მილიტარიზმის ტვირთს საგრძნობლად შეამცირებსო, საბჭოთა დელეგაციის ამ ნაბიჯმა სრულებით აუბნია გზა-კვალი ჟენევის საკრებულოს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ახალმა წინადადებამ უფრო ამხილა [illegible] პაციფისტები, ვინემ ძირითადმა [illegible] თუ უკანასკნელის შესახებ [illegible] ამბობდნენ, რომ ის „არარეალური“ [illegible] „უტოპიურიო“, და ეს [illegible]გვარ შთაბეჭდილებას მაინც ახდენდა პაციფისტურად განწყობილ ზოგიერთ წრეებზედაც, — ეხლა ასეთი შთაბეჭდილებაც გაქარწყლდა. სესია ხომ მოწოდებული იყო შეიარაღების შემცირების ღონისძიებები დაესახა, ჩვენი ახალი პროექტი ხომ უეჭველად „რეალურია“, მაშ რა აფერხებს მის მიღებას? სესია ჩიხში მოემწყვდა, საიდანაც „ხსნა“ მხოლოდ გაქცევაში ნახა, იმაში, რომ „უდროობის გამო“ ჩვენი მეორე პროექტის განხილვა გადასდო კომისიის შემდეგ სესიამდე. ამ სესიის მოწვევის ვადა კი არ განსაზღვრეს. იმპერიალისტები შეეცდებიან ის სრულებითაც არ მოაწყონ: აბა რა სასიამოვნო იქნება მათთვის მათი მტაცებლობის ახალი მხილება! ეხლანდელ სკანდალსაც ვერ მოინელებენ.

ამნაირად, განიარაღების კომისიის მეხუთე სესიის შედეგები უეჭველად დიდია. იმპერიალისტებს საქვეყნოთ ჩამოეფხრიწათ მშვიდობის-მოყვარეობის ნიღაბი, მათთან ერთად გაშიშვლდნენ სოციალ-რეფორმისტებიც, რომელთაც აშკარად დაუჭირეს მხარი იმპერიალიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს — კუშენდენს, თუმცა იმპერიალისტებმა ჩვენი პროექტი უარყვეს, მაგრამ ისინი თვითონ გრძნობენ, რომ ეს „გამარჯვება“ მათ სერიოზულ დამარცხებას ნიშნავს, საბჭოთა მთავრობის უდიდესი პოლიტიკური და მორალური გამარჯვება უდაოა. იმპერიალისტების საჯარო მხილება და ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის მჭერმეტყველური დემონსტრაცია უნაყოფოდ არ ჩაივლის.

⁂

შტრეზემანმა ამას წინედ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ საჭიროდ სთვლის განმარტოს გერმანიის ხალხის დამოკიდებულება განიარაღების საკითხისადმი. კარგი განზრახვაა, სიტყვა არ უნდა მხოლოდ „ხალხის“ (ჩვენი გაგებით: მშრომელ მასსების) თვალსაზრისის გამოსახატავად შტრეზემანი შეუფერებელი კაცია. ის „ხალხში“ გულისხმობს გაბატონებულ ბურჟუაზიას, რომლის მთავრობის წევრი იგი ბრძანდება. მაგრამ თავი დავანებოთ ცნებათა ამ „არევას“.

რა სთქვა შტრეზემანმა არსებითად? მან, პირველ ყოვლისა, უარჰყო უცხოეთის პრესის ბრალდება, თითქოს გერმანიას სურდეს განიარაღების საქმის ჩაშლა იმ მიზნით, რომ მიიღოს შეიარაღების უფლება. ეს ბრალდება დაფუძნებულია იმაზე, — რომ გერმანია ვე[illegible] შეკრულებით განიარაღე[illegible] დროს ის მოღონიერდა და ცდილობს იმპერიალიზმის ფართე გზაზე კვლავ გამოსვლას, მაშასადამე, სხვა დიდ ქვეყნებთან სამხედრო ძლიერების მხრივ გათანასწორებასაც. ამ მიზნით ის მხარს უჭერს განიარაღების რადიკალურ პროექტს, რომ ამით მოწინააღმდეგენი აიძულოს დაუბრუნონ მას შეიარაღების უფლება. ასე რომ ზემოხსენებული ბრალდება, რამდენადაც საკითხი ეხება ამ უფლების მოპოვებას, არ არის საფუძველს მოკლებული.

მაგრამ გარეშე ამისა, თავის თავად, როგორ შეიძლება განიარაღების მომხრეობა მიჩნეულ იქნეს განიარაღების ჩაშლის სურვილად! ეს ალბად იმ კალმოსნების ღრმა აზროვნების საიდუმლოებას შეადგენს. ვინც ასეთ საბუთს აყენებს. და შტრეზემანიც უპასუხებს მათ: „თუ საზღვარ - გარეთის რომელიმე ხელმძღვანელ წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიას აქვს რამე ფარული ზრახვები, — არსებობს უბრალო საშუალება ამ ზრახვების გასაქარწყლებლად — სახელდობრ დაწყება სერიოზულ განიარაღების“. ეს დებულება, რა თქმა უნდა, სწორია. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ განიარაღებულ კაპიტალისტურ გერმანიის მთავრობის პირიდან, იმ მთავრობის, რომელიც არა ნაკლებ ისწრაფვის იმპერიალისტური გაფართოებისაკენ, ასეთი განცხადება სრულიად არ არის მისი ნამდვილი მშვიდობის მოყვარეობის დამადასტურებელი.

შემდეგ შტრეზემანი შეეხო ლოკარნოს ხელშეკრულებას. როგორც ვიცით, იმპერიალისტები და მათთან ერთად სოციალ - შემთანხმებლები თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ ხელშეკრულებაზე და მას ახალ, საერთაშორისო მშვიდობიანობის ხანის დასაწყისად სთვლიდნენ. მაგრამ ეს იმედები უმოწყალოდ განიავდა. ლოკარნომ ოდნავადაც ვერ აღმოფხვრა უნდობლობა და მტრობა ევროპის სახელმწიფოებ შორის, ვერ შეუწყო ხელი მშვიდობიანობის განმტკიცებას. შტრეზემანიც თავის ხსენებულ სიტყვაში აღიარებს: „ლოკარნოს ხელშეკრულებათა ოქმების სიტყვები საყოველთაო განიარაღების შესახებ ჯერ კიდევ მოკლებულია რეალურ შინაარსს“. ლოკარნოს აქტიც, როგორც ბევრი მსგავსი ხელშეკრულებები, რამდენადაც ის ვითომდა მიზნად ისახავდა განიარაღების და მშვიდობიანობის განხორციელებას, უბრალო ქაღალდის ნაგლეჯად დარჩა.

შტრეზემანი სამართლიანად ამბობს, რომ „ჩვენ დღეს უფრო დაშორებული ვართ მიზანს (განიარაღებას), ვინემ ოდესმე“-ო. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ის „განიარაღების საკითხს არ სთვლის საბოლოოდ დამარცხებულად“. საფუძველი ამისათვის?— „ჩემი თვალი უწინარეს ყოვლისა მიმართულია ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების დიდ და ძლიერ ხალხისაკენ. მე მივესალმები აზრს საყოველთაო მშვიდობიანობის შესახებ და ევროპის სახელმწიფოებ შორის შეთანხმების ინიციატივას“-ო. ასე „ასაბუთებს“ თავის ოპტიმიზმს შტრეზემანი. ამნაირად, ამერიკის აღვირახსნილი იმპერიალიზმი, რომელიც თავის უდიდესი შეიარაღების და მტაცებლობის დამალვას ამაოდ ლამობს „სამარადო მშვიდობიანობის“ ლოზუნგის თვალთმაქცური წამოყენებით, გამოყვანილია მშვიდობიანობის და განიარაღების მედროშედ. მაგრამ ესეც ცოტაა: შტრეზემანს თურმე „იმის იმედს, რომ შემდეგში მოლაპარაკება (განიარაღების შესახებ) უშედეგო არ იქნება, აცხოველებს საფრანგეთის პრემიერის მიერ ბორდოში წარმოთქმული სიტყვა“, პუანკარემ კი განაცხადა, რომ „საფრანგეთი ენერგიულად იმუშავებს მშვიდობიანობის განსამტკიცებლად“-ო. მაგრამ რა ფასი აქვს ამ განცხადებას? რა თქმა უნდა, არავითარი. პუანკარე მებრძოლი იმპერიალიზმი ცნობილია. ცნობილია აგრეთვე, რომ კერძოდ ის ყველაზე უფრო სასტიკი მოწინააღმდეგეა განიარაღების. პუანკარე — იმის მიერ საარჩევნო მოსაზრებით წარმოთქმული „სამშვიდობო“ სიტყვა აბა რა საბუთად გამოდგება რამე იმედის „გაცხოველებისათვის“.

საგულისხმოა, რომ შტრეზემანი არ შეეხო განიარაღების საბჭოთა წინადადებებს, რომლებსაც, როგორც ვთქვით, მისმა დელეგაციამ მხარი დაუჭირა ჟენევაში. შტრეზემანის აზრით, საბჭოთა მთავრობა ალბად ნაკლებად ემსახურება მშვიდობიანობის საქმეს, ვინემ პუანკარე და კულიჯი. როგორც სჩანს, შტრეზემანის მიზანია იმ „არასასიამოვნო“ შთაბეჭდილების შენელება, რომელიც იმპერიალისტურ ქვეყნების მმართველ წრეებზე მოახდინა გერმანიის დელეგაციის პოზიციამ ჟენევაში. ამიტომაა, რომ ის ეხლა ქებით იხსენებს პუანკარესაც და ამერიკის იმპერიალიზმის „სამშვიდობო ინიციატივასაც“.

„მიუხედავად კრიტიკისა, სკეპტიციზმისა და გულგატეხისა, მე არ შემიძლია მივატოვო იმედი, რომ საყოველთაო განიარაღების იდეა გაიმარჯვებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ“-ო, ასკვნის შტრეზემანი. ეს იდეა უეჭველად გაიმარჯვებს, მაგრამ არა შტრეზემანების, პუანკარეების და კულიჯების წყალობით, რა თქმა უნდა, არამედ მათი დამხობის, კაპიტალისტური რეჟიმის მოსპობის და პროლეტარული რევოლუციის გზით.

⁂

პოლონეთში გაიხსნა „საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული სეიმი“, როგორც ამბობს მისი ეხლანდელი თავმჯდომარე პეპესოველი დაშინსკი. კარგად ვიცით, თუ როგორი ხასიათისა იყო ეს „საყოველთაო ხმის მიცემა“. ძნელი წარმოსადგენია ხალხის ნებისყოფის, დემოკრატიული პრინციპების ასე ფეხქვეშ გათელვა, როგორც ამას ადგილი ქონდა პოლონეთში არჩევნების დროს. მშრომელ მასსების და ეროვნულ უმცირესობათა უმაგალითო დევნა, პოლიციელის მათრახის თარეში, მუშურ - გლეხურ მთლიანობის საარჩევნო სიების გაუქმება და მრავალი სხვა სიკეთე უხვად ახლდა „საყოველთაო“ არჩევნებს პოლონეთში. თუ საერთოთ ოთხფორმულიანი საარჩევნო სისტემა ბურჟუაზიულ ქვეყნებში გამოგონილია ხალხის ნებისყოფის ფალსიფიკაციისათვის, უკანასკნელმა არჩევნებმა პოლონეთში ეს ერთხელ კიდევ ცხადყო.

ასე თუ ისე, ახალი სეიმი არჩეულ იქნა და ის უკვე შეუდგა „მუშაობას“ სეიმის გახსნისას მომხდარმა სკანდალმა უფრო ცხადყო ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის სრული არარაობა. მიუხედავად რეპრესიებისა, პილსუდსკიმ ვერ მოახერხა რევოლიუციონურ და ნამდვილ ოპოზიციონურ ელემენტების განადგურება. მათი წარმომადგენლები, თუმცა მცირე რაოდენობით, გავიდნენ სეიმში. კომუნისტ და ზოგიერთ სხვა რევოლიუციონურად განწყობილ დეპუტატებმა პილსუდსკის მოუწყვეს ობსტრუქცია, რაც თვით ბურჟუაზიულ პარლამენტების პრაქტიკითაც „დაშვებულია“. მაგრამ ყოვლის შემძლე პილსუდსკი ამას აბა როგორ შეურიგდებოდა. მის თვალის დახამხამებაზე სეიმის სხდომაზე შემოიჭრა შინაგან საქმეთა მინისტრი შეიარაღებულ პოლიციელებით, რომელთაც სტაცეს ხელი ობსტრუქციის მომწყობ დეპუტატებს, გარეთ გაითრიეს, სცემეს და საპატიმროში ჩააგდეს. სეიმის უმრავლესობამ ხალხის „უზენაეს“ ორგანოს ასეთი შეურაცყოფა გადაყლაპა.

მაგრამ პილსუდსკი ამითაც არ კმაყოფილდება. ის მოითხოვს, რომ სეიმი იყოს მისი სრული უსიტყვო მორჩილი, სეიმის დღის წესრიგის შედგენაში მთავრობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი სეიმმა უნდა დაამტკიცოს, პრეზიდენტის უფლებები გაფართოებულ იქნეს სეიმის უფლებათა შეკვეცის გზით, ე. ი. სეიმი იქცეს მთავრობის ქვემდებარე და სურვილების მატარებელ სალაყბოდ, — ასეთია პილსუდსკის მოთხოვნა, ესაა პარლამენტარიზმის სრული გაუქმება.

აღსანიშნავია, რომ პილსუდსკიმ ერთ საკითხში დამარცხება განიცადა, სახელდობრ სეიმის თავმჯდომარედ არ გავიდა პილსუდსკის კანდიდატი ბარტელი, მის მაგივრად არჩეულ იქნა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ლიდერი დაშინსკი. ამის შემდეგ ლაპარაკობდნენ, რომ სეიმის დღეები დათვლილია. მაგრამ მთავრობა ჯერ-ჯერობით თითქო არ ფიქრობს სეიმის დათხოვნას და მის მუშაობაში ვითომდა მონაწილეობის მიღებასაც აპირობს. პილსუდსკი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს არა სეიმისადმი პატივისცემით, რა თქმა უნდა, არამედ იმით, რომ ეშინია უცხოეთში უფრო არ შეირყეს მისდამი ისედაც შერყეული ფინანსიური ნდობა.

პილსუდსკი მით უფრო „ითმენს“ სეიმს, რომ „ოპოზიციონერი“ პეპეესოველები ეხმარებიან მას სეიმის „მოთვინიერებაში“. დაშინსკიმ განაცხადა: „პოლონეთში მოქმედებს დიქტატურა მარშალ პილსუდსკის სახით. მეორე მხრით, არსებობს ნებისყოფა, რომელსაც გამოხატავს საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული სეიმი. საჭიროა ამ ფაქტების შეთანხმება. მე, როგორც სეიმის თავმჯდომარე, ხელს შევუწყობ ამას“-ო. როგორ მოხერხდება ამ ორი მომენტის შერიგება? პილსუდსკი თავის დიქტატურაზე ხელს ვერ აიღებს. მაშასადამე, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ სეიმის დამონებაზე დიქტატორის ნებისყოფისადმი. პეპეესოველები ოპოზიციონური სიტყვიერების საფარველ ქვეშ არსებითად ამ ხაზს გაატარებენ.

ხოლო თუ სეიმი გაბედავს იქონიოს საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხზე და მის გატარებას შეეცადოს, ის უცერემონიოდ კარიკილო იქნება, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა. პარლამენტარიზმის მდგომარეობა პოლონეთში გამოხატულებაა იმ კრიზისის, რომელსაც პარლამენტარიზმი საერთოთ განიცდის. ბურჟუაზია მასსების დასამონებლად ყველგან ადგება ფაშისტურ გზას, ვინაიდან „დემოკრატიული“ მეთოდები ამისათვის უკვე საკმარისი არ არის.

ამ ორი სისტემის შეთანხმების ცდას, რაზედაც დაშინსკი ოცნებობს, გრძელვ შენარჩუნებას დემოკრატიული ილიუზიებისა, რომელნიც სოციალ - გამცემლების ხელში მასსების რევოლიუციონურ ენერგიის მოდუნების საშუალებას წარმოადგენენ, — რევოლიუციონური პროლეტარიატი ებრძვის, რომ მოსპოს, როგორც ფაშიზმი, ისე მისი მასაზრდოებელი ბურჟუაზიული დემოკრატია, და თავის დიქტატურის დამყარებას მოუმზადოს ნიადაგი.

⁂

ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულას მოგზაურობა დიდ უსიამოვნებას აყენებს ინგლისის მმართველ წრეებს. ლონდონში და ეგვიპტეში მისი ჩასვლა საბაბი შეიქნა ანტიბრიტანულ დემონსტრაციებისათვის. ეხლა ის აპირობს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას. ეს დიდ ნერვიულობას იწვევს ლონდონში. არ იყო და კონსერვატორების პრესა აფრთხილებდა ფადიშაჰს, თითქოს ის საბჭოთა კავშირში გამგზავრებით თავის სიცოცხლეს საფრთხეში ჩააგდებს. შემდეგ ავრცელებდნენ ხმებს, რომ მან გადასწყვიტა ჩვენს სახელმწიფოს არ ეწვიოს. მაგრამ ასეთ ხრიკებმა არ გასჭრეს და გუშ. „დეილი ტელეგრაფ“ იძულებულია აღიაროს, რომ მისი წინანდელი ცნობა, ვითომდა ფადიშაჰს უარი ეთქვას საბჭოთა კავშირში გამგზავრებაზე, უსაფუძვლო აღმოჩნდა.

საგულისხმოა, თუ როგორ კომინტარიებს უკეთებს გაზეთი ამანულას მომავალ გამომგზავრებას საბჭოთა კავშირში და როგორ ხდის მას ამისათვის ბოდიშს; ის სწერს: „მის უდიდებულესობას, რასაკვირველია, სურს მოიგოს თავაზიანობის ვალი ავღანისტანის მეზობლების წინაშე. ინგლისის ოფიციალურ წრეებისათვის გასაგებია მისი მოსაზრებები და ყოვლად უსაფუძვლოა ის აზრი, თითქოს ინგლისის წრეები მისი მოსკოვში ავღანისტანის ფადიშაჰის გამგზავრებას არ უყურებდენ სრული დამშვიდებით. ინგლისს არ ეშინია იმის, რომ ინგლისის პირობებს შეადარებენ საბჭოთა კავშირის სინამდვილეს“.

„დეილი ტელეგრაფ“ ამაოდ ცდილობს დაფაროს ლონდონის მთავრობის შიშიანობა. საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის დამყარებულია მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მოსალოდნელია, — უფრო განმტკიცდება ფადიშაჰის მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ, ინგლისი კი ამას ვერ ურიგდება. მისი მიზანია დაუფლება ავღანისტანის, რომლის დამოუკიდებელი არსებობა სტიმულს წარმოადგენს აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების განმანთავისუფლებელ მოძრაობისათვის და მისი გადაქცევა ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება საძნელო საქმეა. „დეილი ტელეგრაფ“-ის თქმით, ინგლისის მმართველთ არ ეშინიათ, რომ ინგლისის პირობებს საბჭოთა სინამდვილეს შეადარებენ. მაგრამ ეს ცარიელი სიტყვაა, რომელიც სწორედ ამ შიშს ამჟღავნებს. მართლაც, რა ნახა ფადიშაჰმა ინგლისის კოლონიებში მოგზაურობის დროს? — ბრიტანეთის იმპერიალიზმის ქუსლ ქვეშ მგმინავი ხალხები. ჩვენში კი რა მოგვამოტყობა! ხალხთა სრული თანასწორობა და მათი ძმური თანამშრომლობა. ამანულასათვის საინტერესო ეს ძირითადი განსხვავება არა გვგონია ინგლისის სასარგებლოდ მეტყველობდეს.

ავღანისტანმა ინგლისთან ბრძოლაში დამოუკიდებლობა მოიპოვა მეტ წილად ოქტომბრის რევოლუციის შედეგად და საბჭოთა მთავრობის დახმარებით. საბჭოთა მთავრობის [illegible] ხალხთა თავისუფლება. სხვათა შორის, ავღანისტანთან ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულება სრული თანასწორობის საფუძველზე ამის დამადასტურებელია. და შემდეგშიც ავღანისტანის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ პირობას უეჭველად წარმოადგენს მისი მეგობრული განწყობილება საბჭოთა კავშირთან. ეს საკმაოდ აქვს შეგნებული ავღანისტანის მმართველთ, რომ არ ვილაპარაკოთ მის მშრომელ მასსებზე, და ამ შეგნების აღმოფხვრა საეჭვოა ინგლისელმა იმპერიალისტებმა მოახერხონ.

ბ. ქ—ლი.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

ა.-კ. ცაკის მოწოდება

გლეხებს, გლეხ-ქალებს, სოფლის მუშაკებს და მშრომელ ინტელიგენციას

ამიერ-კავკასიის ფედერაცია ამჟამად შევიდა თავისი სამეურნეო განვითარების ისეთ პერიოდში, როცა ჩვენ აღარ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ომამდე არსებული დონის მიღწევებით, არამედ, ჩვენ სწრაფი ტემპით უნდა წავიდეთ წინ.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა წინ უნდა წავიდეს ახალი, სოციალისტური ნიადაგზე, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ტემპთან სრული შეფარდებით, რამაც თავის მხრივ უნდა გამოიწვიოს მუშათა კლასის და გლეხობის ნივთიერი და კულტურული დონის აწევა. ამისათვის კი აუცილებელია მედგარი ბრძოლის წარმოება და ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოო ძალთა მობილიზაცია. მაშინ, როდესაც მრეწველობა და მუშათა კლასი ამ მობილიზაციას ატარებენ წარმატებით, ჩვენს სასოფლო- მეურნეობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი კონსერვატიზმისა და პატრიარქალობის ელემენტებს. აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭ. რესპუბ. ყოველმა გლეხმა და გლეხ-ქალმა სოფლის ყოველმა მუშაკმა ნათლად უნდა გაითვალისწინოს ის, თუ რამდენად გამოუსადეგია, რამდენად ჩამორჩენილია გლეხის შრომისა და საშუალებათა იმგვარი გამოყენება, როგორც დღემდე აქვს ადგილი მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწებზე. ამიერ-კავკასიის ფედერაციის მრავალ რაიონში უკვე ეხლავე ანებებენ თავს მიწის მამა-პაპური წესით დამუშავებას, იზრდება კოლექტიური და სამანქანო ამხანაგობანი, მიწას სთესენ გლეხის მეურნეობისათვის ფართო სასარგებლო, შემოსავლიანი კულტურებით: როგორიცაა: ბამბა, თამბაქო, ჩაი, კანაფი და სხ. წარმოების უფრო მაღალ დონეზე გადასვლისათვის ამხ. ლენინმა დასახა შემდეგი გზა: მცირე და საშუალო შეძლების მეურნეობათა გაერთიანება, ამხანაგობათა, არტელებისა და კოლექტივების შექმნა მიწის ერთად დამუშავებისა და მთავრობის მიერ სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის ჩასატარებლად გადადებული თანხების საზოგადოებრივად გამოყენებისათვის, სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებისა და აგრეთვე იმ კულტურული ძალების (მაგ. აგრონომები და სხ.) ჯეროვანად გამოყენება, რომელთა რაოდენობა ჯერ კიდევ საკმაო არ არის.

ამხანაგებო გლეხებო და გლეხ-ქალებო! იწყება საგაზაფხულო თესვის დრო. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა ეხლავე შეუდგეთ ამ კამპანიის გამოყენებას ჩვენი მეურნეობის საწარმოო ძალთა აღორძინების მიზნით, პირველ რიგში აუცილებელია გავადიდოთ ნათესის სივრცე. ნათესი სივრცის გადიდებით თქვენი მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება მეტი რაოდენობით მიიღოს პური და აგრეთვე მეტი რაოდენობით [illegible], რომ „ნათესი სივრცის გადიდებას[illegible]ან ერთად, გადიდებულ იქნეს ყველაზე უფრო სასარგებლო საბაზრო [illegible]ცვლეული კულტურების და აგრეთვე ტექნიკური კულტურების ნათესები—ბამბა, კენაფი, ჯუტი და სხ. ყოველ გლეხს და გლეხ-ქალს უნდა ახსოვდეს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციას ნედლეულის მიწოდების მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის. აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის რევოლიუციონური გლეხები და გლეხ-ქალები, რომელთაც ნათლად აქვთ გათვალისწინებული მომავალი თესვის კამპანიის დიდი მნიშვნელობა და რომლებიც შეგნებულ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ მშენებლობაში, ყოველ ძალ-ღონით შეეცდებიან შეუწყონ ხელი თავის მთავრობას იმ მონაპოვართა განმტკიცებაში, რომლებიც მიღწეულ იქნა ამ.-კავკ. [illegible] რესპუბლიკის მშრომელთა [illegible] დახმარებით. ამ.-კავკ. ერთსულოვანი—გლეხები და გლეხ-ქალები [illegible] ისეთივე ენერგიულ დახმარებას [illegible] საბჭოთა მთავრობას, როგორც გაუწიეს ბურჟუაზიის და მემამულეთა ლაქიების განადგურებაში, [illegible]თაც სურდათ ხელი შეეშალათ [illegible]იზმის მშენებლობისათვის ამ.-კავკასიაში.

[illegible]აგებო, სოფლის მუშაკებო და მშრომელო ინტელიგენციავ! [illegible] წინაშე სდგას საპასუხისმგებლო [illegible] დაეხმაროთ გლეხობას [illegible] საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში. [illegible]-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ ეს კამპანია მაქსიმალური წარმატებით ჩატარდეს. [illegible]-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში; [illegible] მნიშვნელოვანი თანხებია გადადებული კამპანიის ჩატარებისათვის; ა.-კავკ. [illegible] მობილიზაცია მოუხდინა ყველა [illegible] რესურსებს, რომლებიც მის [illegible]ულებაშია გლეხობისათვის და [illegible]ის აღმოსაჩენად. თქვენ უდიდესი ენერგია უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ნამდვილი დახმარება აღმოუჩინოთ გლეხებს მიმდინარე თესვის კამპანიის ამოცანების შესრულებაში. ყოველგვარი საშუალებით უნდა [illegible]ოლოთ ფორმალურ დამოკიდებულებას თქვენს წინაშე დასმული [illegible]ნებისადმი. მაგრამ კიდევ უფრო [illegible]ად უნდა ებრძოლოთ ისეთ მო[illegible]ებს, როგორიც მაგ., კამპანიისათვის გადადებული თანხების შეჩერება, თანხების დაგვიანებით განაწილება [illegible] პირდაპირი დანიშნულებით გა[illegible]ბა.

[illegible]ოფლო საბჭოების მუშაკებო, [illegible] დაირის სათემო აღმასკომების [illegible] ყველა საფეხურის საბჭოების მუშაკებო! თქვენ მაქსიმალური ინიციატივა [illegible] ენერგია უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ გამოიყენოთ თქვენს განკარგულებაში მყოფი და მთავრობის [illegible]ნიშნული საშუალებანი. ყველა [illegible]ურის საბჭ. აპარატის გამოცდილება აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული თესვის კამპანიაში. თესვის [illegible]ნიისათვის გადადებული თანხები [illegible]ესად უნდა გამოვიყენოთ ღარიბ[illegible] გაერთიანებებისათვის კოლექტიურ მეურნეობაში, რომ ეს თანხები [illegible]ებლად არ დაიფანტოს ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის. ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ აგრონომიულად მყოფი ინტელიგენციის [illegible]ურული ძალები, დავრაზმოთ [illegible]დოებრივი აზრი, წავახალისოთ [illegible] მეურნეობათა მიღწევები და [illegible] მხრივ შეუწყოთ ხელი სასარგებლო აგრო-კულტურულ მუშაობას.

[illegible]რ-კავკასიის ცაკი სოფლის ყოველ [illegible]ჭოთა მუშაკს და სოფლის ინ[illegible]ენტს აკისრებს გამოიჩინონ [illegible] აქტიობა და ინიციატივა მიმ[illegible] თესვის კამპანიის ჩატარებაში; [illegible] დარწმუნებულია, რომ [illegible] კამპანიის საპასუხისმგებლო [illegible]ნა წარმატებით იქნება შესრულებული თქვენი დახმარებით.

[illegible]აქის საბჭოებმა უნდა მიიღონ [illegible] იმისათვის, რომ ენერგიულად [illegible]ვდენ ის ორგანიზაციები, რომ[illegible] ევალება თესლეულის მასალების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების [illegible]ანქანების მიწოდება სოფლისათვის. ამასთანავე საბჭოების მუშა[illegible] თივი უნდა გამოიყენონ მუშათა [illegible] კოლისა და მეთვალყურეობის [illegible].

[illegible]ნიის ჩატარების ყველა მი[illegible] და ნაკლულოვანებანი ფა[illegible] უნდა იქნეს გაშუქებული [illegible]საში. ამ.-კავკ. ცაკის წევრებ[illegible] [illegible]ლებიც სოფლად მუშაობენ, [illegible]ხრივ უნდა გაუწიონ დახმარე[illegible] [illegible]ის კამპანიის ჩატარებას, უნდა [illegible] ამ კამპანიისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას და აცნობონ ამ.-კავკ. ცაკს ყოველი ისეთი შემთხვევა, როცა დარღვეულ იქნება ეს დირექტივა, ან დაშვებულ იქნება მისადმი ფორმალური მოპყრობა.

მაშ წინ, ენერგიული ბრძოლა და მუშაობა იმისათვის, რომ გადამჭრელი გამარჯვება იქნას მოპოებული ბუნების სტიქიაზე და აღმოფხვრილ იქნას ძველი მამა-პაპური სამყაროს ხაჯი, უმეცრება, და კონსერვატიზმი.

ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ტაბიძე.**

რა ზომებია მიღებული საგაზაფხულო თესვისათვის

(წერილი სიღნაღიდან)

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო სამეულმა პირველი ნაბიჯები გადადგა სათესლე მასალის მოსამარაგებლად. მიღებულ ზომებით დღემდე შეძენილია ათი ვაგონი თესლეული, გარდა იმისა, რომ სათესლე მასალის შესაძენად შუამდგომლობაა აღძრული სათანადო რესპუბლიკანურ ორგანოებთან, სწარმოებს თესლის დამზადება ადგილობრივ, საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. წარმატებით მიმდინარეობს სიმინდის, მზესუმზირის და ბამბის თესლის დამზადება; რომლის მარაგიც მაზრის ფარდულებში საკმარისად არის. რაც შეეხება ხორბლისა და ქერის თესლის დამზადებას, ამ მხრივ მეტი დაბრკოლებებია.

თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო სამეულის ინიციატივით ამ დღეებში წნორისწყალზე გაიხსნება სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო, ეს სახელოსნო უდიდეს დახმარებას გაუწევს თესვის კამპანიის დაუბრკოლებლად ჩატარებას. სამაღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილებას და მაზრის აგრონომს წინადადება აქვთ მიცემული დაჩქარებით აღრიცხონ დაზიანებული იარაღ-მანქანები და დროზე შეაკეთონ ისინი.

გარდა ამისა, იმავე სამეულის დადგენილებით შემუშავებულია ტრაქტორებით, საწამლი და სარკავი მანქანებით სარგებლობის დროებითი ნიხრი. ამ მიზნით საგრძნობლად შემცირებულია ყველა სამეურნეო მანქანებით და განსაკუთრებით ტრაქტორით სარგებლობის ქირა. ასე მაგალითად, თუ დღემდე ერთი დესეტინა მიწის მოხვნა და დაფარცხვა საშუალოდ ღირდა 18 მანეთი (კერძო გლეხები ხარის გუთნებით იღებდნენ 25 მანეთამდეც), ზემოხსენებული ნიხრის მიხედვით ერთი დესეტინის მოხვნა-დაფარცხვა დაყვანილია 9 მანეთამდე. ეს ნიხრი სავალდებულოა, როგორც ყველა სახის კოლექტივებისათვის, ისე კერძო პირთათვის. ამასთანავე მიღებულია ზომები, მაზრაში მყოფი ყველა იარაღ-მანქანების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

დამტკიცებული წესის თანახმად ღარიბ გლეხების მიწები მოხნული უნდა იქნას ზემოხსენებულ ნიხრზე 10 პროც. დაკლებით.

საწვავი მასალის (ნავთი, მაზუთი), განმანაწილებელი პუნქტი დღემდე მაზრაში იყო მხოლოდ ერთი. ტრაქტორებს მაზრის ყველა კუთხიდან უხდებოდათ საწვავი მასალის წასაღებად ამ პუნქტში მოსვლა, ამჟამად საწვავი მასალით სარგებლობის გაადვილების მიზნით მაზრის 4 პუნქტში (იქ სადაც არის ტრაქტორების საკმაო რიცხვი), საწვავი მასალის მომარაგება და გაცემა დავალებულ ადგილობრივ რაიონულ ეპოებს.

თესვის კამპანიის ჩატარების გეგმის თანახმად, სათესი მასალით და იარაღ-მანქანებით პირველ რიგში დაკმაყოფილდებიან კოლექტივები და უღარიბესი გლეხობა, შემდეგ კი საშუალო გლეხობა.

იმ კოლექტივებს, რომელთაც დღემდე მოა[illegible]რეს თავიანთ განკარგულებაში მყოფი მიწების მოწყობა. მიეცათ კონკრეტიული დირექტივები იმის შესახებ, თუ რომელი კულტურის ხარჯზე აწარმოონ სათესი არეს გაფართოება.

სპეციალურმა გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ შემოდგომის სათესი ადგილები დაუთესავი დარჩა მაზრაში 25 პროც. თესვის კამპანიის სამეულს მიზნად აქვს დასახული იმ მიწების მთლიანად დათესვა, რომელიც შემოდგომაზე ვერ დაითესა.

კამპანიის მიმდინარეობის პროცესში აშკარავდება, რომ შირაქის რაიონში კულაკები აპირობენ ერთგვარი საბოტაჟის შექმნას ნათესი არეს შემცირების მიზნით. კულაკები პროვოკაციას ეწევიან და ხმებს ავრცელებენ თითქოს „წელს ზედმეტ ხორბალს და ქერს ყველას ჩამოართმევენ“, „ხორბლის და ქერის გაყიდვა აკრძალულია“-ო და სხვა. რასაკვირველია, კულაკები, რომლებიც სოფლის და თემის საბჭოების მიერ სათანადოდ არიან შეზღუდულნი, ცდილობენ თესვის კამპანიის ჩაშლის წყალის ამღვრევით საშუალო გლეხობა დააშინონ და მიიმხრონ. მაგრამ თესვის კამპანია მაზრაში ისე მასიურად და გრანდიოზულად არის გაშლილი, რომ არავითარ პროვოკაციას-[illegible] არ შეუძლია ამ კამპანიის ტემპს ოდნავი შენელება; ღარიბი და საშუალო გლეხობა საკმაოდ არის გარკვეული თესვის კამპანიის დიდ სარგებლობაში, რაც წარმოადგენს კამპანიის წარმატებით დამთავრების საუკეთესო გარანტიას.

ეკ. ჭოჭუა.

მგოსანი თესვის კამპანიაში

(საუბარი გლეხთან)

ათას ცხრაას ხუთში, როცა მე ძველ რეჟიმს..
როცა იმ საძაგელს მტრულად გავეფიცე,
„ძველის“ საძულველად მე მივმართე „[illegible]“
და ამ მიმართვაში მე ვიყავი მტკიცე!
უარვყავი მაშინ წიგნი და ქაღალდი,
და დროებით მიწას მხნეულად მოვევლინე,
მოვიმარჯვე ხელში: ბარი, თოხი, წალდი,
კერპად გადამექცა ველი, მობიბინე!..
შენც მომეცი ხელი და მათხოვე კავი,
ცალი ხარი მყავდა, ცალიც ვიქირავე;
განა, ცოტა იყო მიწა მოსახნავი,
და მეც იქ ადგილი მტკიცედ დავიკავე!..
შენ მითხარი მაშინ: „თუ რომ მემამულე
მოგადგებს და მკვახედ რამე სიტყვა გტყორცნოს,
მაშინ მფარველ ძალად იხევ მე მიგულე:
მისი შუბლი ტყვიით უნდა გაიკოცნოს!..
ხოქვი ეს და მარჯვენა შენ დაუსვი ლულას,
ილლიამხრად გვერდზე რომ გეკიდა თოფი;
მაშინ მათგან ბევრი ჩვენ გვიმზერდა მტრულად,
დორბლს რომ ჰგვრიდა ჩვენზე აღელვების ცოფი!..
მაშინ თესვის დროებს ჩვენ ისე ვხვდებოდით,
როგორც აღდგომის დღეს—ჩვენი მამა-პაპა!
ნებსით მემამულის კავშიც ვებმებოდით,
არა გვშურდა ჯანი და ოფლი კაპ-კაპა!..
იყო მემამულე მეტად უდიერი,
და ჩვენ მაშინ მიტომ იმ წესს გავეფიცეთ:
„ექამს“ ხადოხტაქროდ მივუჩინეთ მტერი,
და ამ ჩვენს განზრახვას ჩვენ ვიდექით მტკიცეთ!..
აკი იგრიალა რისხვის მეხმა ძლევით!
დაგვრჩა მემამულის ყანაც, ეზოც, ოდაც,
რადგან მაშინ სახნისს ჩვენ ღრმათ დავაწვეთით,
თორემ მიწაც დღეს ვრცლად აღარ გვქნებოდათ!..
ახლა ხვნა-თესვაში გვალვაც ხელს ვერ გვიშლის,
რადგან მდინარეებს არხები მოვახსხით
და მიწკომიც შორით დღეს პირაქეთ გვითვლის:
„მოვდივარ სათესლით, ტრაქტორით და ფარცხით!
ოღონდ დაიზამბრე ძველებურად მკლავი!..
ოღონდ სახნავ მიწის თავში დამხვდი შენცა!..“
განა, თესკაფეს ხმაა, გულსაკლავი,
ამ დაძახილით რომ გული გაიკენწლა?!.
გაიკენწლა გული?.. გულში ჩადგა იგი,
როგორც გაზაფხულზე ყვავილებში წვენი!
რადგან ეს იძახის საბჭოთა წესრიგი,
ეს ხელისუფლება და ნებაა ჩვენი!..
„ჩვენი თავი ჩვენვე ასე გვეყუდნიეხ!..“
თესვის კამპანიავ, დამპატიჟე მეცა!..
— „მოდი“! მეზობლებმა ხელი დამიქნიეს..
— „მოდი“!. .მიცინიან და მიცინის მზეცა...
მეცინება მეც კი, რადგან მხვნელ-მთესველად
წარმომიდგა თავი ათას ცხრაას ხუთში:
მაშინ გლეხებივით მეც ვიდექი ველად
და მეც გლეხებივით თავი მქონდა ქუდში!

ნ. ზომლეთელი.

თესვის კამპანია გაცხოველებით სწარმოებს

(წერილი სენაკიდან)

22 მარტს, სამაზრო აღმასკომთან შექმნილმა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელმა სამაზრო სამეულმა მოიწვია სენაკის მაზრის ყველა აგრონომების და საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელთა ფართე თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით.

თათბირი გახსნა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ქურულორიამ, რომელიც დანიშნულია სამაზრო სამეულის თავმჯდომარედაც. მან თათბირს გააცნო ის ღონისძიებანი თესვის კამპანიის ჩატარების, შესახებ, რაც შემუშავებული აქვს სამაზრო სამეულს და რაც უნდა გატარდეს დაჩქარებითი წესით სოფლად აგრონომებისა, გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების და საკრედიტო ამხანაგობათა აქტიური და უშუალო ხელმძღვანელობით სათემო ხელისუფლებასთან ერთად. ეს ღონისძიებანი მდგომარეობენ შემდეგში:

1. გამოთხოვილ იქნას ცენტრიდან სასწრაფოდ და დამზადდეს ადგილობრივ 23 ათასი ფუთი სათესლე სიმინდი. სიმინდი დამზადებულ იქნას შემდეგი საკრედიტო ამხანაგობების მიერ შემდეგი განაწესით: აბაშის საკრედიტო ამხანაგობამ უნდა დაამზადოს 10 ათასი ფუთი სიმინდი, ბანძის 3 ათასი, მარტვილის—3 ათასი, დიდი-ჭყონის 3 ათასი, ნოქალაქევის 1 ათასი და ძველ-სენაკის 1 ათასი ფუთი.

2. თესვის სამაზრო სამეულის რწმუნებულად თემებში დანიშნონ თემის აღმასკომების თავმჯდომარეები, რომელთაც ევალებათ სისტემატიურად აღრიცხონ სიმინდის ის რაოდენობა, რომელიც ამჟამად არის დაგროვილი ან ამიერიდან შემოვა თემებში არსებულ წისქვილებში და კერძო საწყობებში, ხოლო საკრედიტო ამხანაგობებს დავალებული აქვს ასეთი სიმინდის შესყიდვა.

3. სათემო რწმუნებულებს დაევალა აღრიცხონ სოფლად სიმინდის ზედმეტი მარაგი, რომელიც მოიპოვება კერძო პირებს.

4. სამაზრო აგრონომი მივლინებული იქნება ბუჯმეთის სახალხო მამულში სათესლე სიმინდის შესასყიდათ.

5. სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების მიერ დამზადებული სათესლე მასალა, სანამ ის გლეხობას დაურიგდებოდეს, უნდა იქნეს გატარებული დეზინფექციაში.

6. წინადადება მიეცათ: ა) სენაკის და აბაშის საკრედიტო ამხანაგობებს დაუყოვნებლივ შეაკეთონ და წესრიგში მოიყვანონ მათ განკარგულებაში არსებული ტრაქტორები, ბ) აბაშის სამუშაოთა სამმართველომ დაუყოვნებლივ უნდა გადმოსცეს სამაზრო აღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილებას მის ხელში არსებული ტრაქტორი, გ) მაზრაღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილებას დაუყოვნებლივ შეაკეთოს და სამუშაოდ მოამზადოს მის განკარგულებაში არსებული ტრაქტორები, დ) რაიონულ აგრო-პუნქტებს და გლეხურ ახალგ. სკოლებს—დაუყოვნებლივ შეაკეთონ მათს განკარგულებაში არსებული სას.-სამ. იარაღები და ასეთით უფასოდ ასარგებლონ გლეხები, ე) აღძრულ იქნას შუამდგომლობა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებისათვის სამარგლავი მანქანების დამატებით შეძენის და აგრეთვე მათთვის სესხის მიცემის შესახებ მუშა-საქონლის შესასყიდათ ადგილობრივ ბაზარზე.

7. მიწად-მოქმედების განყოფილებამ უნდა წარმოადგინოს 2 დღის ვადაში ძვირფასი კულტურების ნერგზე არსებული მოთხოვნილების რაოდენობის შესახებ დასაბუთებული მოხსენება.

8. ამხანაგობა „მეჯოგე“-ს დაევალა სამი დღის ვადაში წარმოადგინოს მაზრაში საქონლის საკვების შემოზიდვის და შემოტანილი საკვების განაწილების გეგმა. აგრეთვე ფასები უნდა შეთანხმებულ იქნას სამაზრო სამეულთან.

9. სამანქანო და კერძოდ მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობების დასაარსებლად აგრონომებს დაევალა განსაკუთრებულ ღონისძიებათა მიღება.

10. მიწათ-მოქმედების განყოფილებას დაევალა სასწრაფოდ გამოარკვიოს მაზრაში არსებული სას.-სამ. კოლექტივების მდგომარეობა მათთვის საჭირო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

11. დაევალა თემსამეულებს სწორად აღრიცხონ ის უკიდურესი ღარიბი გლეხები, რომელთაც სრულიად არ მოეპოვება სათესლე მასალა და წარმოადგინონ სათანადო ცნობები არა უგვიანეს 1-ლ აპრილისა.

12. თემებთან სწრაფი კავშირის დასამყარებლად სამაზრო მილიციამ გამოყოს სპეციალურად თესვის საქმისათვის სამი ცხენოსანი მილიციელი, ხოლო რაიონის მილიციამ კი თითო. 25 და 26 მარტს მაზრის 5 მთავარ პუნქტში მოიწყო სათემო აღმასკომების და ყველა აგრონომების და საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირმა გამოიმუშავა სახელმძღვანელოდ მიიღო ყველა ეს დირექტივა.

ამნაირად თესვის კამპანიის ჩატარების საქმე ჩვენს მაზრაში მყიდრ ნიადაგზე დადგა და მტკიცედ სწარმოებს.

ამ საქმეში უკიდურესი მნიშვნელობა აქვს თუ რა სისწრაფით და რა ენერგიით გაატარებენ ამ დირექტივებს სოფლად მომუშავე საკრედიტო ამხანაგობები, აგრონომები, გლეხური ახალგაზრდობის სკოლები, აგროპუნქტები და სამაზრო სამეულის სათემო რწმუნებულები.

ამხ. ქურულორიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღეიდანვე აგრონომებმა და ყველა დასახელებულმა ორგანიზაციამ არ უნდა გააცდინონ ერთი საათიც კი, რომ რამე არ [illegible] კამპანიის ჩატარებისათვის, საჭიროა ფართოდ გაშლა აგიტაცია-პროპაგანდის, საჭიროა მისვლა გლეხთა კრებებზე და მათი ამოძრავება, პრაქტიკული მაგალითების მიცემა სამანქანო და მიწის დამმუშავებელ ამხანაგობათა დაარსებისათვის.

თათბირმა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიიღო სახელმძღვანელოდ დირექტივები და დაიშალა იმ მიზნით, რომ წელს მიუხედავად თესვის დაგვიანებისა სენაკის მაზრის ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები და პირები მიიღებენ ზომებს, რომ არც ერთი ნაკვეთი მიწა არ დარჩეს ჩვენს მაზრაში დაუთესავი.

ბ. უჩანეიშვილი.

თამბაქოს პლანტაციების გაშენება

ხანგრძლივმა ზამთარმა და დიდმა თოვლმა დააგვიანა მუშაობა თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად. როგორც კი თოვლი გადნება, დაიწყება პირველი ხვნა თამბაქოს დასათესად. ამჟამად კი მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა—სათბურების მოწყობა და საპლანტაციო ადგილების შემოღობვა. პლანტატორები უზრუნველყოფილი არიან თამბაქოს თესლით.

მათამბაქოეების კოოპერატ. კავშირის აგრონომიული პერსონალი კომკავშირთან ერთად წარმატებით აწარმოებს პროპაგანდას თამბაქოს მეურნეთა შორის მიწის განოყიერების შესახებ. გლეხებს ურიგებენ პოპულიარულ ლიტერატურას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოონ გეგმიანი მუშაობა თამბაქოს პლანტაციებზე..

კულტურული ძალები სოფელს

(წერილი მოსკოვიდან)

მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი, პოლიტგანათლების მუშაკი სოფელს—აი ამოცანა, რომელსაც პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მთელი თავისი სიმწვავით აყენებს კულტურული რევოლიუციის საკითხები.

სოფელი ითხოვს ამ კულტურულ ძალებს, სოფელი ათასობით გზავნის მოთხოვნილებას მათზე, მაგრამ ეს მოთხოვნილებები უმეტეს შემთხვევაში დაუკმაყოფილებელი რჩება, მიზეზი აქ, რა თქმა უნდა, ერთის მხრივ კულტურული ძალების სიმცირეა. მაგრამ ყველაფერს ამ გარემოებასაც ვერ დავაბრალებთ. საქმე ისაა, რომ ქალაქებში საკმაოდ ბლომადაა თავმოყრილი სწორედ იმ დარგის კვალიფიციური მუშაკები, რომელთა ნაკლებობას ასე მწვავედ განიცდის სოფელი. მოსკოვში, მაგალითად, ათასობით ირიცხება უმუშევარი ექიმი, ინჟენერი, აგრონომი. თვეობით და წლობით ელიან ისინი სამსახურს აქ, მოსკოვში, და მიუხედავად იმისა, — რომ ზოგჯერ ნივთიერადაც ძლიერ შევიწროებული არიან, სოფლად წასვლაზე მაინც უარს ამბობენ. თავის თავად ცხადია, ქალაქს არ შეუძლია გამოიყენოს თავის სპეციალობის მიხედვით კვალიფიციურ მუშაკთა მთელი ის კადრი, რომელიც მთელი ქვეყნისათვის მზადდება. ამის გამო ხშირად მაღალი კვალიფიკაციის მქონე უმუშევარი, რაკი ვერ პოულობს სამუშაოს თავის დარგში, სტოვებს სპეციალობას და სხვა სამსახურს, მისთვის სრულიად უცხო საქმეს ჰკიდებს ხელს.

ამას წინად ერთ-ერთმა ორგანომ მოახდინა მოსკოვში მთელი რიგი დაწესებულებების გამოკვლევა, რამაც მეტად საინტერესო და ყურადსაღები ფაქტები აღმოაჩინა. გამოირკვა, რომ მთელ რიგ დაწესებულებებში მთელ რიგ თანამდებობებზე ზის იმ საქმისათვის სრულიად უცხო ხალხი, რომელსაც ისინი ამჟამად აკეთებენ, სამაგიეროდ მათ აქვთ თავისი სპეციალობა და ამ სპეციალობაში გაუვლიათ საკმაოდ დიდი სტაჟი.

„ხლებპროდუქტში“, მაგალითად ბუხჰალტერის თანამდებობაზე ზის ყოფილი ძველი მასწავლებელი ქალი. ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის ყოფილი მასწავლებელი განაგებს სააღრიცხვო - ეკონომიურ განყოფილებაში მასწავლებელი — განათლების განყოფილებათა გამოცდილი მუ[illegible] პროფსკოლებისა და ტეხნიკუმის მასწავლებელი „ხლებპროდუქტში“ მუშაობს „ბიულეტენის“ რედაქტორად.

[illegible] უკეთესი სურათია მოსკოვის [illegible]ბელ კოოპერაციაში. აქ მაგალითად აგრონომი, რომელსაც მოსკოვის [illegible] სასოფლო - სამეურნეო [illegible] აქვს გათავებული მუშაობს [illegible] განყოფილების აგენტობაზე. მეტყავე, რომელსაც ტყეო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, მუშაობს საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. საინტერესოა, რომ კოოპერაციის რაციონალურ ბიუროს განაგებს ძველი ფარმაცევტი, საქმეთა მმართველის თანამდებობაც ფარმაცევტს უჭირავს.

[illegible]ების სახალხო კომისარიატში ერთ განყოფილებას განაგებს ექიმი, [illegible] ინჟენერები და ფარმაცევტები [illegible] დარგში კონსულტანტ არიან და სხვა. ამ მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

[illegible] ეს მდგომარეობა?

[illegible]ვენებს, რომ კვალიფიციური მუშაკები [illegible] სოფელს. განათლების სახალხო კომისარიატის (რუსეთის) ცნობით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებიდან 6.000 კაცია გამოშვებული. [illegible] ეს ხალხი? — გამორკვეულა, რომ დიდი უმრავლესობა ცდილობს ქალაქებში მოეწყოს.

ამ[illegible] ქალაქი გადატვირთულია კულტ[illegible] ძალებით, რომელთა გამოყენებას არ შეუძლია, ხოლო სოფელი ნაკლებობას განიცდის და მწვავედ განიცდის.

[illegible] უნდა, იმ გარემოებას, რომ კვალიფიციური ძალები გაურბიან სოფლად[illegible], თავის მიზეზები აქვთ, მაგრამ [illegible]ლისუფლება ღებულობს ზომებს [illegible] მიზეზების აღმოსაფხვრელად. [illegible] გამომუშავებულია და ნაწილობრივ ამჟამადაც მუშავდება მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლის მუშაკთა საზოგადოებრივ და ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

[illegible] სოფლის მუშაკთა სამუშაოს მოწესრიგება, ხელფასის საკითხების მოგვარება, ნათესავთა ერთად სამსახურის (მაგ. ცოლ-ქმარის და სხვ.) დაშვება სოფლად და სხვა.

ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ალბად, კულტურულ ძალების გადანაცვლებას სოფლისაკენ, მაგრამ სათანადო ორგანოებმაც უნდა იქონიონ გავლენა უმუშევარ სპეციალისტებზე.

მოსკოვის შრომის ბირჟამ, მაგალითად, უკვე შემოიღო იმ უმუშევრების აღრიცხვიდან მოხსნის პრაქტიკა, რომლებიც უარს ამბობენ სოფლად წასვლაზე.

ახალი ძალების მომზადებასთან ერთად, არსებულ კვალიფიციურ ძალთა განაწილებასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ექიმი — საავადმყოფოში, აგრონომი — აგროპუნქტზე, მასწავლებელი — სკოლაში, აი ამოცანა, რომელიც უთუოდ უნდა გადაიჭრას, ჩვენ არა ვართ იმდენად მდიდრები ჯერ კიდევ, რომ ექიმებს საბჭოლო საქმეთა კონსულტანტობა, ხოლო აგრონომებს ტყვეულობის სპეცობა დავაკისროთ.

ვ. ბერაძე.

მოსკოვი, 25 მარტი.

ამიერ-კავკასიის სატრანზიტო როლი აღმოსავლეთთან ვაჭრობაში

მეტად მნიშვნელოვანია ამიერ-კავკასიის სატრანზიტო როლი საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში აღმოსავლეთის ქვეყნებთან: ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გზით გადის საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის საქონლის აღებმიცემობის 70 პროც. და სპარსეთის მთელი ექსპორტის 15 პროც. (ტრანზიტით ბათომის გზით). ამიერ-კავკასიის გზით გადის აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის საქონლის აღებმიცემობის 17 პროც.

საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით არ აქვს უშუალო საზღვარი სპარსეთთან, ამიტომ მისი მონაწილეობა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის საქონლის აღებმიცემობაში განისაზღვრება თავის ტერიტორიაზე საქონლის გატარებით როგორც ჯულფის, ისე ბაქოს (სპარსეთის ექსპორტი) და ბათომის (ტრანზიტი) მიმართულებით. რაც შეეხება ოსმალეთს, საქართველოს მასთან აქვს სანაპირო საბაჟოები (როგორც ხმელეთის, ისე საზღვაო) ახალციხეში, ბათომში, სარპოხში, მარადიდში, ფოთში და კარზახში. საქონლის ბრუნვამ ამ საბაჟოებში 1926—27 წ. მიაღწია 3 მილიონ მან.—მეორე, აქედან ექსპორტი შეადგენდა 2,5 მილიონ მან., ხოლო იმპორტი ოსმალეთიდან 500 ათას მან.

სომხეთს აქვს უშუალო საზღვარი როგორც სპარსეთთან (ჯულფა), ისე ოსმალეთთან (ლენინაკანი). საქონლის ბრუნვამ ლენინაკანის საბაჟოში 1926—27 წელს მიაღწია 948 ათას მანეთამდე, აქედან საბჭოთა კავშირის ექსპორტი შეადგენდა 366 ათას მან., ხოლო იმპორტი 582 ათ. მან. რაც შეეხება ჯულფის საბაჟოს, იმპორტი სპარსეთში ჯულფის გზით შეადგენს მთელი საბჭოთა ექსპორტის (სპარსეთში) 5 პროც., ხოლო სპარსეთის ექსპორტი საბჭოთა კავშირში ჯულფის გზით შეადგენს სპარსეთის მთელი ექსპორტის 6 პროც.-ს. საქონლის გადაზიდვა უმთავრესად სწარმოებს ბაქო-პეხლევის გზით. სპარსეთიდან საბჭოთა კავშირში პეხლევის გზით შემოტანილ იქნა სპარსეთის მთელი ექსპორტის (საბჭოთა კავშირში) 25 პროც. ხოლო საბჭოთა კავშირიდან სპარსეთში გატანილი იქნა მთელი საბჭოთა ექსპორტის (სპარსეთში) 50 პროც.

აქედან ცხადია, რომ რამდენად ბაქო-პეხლევის საზღვაო გზა მდებარეობს ამიერ-კავკასიის შესავალ კარებთან, ამიერ-კავკასიის ძირითადი მუშაობა საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში სპარსეთთან და ოსმალეთთან ხმელეთის გზით სწარმოებს შემდეგი მიმართულებით: ბაქო, ბათომი, ჯულფა. ეს მუშაობა მთლიანად უნდა იქნას მიმართული სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესებისაკენ საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში სპარსეთთან და ოსმალეთთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის საქონლის აღებ-მიცემობა ოსმალეთთან ამიერ-კავკასიის გზით, უმთავრესად სწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე (75 პროც.).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირსა და სპარსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა მეოხებით საქონლის აღებ-მიცემობა ამ ორი ქვეყნის შორის უახლოეს წლებში მიაღწევს ომამდე არსებულ დონეს. ამ ქვეყნების საქონლის ბრუნვის ცნობები 1927—28 წლის პირველ კვარტალის განმავლობაში სავსებით ამტკიცებს ამ დებულებას, ამგვარად, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო ორგანოების წინაშე სდგას მნიშვნელოვანი ამოცანა—ამ საქონლის ბრუნვის საქმის მოწესრიგება.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ.-კავ. ს. ფ. ს. რ. ექსპორტს (რომელიც ყოველ წლივ იზრდება) ბათომის (ნავთის პროდუქტები) და ფოთის (მარგანეცი) გზით და აგრეთვე რკინის გზის პროფილს, ა.-კ. ექსპორტის ზრდა ამ მიმართულებით უნდა დაუკავშიროთ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციას და ამიერ-კავკასიის რკინის გზების საქონლის გადატანის უნარის გაძლიერებას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის საქონლის აღებ-მიცემობას ოსმალეთთან ახალციხის გზით, საქონლის ბრუნვის გაძლიერება უნდა დაუკავშიროთ ავტოტრანსპორტის საშუალებათა განვითარებას.

ამ.-კავ. ს. ფ. ს. რ. სატრანსპორტო მუშაობაში მეტად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ტვირთ-ბრუნვა ლენინაკანის და ჯულფის გზით. ვინაიდან საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთსა და სპარსეთს შორის არ არსებობს სპეციალური შეთანხმებანი საქონლის პირდაპირი გზით გადატან-გადმოტანის შესახებ, ეს გარემოება მნიშვნელოვნად ართულებს სატრანსპორტო ოპერაციებს, ადიდებს ზედნართ ხარჯებს და აგრძელებს ტვირთის გადატანის ვადას, რაიც მავნე გავლენას ახდენს კომერციულ ოპერაციებზე, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ მოკლე-ვადიანი კრედიტების სისტემას აღმოსავლეთის ქვეყნებში. მაგრამ არის ნიშნები, რომ მდგომარეობა ამ მხრივ გამოსწორდება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღმოსავლეთ-საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება, ხელსაყრელ პირობებს შექმნის საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის ქვეყნების საქონლის ბრუნვის განვითარებისათვის. ამას მოწმობს სავაჭრო ოპერაციების ზრდა ამ ქვეყნებს შორის. გეოგრაფიული მდომარეობის მიხედვით მნიშვნელოვანი როლი ტრანზიტისათვის ხელსაყრელ პირობების დამყარებაში ეკისრება ამიერ-კავკასიას. და ცხადია, რომ ამიერ-კავკასია შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

დ. ზავრიევი.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

სექციების მუშაობას თემებში აბრკოლებდა სექციის წევრთა უფლება-მოვალეობის გაურკვევლობა

გავაძლიეროთ სექციებზე ხელმძღვანელობა. გავაჯანსაღოთ მათი მუშაობა

თელავის თემსაბჭო

(წერილი თელავიდან)

სანიტარული სექცია

სანიტარულ სექციაში ჩაბმულია საბჭოს 25 წევრი და 8 საბჭოს არაწევრები. მათი სოციალური შემადგენლობაა ასეთი: ექიმი—3, მოსამსახურე—14, მუშა-ხელოსანი—8, გლეხი—8.

საანგარიშო ხნის განმავლობაში სექციას გამოაკლდა რვა წევრი, ამჟამად მუშაობს 20 წევრი, ამათში—8 ქალია, სექციის სხდომები მოეწყო 15, საშუალოდ ესწრობოდა 14 წევრი, გარჩეულია 78 საკითხი.

სექციის სხდომებზე მოისმინეს: მოხსენება საავადმყოფოს მდგომარეობაზე, რის შემდეგ საავადმყოფო შეკეთებულ იქნა და აგრეთვე მომარაგებული საჭირო ხელსაწყოებით, წითელი ჯვრის ამბულატორიის, ვენდისპანსერის და სამალარიო სადგურის, რომლის ირგვლივ გამოტანილ იქნა შესაფერისი დადგენილებები.

სექციასთან არსებობს 8 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელიც წინასწარ იმუშავებს სექციაზე განსახილველ საკითხებს.

სექციის შემადგენლობიდან გამოყოფილია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს წყალსადენების დაცვა, ახლების გამოყვანა და არსებულის შეკეთება, ამ კომისიაში ორი წევრი შედის კომუნალური სექციიდან. საანგარიშო ხანში მოხდენილია ყველა წყაროების ანალიზი.

თელავი სანიტარული სექციის მიერ დაყოფილია უბნებად, თვითეულ უბანში გამოყოფილია კომისია და ხელმძღვანელი, რომელიც თვალყურს ადევნებს სანიტარულ მდგომარეობას წინდაწინვე შედგენილ გეგმის მიხედვით და შედეგი დრო გამოშვებით მოხსენდება სექციას. სექციის მიერ შემოწმებულია სასადილოებში, პურის საცხობებში, სასაპარიკმახეროებში და ყველა სურსათ-სანოვაგის დუქნებში სანიტარული რვეულები და ბარათები, აქ მომუშავეთ თვეში ერთხელ ამოწმებენ ვენ-დისპანსერში. ამავე სავაჭროებში (ყასბები, მეთევზე), სანიტარულ ჰიგიენურ პირობების დაცვის მიზნით შესრულებულია სხვადასხვა შეკეთებანი. აღმასკომის დასტურით აკრძალულია, სურსათ-სანოვაგით ვაჭრობა წინასწარ შენობების შეუმოწმებლად.

სექციის მიერ შემუშავებულია ზომები სხვადასხვა ნამცხვრების, კუპატების და სხვ. სანოვაგის დამზადების და გასაღებისათვის.

სექციის მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაათვალიერა დაწესებულებების, ორგანიზაციების და საზოგადოებრივი შენობები, რომლის შედეგად ყველგან მოწყობილია ხელსაბანები, საფურთხებლები და ნაგვის ყუთები.

სექციის შედგენილი გეგმით ჩატარდა გლეხის სამდღეური. ექიმების მიერ კვირაში ერთხელ იმართება გლეხებთან საუბარი „გლეხის სახლში“.

თემში შემავალ სოფლებში მიმაგრებულნი არიან ექიმები, რომლებმაც საანგარიშო დროში ჩაატარეს 7 ლექცია.

აბრეშუმის ქარხანაში და პედ-ტეხნიკუმში მოწყობილია ჯანმრთელობის უჯრედები.

სექციას აქვს დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, რომლის შემუშავების დროს, მხედველობაში იქნა მიღებული საბჭოთა არჩევნების დროს ამომრჩევლების მიერ მიცემული ნაკაზი.

შან—ლი.

კიკნაველის საბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი კიკნაველეთიდან)

კიკნაველეთის თემ-საბჭოსთან ჩამოყალიბებულია 6 სექცია, რომლებშიც მხოლოდ საბჭოს წევრები მუშაობენ.

კულტურულ-განმანათლებელ სექციაში მუშაობს საბჭოს 6 წევრი, საგზაო-საალმშენებლო სექციაში—10, საექიმო-სასანიტარო სექციაში—7, საფინანსო-საგადასახადო სექციაში—9 და სავაჭრო-საკოოპერაციო სექციაში—6.

კულტურულ განმანათლებელ სექციის სხდომა შესდგა ოთხჯერ, რომელზედაც გარჩეულია 7 საკითხი, სექციას შედგენილი აქვს 6 თვიანი სამუშაო. გეგმა.

საგზაო-საალმშენებლო სექციის სხდომა იყო ერთხელ, რომელზედაც გარჩეულია სამი საკითხი და შედგენილი 6 თვიანი სამუშაო გეგმა.

საექიმო-სასანიტარო სექციის სხდომა შესდგა სამჯერ, რომელზედაც გარჩეულია 4 საკითხი; სექციის თავმჯდომარედ არის ექიმი, რომელმაც ჩაატარა საუბრები და ლექციები გლეხობაში.

საფინანსო-საგადასახადო სექციის სხდომა იყო 2 ჯერ, გარჩეულია 2 საკითხი. აღნიშნულ სექციას სამუშაო გეგმა არ ჰქონია.

სავაჭრო-საკოოპერაციო სექციას სხდომა სრულებით არ ჰქონია. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა მიეწეროს მას, რომ თემაღმასკომის თავმჯდომარე იყო მოუმზადებელი, რომელიც ორი თვის წინედ იქნა შეცვლილი სათანადოთ მომზადებული ამხანაგით, რომლის მიერ უკვე გადადგმულია ენერგიული ნაბიჯები შემდგომი მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

საანგარიშო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით სექციებს მიეცათ სათანადო დირექტივები და პრაქტიკული მითითებანი.

ნ. გ—ძე.

სურამის თემსაბჭო

(წერილი სურამიდან)

დაახლოებით წელიწად ნახევარია, რაც მუშაობს სურამის თემ-საბჭო და მისი სექციები, ამ ხნის განმავლობაში საბჭოს მიერ ბევრი რამ არის გაკეთებული. უკანასკნელ წელს საბჭოს მიერ გაკეთებულია გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე წინა წლებში მთლიანად. მაგალითად წელს აგებულია ორი შენობა ოთხწლედისათვის, ერთი შენობა სოფლის ახალგაზრდობის სკოლისათვის, შეკეთებულია ყველა ადგილობრივ მნიშვნელობის გზები და თვით სურამში აგებულია სახსტუმროს დიდი შენობა.

არა ნაკლები მიღწევებია კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტზე. საგრძნობლად გაფართოებულია წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტები, სამკითხველოების ქსელი და მოგვარებულია სკოლების მუშაობა.

თემ-საბჭოს მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა სასოფლო-მეურნეობა—რადგან თემის მოსახლეობა (სურამის გამოკლებით) თითქმის სრული ასი პროცენტით გლეხობაა. თემ-საბჭოს მიერ დიდი ენერგია და თანხაა დახარჯული აგრო-დახმარებასა და გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდებაზე.

ცხადია, ამ მუშაობის ჩატარებას, საბჭო ვერ შესძლებდა, რომ მის საქმიანობას მტკიცე ფინანსიური ბაზა არ ჰქონოდა. თემ-საბჭოს ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით თითქმის გაორკეცებულია. 79.000 მანეთია აი ის თანხა, რომელიც საფუძვლად დაედო წელს თემ-საბჭოს საქმიანობას. მიუხედავათ ასეთი მიღწევებისა თემსაბჭოს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. საჭიროა მუშაობა კოოპერაციის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საბავშვო ბაღებისა და სკოლების რიცხვის გასამრავლებლად და საექიმო დახმარების ქსელის გასაფართოებლად. ამ მიმართულებით თემ-საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას, რომელსაც უეჭველია ისეთი შედეგები მოჰყვება, როგორიც მის მუშაობას სხვა დარგებში.

ნ—ი.

მანავის საბჭო

(წერილი გარე-კახეთიდან)

მანავის თემი მხოლოდ 1926 წლის ოქტომბრიდან იქნა გამოყოფილი ცალკე თემად. ამ დღიდან უკვე გაუჩნდა თემს საკუთარი მზრუნველი და ხელმძღვანელი. ამ მოკლე ხნის განმავლობაში თემსაბჭოს უდრესად დიდი მიღწევები აქვს. მან შესამჩნევად წასწია წინ თემის მცხოვრებთა ეკონომიური და კულტურული დონე, მაგრამ დაწვრილებით ამის აღნუსხვას შემდეგში შევეცდებით. ამჟამად კი აღვნუსხავთ თემსაბჭოსთან არსებულ საქმიანობას.

წარსული არჩევნების დროს მანავის თემსაბჭოში არჩეულ იქნა 26 წევრი 600 კომლის მოსახლეობიდან. ამ რიცხვში ხუთი ქალია, 8 კომკავშირელი და ერთიც კომპარტიის წევრი. საბჭოს შემადგენლობაში არ იყო გაყვანილი ადგილობრივი ძალები და რაც მთავარია, ვერ მოხდა რიგიანად შერჩევა საბჭოს წევრებისა, რამაც თავისი დაღი დაამჩნია სექციების მუშაობასაც.

მანავის თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია სამი სექცია: (ნაცვლად პირველად დაარსებულ ხუთი სექციისა), საალმშენებლო, საექიმო-სასანიტარო და კულტურულ-საგანმანათლებლო. ყველა სექციებში ჩაბმულია საბჭოს 12 წევრი, ე. ი. მთლიანი შემადგენლობის 50 პროც. არც ერთ სექციაში არ არის ჩაბმული საბჭოს არა წევრები, უღარიბესი და აქტიური გლეხები, ახ. კომკავშირელები და უმთავრესად კი ადგ. კულტურული ძალები. ზოგიერთ სექციას არა ჰყავს [illegible] წევრი, რომ სხდომის ოქმი მაინც დასწერონ. სექციებს არა აქვთ მუშაობის გეგმა. იყო ცდა თემაღმასკომის მიერ სექციების მუშაობის გამოცოცხლების და მათი გეგმიან მუშაობაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ ყოველთვის დადგენილება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, დადგენილებების გამტარებელი აღარავინ სჩანდა. ცალცალკე თვითეულ სექციას მოუწყვია რამოდენიმე სხდომა, გამოუტანია დადგენილებები. ბევრი მათგანი გაუტარებიათ ცხოვრებაში, როგორიცაა გზების გაკეთება, თემის კეთილმოწყობა, სასაფლაოს დაცვა და სხვა. თვითეული სექციის წევრი ყოველგვარ სხდომის გარეშე საბჭოს საერთო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, თემაღმასკომი თითქმის სისტემატიურად ავალებდა მათ ამა თუ იმ საქმის გაკეთებას, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ყოველგვარ სხდომების გარეშე, უგეგმოდ, მოუწესრიგებლად და ფუნქციების გაურკვევლად. ამჟამად სექციებში რაღაც ჩოჩქოლია, უნდათ მუშაობა გამოაცოცხლონ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა თემაღმასკომის მტკიცე ხელმძღვანელობა, ხოლო თემაღმასკომზე კი მასზე მაღლა მდგომ ორგანოებისა. აუცილებლად ჩაბმულ უნდა იქნენ სექციებში საბჭოს არა წევრები: უღარიბესი გლეხები, კომკავშირელები, კულტურული ძალები და მოჯამაგირეობა. საჭიროა იწვევდნენ თათბირები სექციების, მათი მუშაობის გადასვლა გეგმიან მუშაობაზე და ფუნქციებში გარკვევა. მანავის თემში კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ბევრი მუშაობაცაა საჭირო.

ალ. გუ—ლი.

შუხუთის საბჭო

(ოზურგეთის მაზრა)

(წერილი გურიიდან)

საბჭოს არჩევნებში მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა. არჩეულ იქნა 24 წევრი და 7 კანდ. საბჭოს წევრთა შემადგენლობა სათანადოთ იყო შერჩეული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებად იქნენ არჩეული საბჭოში გლეხ-ქალები, თემსაბჭოსთან ჩამოყალიბდა 5 სექცია. განათლების, საალმშენებლო, სამეურნეო, საგზაო და ჯანმრთელობის.

განათლების სექცია

სექციაში სამი წევრია, ყველა მასწავლებელი, უდაოა, რომ მასწავლებელს სხვაზე უფრო შეუძლია ამ სექციაში მუშაობა. თუ არ არის სხვა საქმეებით დატვირთული. აქ კი ეს პირები რამდენიმე სხვა საქმესაც ასრულებენ, ამის გამო სექციის მუშაობა ვერ მიდის კარგად. სამკითხველოს არ მოსდის გაზეთები საკმარისად. თუმცა ნაკაზის თანახმად უნდა შემოეღოთ გაზეთების ხმამაღლა კითხვა, მაგრამ არ განხორციელდა. გამოდის „საცოდავი“ კედლის გაზეთი, რომელსაც არ ეტყობა ხელმძღვანელობის ხელი. არ იმართება „გასამართლებები“, რაც აქ გლეხობას ძალიან აინტერესებს და აგრონომიულ, რელიგიურ ან გასამხედროების შესახებ საუბარზე ლაპარაკიც მეტია. აქვე არსებობს სახეზონო დრამწრე, რომელიც სპეკულიაციას აწარმოებს თავისი ხელობით და სექციამ ეს წრე ვერ გამოიყენა ისე, როგორც ეს შეეფერება ეხლანდელ დროს. გვქონდა რადიო-მიმღები, მაგრამ ისიც დადუმდა, რადგან მზრუნველი არ ჰყავდა. ზაფხულში თემში თავს იყრის ინტელიგენტური ძალები, რომლებიც ქალაქებში სწავლობენ და მათი გამოყენება ვერ მოახერხა სექციამ. ყველაფერი ეს მოხდა იმიტომ, რომ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე დავაკისრეთ ისეთ ხალხს, რომელნიც სხვა საქმეებით იყო დატვირთული და მასში არ შედიოდა გლეხი-დეპუტატები და ამომრჩეველთა აქტივი.

საალმშენებლო სექცია

ამ სექციის მუშაობა სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან მან ნაკაზი სრული ასი პროც. შეასრულა. სექციის წევრები აქტიური მუშაკები არიან, რის გამო თემში გაცხოველებული საალმშენებლო მუშაობაა. სექციის კრებებიც სისტემატიურად იმართებოდა და წევრთა დასწრებაც საკმაო იყო.

სამეურნეო სექცია

სამეურნეო სექცია სათანადოთ მუშაობდა. ამომრჩეველებმა ამ სექციას დაავალეს კულტურული მეურნეობისათვის ხელის შეწყობა, რაც მან პირნათლად განახორციელა. სექციის ინიციატივით და საქტ. საზ. „საქართველოს ჩაის“ დახმარებით წელს აქ რამოდენიმე დესეტინაზე შენდება: ჩაის, მანდარინის, კანაფის და ვენახის ბაღები. სექციის ინიციატივით დროზე იქნა მოტანილი მიწის მოსაწამლავი წამალი მახრის წინააღმდეგ. თემის საბავშვო ბაღში გლეხობა მოითხოვს სანერგის დაარსებას, მისი განხორციელება სექციის მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება, მაგრამ ნაბიჯების გადადგმა ძნელია,. რადგან საამისოდ თანხაა საჭირო.

საგზაო სექცია

ნაკაზის თანახმად სექციას არხებისა და გზების შეკეთებაზე უნდა ეზრუნა, მაგრამ მან ვერ გაამართლა საამისო იმედები, ამ საკითხზე ოქმებში თუ რამე სწერია, სინამდვილეში კი ძალიან ცოტაა გაკეთებული, რამაც წვიმიან წელიწადს ხელი შეუწყო გუბეების შექმნას და სიმინდის მოსავალი მოსპო. გზები კი ისეთია, რომ ზედ გავლა აღარ შეიძლება, აქ გზის გაფართოებას ან გასწორებას მეტ ყურადღებას აქცევენ, ვინემ მის გაკეთებას, მაგრამ უმჯობესია ცოტა და კარგი გაკეთდეს.

ჯანმრთელობის სექცია

ზაფხულობით მოსახლეობის 80 პროც. ებ-ცხელებით არის დაავადებული. ჰყავს ექიმი. თემში გვქონდა აფთიაქი გლეხობა სარგებლობდა, მაგრამ გასულ წლის ზაფხულში ეს აფთიაქი დაიკეტა სამაზრო აღმასკომის განკარგულებით, ვითომც იმ მოტივით, რომ ზარალს იძლეოდა, აფთიაქი სავაჭრო მიზნით არ უნდა არსებობდეს [illegible]ბამ ითხოვა აფთიაქის ხელახლა გახსნა [illegible]რამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს. [illegible]მრთელობის სექციამ იზრუნა თემში [illegible]ჭირის გავრცელების წინააღმდეგ.

მომავალში სექციის მუშაობა უფრო განაყოფიერდეს.

ი. ორაგველი.

ნიგვზიანის საბჭო

(წერილი გურიიდან)

ნიგვზიანი საკმაოდ დიდი თემია; მისი ეკონომიური ცენტრი რკინის გზის ლიანდაგზეა—სადგ. ჯუმათში. აქვე არსებობს—„ეპო“, ფოსტა-ტელეგრაფი, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, შვიდწლედი და სხვ.

საანგარიშო ხნის განმავლობაში თემსაბჭოს ჰქონდა 11სხდომა, ხოლო თემაღმ. 16. მიუხედავად ამისა მუშაობის შედეგი არ სჩანს. საბჭოს კრებებზე არ სწარმოებდა საანგარიშო მოხსენებების მოსმენა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. საბჭოს ღია კრებაც არ ყოფილა მოწვეული და დღემდე ანგარიშიც ჩაუბარებელია ამომრჩევლებისადმი.

თემსაბჭოსთან გამოყოფილია შემდეგი სექციები: საგზაო, საალმშენებლო და კულტგანმანათლებელი. საგზაო და კულტსექციების არსებობის შესახებ არც კი იცის [illegible] თემსაბჭომ, რაც შეეხება საალმშენებლო სექციას მისი მუშაობა დამაკმაყოფილებელია. საალმშენებლო სექციის ინიციატივით [illegible]კეთებულია 7-წლედის, ოთხწლედის, კომისა და სამკითხველოს შენობები, [illegible]რეებზე აგებულია 2 ბოგირი და დაწყებულია მუშაობა საექიმო პუნქტის შენობის ახალის, [illegible]გებად, რომელიც დაჯდება 2.000 მანეთი, სექციას სხდომები სისტემატიურად არ ჰქონია, ეს მუშაობა შესრულებულია უმთავრესად „ზეპირი“ განკარგულებებით.

ნიგვზიანის თემში კულტმუშაობაშიაც არის მიღწევები, მაგრამ სრულიად კულტ-სექციას გარეშე; ადგილობრივი აქტივის საშუალებით სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები, ტარდებოდა სხვადასხვა თემაზე საუბრები და გამოდის კედლის გაზეთი.

საგზაო სექციის „ცხვირ-წინ“ ისეთი ჭაობები და ლაფია, რომ ერთი დაწესებულებიდან—მეორეში მისვლა შეუძლებელია.

საინტერესოა ვიკითხოთ: სად არის საგზაო სექცია? მის წევრებს სძინავთ და ყველაფერი რიგზე ჰგონიათ.

თემსაბჭოს მიერ მომავლისათვის საჭიროა შესაფერი ხელმძღვანელობა სექციებზე და პერიოდულად სექციების საანგარიშო მოხსენებების მოსმენა თემსაბჭოს კრებებზე. ამასთან ერთად სექციის წევრებმა დროგამოშვებით ანგარიში უნდა ჩააბარონ ამომრჩევლებს.

ქ. უ—რიძე.

სენაკის საბჭო

(წერილი სენაკიდან)

საგზაო და ხიდების სექცია

საგზაო და ხიდების სექციაში ითვლება 7 წევრი. მათ შორის ერთი ქალია. სექციის სხდომა მოწვეული იყო ექვსჯერ, შესდგა მხოლოდ ორჯერ, გაირჩა 3 საკითხი.

სექციის ბიურო სუსტად მუშაობდა. ის საკითხებს წინასწარ არ არჩევდა. [illegible] ძალზე სუსტად დგებოდა.

რა გააკეთა სექციამ

რუსთაველის ქუჩა, ლენინის ქუჩა და აკაკის ქუჩის ნაწილზე დაგებულია ქვაფენილი. მთის კალთის ქუჩაზე 40 საჟენის სიგრძის კედლები გაკეთდა მთის ჩამონგრევისაგან ქუჩის დაცვის მიზნით. გაკეთებულია და შეკეთებულია: აბაშის ქუჩაზე 1, ნინოშვილის—1, მთის კალთის ქ. 2, რუსთაველის ქ. 8 და ჭავჭავაძის ქუჩ. 2 ბეტონის ხიდები. გაყვანილ იქნა ახალი ქუჩები, ზოგი კი გაფართოვდა, ეს მუშაობა სწარმოებდა მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. ამნირად სექციამ ნაწილობრივ შეასრულა ნაკაზი.

სექციის ნაკლი

ზოგიერთი ქუჩები ქალაქის ცენტრალურ ალაგას კიდევ შეუკეთებელია, მუშაობა არ წარმოებულა და ვერ მოეწყო საზაფხულო პარკი მთაზე, მთის კალთის ქუჩის მეორე ნაწილი კიდევ არ გაუმაგრებიათ. ღელე-ფაცის გამაგრება მთლიანად ვერ მოხერხდა. ზემოყაფნის მოედანზე ქვაფენილი არ დაგებულა, განაპირა უბნებში ქუჩების კეთილმოწყობის საქმე კიდევ ცუდად სდგას. სექცია მუშაობდა სუსტად. სექციის წევრები ყველა არ იყო ჩაბმული მუშაობაში და ბიუროს ამის წინააღმდეგ ზომები არ მიუღია. საგზაო კამპანიას ატარებდა წელს ქალაქის აღმასკომი და იქ სექცია თითქმის არ სჩანდა.

ბანი.

სექციების კონკურსის მნიშვნელობა

(წერილი თელავიდან)

თემსაბჭოების სექციების გამოკვლევამ და მათში საუკეთესოს დაჯილდოებამ დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს სექციების მომავალი მუშაობის გასაცხოველებლად—განაცხადა თელავის სამაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შ. ქურციკაშვილმა.

სექციების საკონკურსოთ ჩვენ ავიღეთ ოთხი თემი: თელავის, ყვარლის, შაშიანის და იყალთოსი, შემდგარია მაზრის სპეციალური კომისია, რომელმაც უშუალოდ გამოიკვლია ამ ოთხი თემის სექციები. გამოკვლევა უკვე დამთავრდა, მხოლოდ ამ[illegible] სწარმოებს მასალის დამუშავება, რომლის შემდეგ მოხდება კონკურსი და საუკეთესო სექციებს მიეცემათ ჯილდოები.

ასეთი შეჯიბრება წინედ რომ მომხდარიყო, დიდათ გამოაცოცხლებდა და გააცხოველებდა სექციების მუშაობას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ამომრჩეველთა წინაშე საბჭოების ანგარიშების ჩაბარებას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს მთელ თელავის მაზრაში. ეს არის საბჭოს ერთგვარი გამოცდა ნაკაზის შესრულებაში, რომელიც საბჭოს წევრებს მისცეს არჩევნების დროს.

ჩვენ წინდაწინვე დავურიგეთ ასეთ ნაკაზების ასლები ამომრჩეველთ, რომ გასცნობოდნენ და მომზადებული გამოცხადებულიყვნენ თემსაბჭოს საანგარიშო კრებაზე. მე პირადათ მომიხდა რამდენიმე ასეთ თემსაბჭოს საანგარიშო კრებაზე დასწრება და პირდაპირ ყურადსაღებია ის აქტივობა და საქმისადმი მიდგომა, რომელსაც გლეხები იჩენენ მსჯელობაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოხსენებებს ამომრჩეველთა წინაშე აკეთებენ საბჭოს წევრნი იმ მასალის მიხედვით, რომელიც გადაცემული აქვთ საბჭოს მუშაობის შესახებ. უღარიბესი გლეხობა ადარებს საბჭოს მუშაობას მიცემულ ნაკაზის მუხლებს და ისე სთხოვს პასუხს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს უმოქმედო საბჭოს წევრთა გამოწვევა და მათ მაგიერ ახლების არჩევა [illegible]

საბჭოთა საქართველო

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ხელი შეუწყოთ მოჯამაგირეთა აქტივობას

[illegible]ნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში დაქირავებული მუშა-ხელი და პირველ რიგში კი მოჯამაგირეობა კულტურული დონით საგრძნობლად ჩამორჩენილია წარმოებაში მომუშავე მუშებთან შედარებით. ამ გარემოებას [illegible] თავისი გასამართლებელი მიზეზები. თვით [illegible]ელობის დროს ყველაზე დაჩაგრულ [illegible] სწორედ მოჯამაგირეობა წარმოადგენდა [illegible] არ არსებობდა არავითარი გან[illegible] [illegible] სამუშაო დრო, ხეირიანი ჩაცმა-[illegible] [illegible]თანადო ხელფასი და თუ დამქი[illegible], რომ [illegible], ყოველ წუთს შეეძლო მძიმე [illegible] სახლიდან დაეთხოვა და ქუჩაში [illegible] გამოეგდო.

[illegible] ხელისუფლების დამკვიდრებით [illegible] მოჯამაგირეთა შრომის ასე აბუ[illegible] [illegible]ობას. დღევანდელი კანონმდებლობა [illegible] ისევე იცავს სხვა დაქირავებულ მუშებს [illegible] მოჯამაგირეობასაც. ამ მხრივ მა[illegible] [illegible] გაუმჯობესებულია, მაგრამ [illegible] საკითხი, რომელიც მდგომარეობს მოჯამაგირეობის კულტურული დონის ამაღლებაში, მათ გათვითცნობიერებაში ისე, რომ მოჯამაგირესაც თავისუფლად შეეძლოს საზოგადოებრივ [illegible] მუშაობა და სახელმწიფოს [illegible]ვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება [illegible] მშრომელ ხალხთან ერთად.

[illegible]გირეობაში კულტურული მუშაობა [illegible] ერთობ ძნელი საქმეა. ისინი გაფანტულნი არიან სხვადასხვა სოფლებში და მათი [illegible] მოყრა და სწავლა-აღზრდის საქმე [illegible] არ არის ადვილი. მიუხედავად [illegible] [illegible]ველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული [illegible] მოჯამაგირეთა გასათვითცნობიერებლად. [illegible] მართალია, დღემდისაც ამ მიმართულებით [illegible] საკმაოდ ბევრი გაკეთებული, მაგრამ ამით დაკმაყოფილება შეუძლებელია.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს მოჯამაგირეთა მონაწილეობას საბჭოებში, კოოპერაციაში, გლეხკომებში და სოფლად არსებულ სხვა ორგანიზაციებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მოჯამაგირეობის [illegible] აქვს საბჭოებში, მაგრამ უნდა [illegible] მათი რიცხვი იქ ერთობ მცირეა. [illegible] არა სჩანს მოჯამაგირეების მო[illegible] სექციებში, სადაც ყველაზე [illegible] ინიციატივისა და თვითმოქმედების [illegible]. ეს ფაქტი კი მიეწერება [illegible]ურული დონის სიმცირეს.

[illegible] უნდა ვეცადოთ, რათა მო[illegible] მოჯამაგირეების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ავირჩიოთ საბჭოებში და ჩავაბათ ისინი [illegible] სოციალისტურ აღმშენებლობაში. მოჯამაგირეთა გათვითცნობიერება, მათი კულტურული დონის ამაღლება—აი საუკეთესო საშუალება ამ მიზნის განსახორციელებლად.

გლეხკორი.

კლუბი სულს ღაფავს

(წერილი ზუგდიდიდან)

ზუგდიდში არსებული კლუბი მოთავსებულია უვარგის შენობაში. კლუბის მდგომარეობა ძალიან ღარიბია. გასული წლის აგვისტოდან სწარმოებს კლუბის შენობის შეკეთება, რომელიც დღესაც არ არის დამთავრებული. თანხა კი დახარჯულია 3.322 მ. 35 კ. რომლებიც, უმთავრესად სესხად აღებულ საპროფბიუროდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან. ამრიგად კლუბი საგრძნობლად არის დავალიანებული.

ყველაზე უფრო მწვავედ კლუბის მუშაობაში სდგას განათების საკითხი. მიმდინარე წლის დასაწყისში ქ. ზუგდიდის კომუნალურმა განყოფილებამ მოაწყო ელსადგური, რომელიც ყოველ ღამეში კლუბს ახდევინებს განათებისათვის 10 მანეთს 35 სანთურზე, როდესაც კერძო მოვაჭრეები იხდიან თითო სანთურზე თვეში 2 მანეთს. ასეთ მაღალ ფასებში კლუბს ელექტრონის ენერგიის მიღება არ შეუძლია და კლუბიც ამ საშუალებას სრულებით მოკლებულია. ეს გარემოება დიდად აფერხებს საკლუბო მუშაობას.

მოისუსტებს აგრეთვე სამპროფბიუროს ხელმძღვანელობა კლუბის მუშაობაზე, კულტმუშაობა, განსაკუთრებით კლუბში, მოითხოვს საჭირო თანხებს [illegible] და ამ საქმეში საპროფბიურომ [illegible] კულტფონდის ანგარიშში 65 მანეთს თვეში. ახალ ხარჯთ-აღრიცხვაში ეს გაანახევრა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდის ხელმძღვანელი ორგანოები, გარდა სამაზრკომისა, აღნიშნულ კლუბს უყურებენ ისე, როგორც დიდ შემოსავლიან საწარმოო დაწესებულებას.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკანურმა საკლუბო თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა კლუბების საჭირბოროტო საკითხები, მაინც საჭიროა ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლო-მომავალში ზუგდიდში კლუბის მუშაობა და მაშასადამე კულტმუშაობაც სრულებით ჩაკვდება.

შითანავა.

უყაირათობის ერთი ნიმუში

თავასის თემი, შორაპნის მაზრა

ჩვენს თემში მემამულეებს ჩამოერთვა მუხნარი ტყე დაახლოებით სამი დესეტინა, რომელშიაც იყო მუხის ძვირფასი სამშენებლო მასალა.

თემ-აღმასკომმა სანამ არ მოსთოვა, მანამდი ვერ მოასაზრა, რომ ზამთარში თემის დაწესებულებებს გათბობა დასჭირდებოდა, ხოლო როდესაც კარზე მოადგა ზამთარი, მაშინ დაფაცურდა. სხვა გამოსავალი არ იყო და საფონდო ტყეს მიადგა მოსაჭრელად. ბევრი აღმასკომმა მოსჭრა, მაგრამ ადგილობრივი გლეხობაც არ ჩამორჩენია და მათაც საკმაოდ ირგეს ხე-ტყე. მოჭრილი შეშა საკმარისი იყო, მაგრამ დაუზოგავი ხარჯვის გამო შეშა ზამთარში გამოილია.

გასაკვირი ის არის, რომ აღმასკომმა თავის დროზე არ მიიღო ზომები შეშის მომარაგებაზე, შემდეგ დაწესებულებებიდან კიდევ გლეხებმა ჩუმად წაიღეს შეშა და რაც მთავარია, ერთი საჟენი მუხის გულის შეშა ორ საჟენ ფიჭვის შეშას უდრის. ამ მუხის მასალით შეიძლებოდა საშენი და სალობავი მასალა მიეღოთ. ერთ საჟენ მუხის მასალაში სიამოვნებით მისცემდენ გლეხები ორ საჟენ შეშას.

აი, ასე უყაირათოთ ეკიდებიან საზოგადო ქონებას, რაც დაუშვებელია.

გულდაწყვეტილი.

ნაყოფიერი მუშაობა

ს. ფაშლოვანი, თბილისის მაზრა

რვა მარტს ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამ სოფელში გაიხსნა „ბავშვთა მეგობრების" საზოგადოების მიერ საბავშვო სახლი. უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო სახლმა გამართლა მასზე დამყარებული იმედები. მისმა ხელმძღვანელებმა კულტურული მუშაობა გადაიტანა გლეხობაშიაც. გლეხობის ჩაბმა კოოპერაციაში, ახალგაზრდობასა და ქალთა შორის მუშაობის გაძლიერება და სხვა. ამაში დიდი შრომა მიუძღვის ადგილობრივ კომკავშირის უჯრედსაც.

8 მარტის საზეიმო სხდომა, რომელიც სოფლის ქალთა მასიური მონაწილეობით ჩატარდა, იყო დაკავშირებული საბავშვო სახლის არსებობის ერთი წლის თავთანაც. 8 მარტის მნიშვნელობის გაცნობის შემდეგ ქალებმა შემოიტანეს წინადადება, რომ სურთ კოლექტიურად დაამუშაონ მიწა და დაარსონ წრე, რომელიც იმუშავებს ქალებში აგრონომიული ცოდნის გავრცელებისათვის. მიღებულ იქნა წინადადება დაარსდეს ამხ. მიხა კახიანის სახელობის კოლექტივი.

საღამოს საბავშვო სახლის ნ. ჯ. მონაწილეობით მოეწყო საღამო-წარმოდგენა „ცოცხალი გაზეთით", რომელზედაც დაესწრო სოფლის გლეხობა და ახალგაზრდობა.

შ. ბახტაძე.

წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

გლეხობა კმაყოფილია

ს. ბალიჭი, ბორჩალოს მაზრა

გასულ წელს ამ სოფლის გლეხობას სეტყვამ გაუნადგურა ნათესები. გლეხობაში უკვე ჩატეხილი იყო სახელმწიფო დახმარების კამპანია და ღარიბ გლეხობის უმრავლესობას დახმარებული ჰქონდა ნათესები. სალარომ დახმარებულ ღარიბ გლეხობას მისცა ფულადი დახმარება, რითაც ისინი კმაყოფილია.

ბიტუ.

ასეთი საქციელი დაუშვებელია

დ. ჩხარი, შორაპნის მაზრა

ჩხარში არის სომხ-ბავშვთათვის ოთხწლედი, რომელშიაც მასწავლებლად ითვლება ფ. [illegible]ვანიძე, ამ მასწავლებელს ძველი დროის [illegible]ონია, და ჯოხით სცემს მოწაფეებს. 13 მარტს მეორე ჯგუფის მოწაფეს იაკობ ლოტოევს ჯოხით გაუტეხა თავი და ბავშვი გასისხლიანებული დაბრუნდა სახლში. განათლების განყოფილებამ უნდა შეაგნებინოს ფანჩულიძეს, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი.

ყურცქვიტა.

კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას

კოჯორი, თბილისის მაზრა

მეოთხე წელია ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კონტორას განაგებს ამხ. ელ. როგოლაშვილი. მისი მუშაობით გლეხობა კმაყოფილია. [illegible] თავის დროზე იღებენ ჟურნალ-გაზეთებს და კორესპონდენციებს. რომელიმეშიაც საზოგადოებრივ მუშაობაშიაც ენერგიულ მონაწილეობას იღებს. მისი მუშაობა მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს სხვებისათვის.

გ. გ—ლი.

ტყეს ანადგურებს

ს. ზოსლევი, შორაპნის მაზრა

სოფელში ტყე დიდი ხანია განადგურდა, დარჩა მხოლოდ კერძო პირის—სიმონ პერანიძის ტყე, რომელსაც მისი პატრონი დაუზოგავად ანადგურებს. თუ ასე გაგრძელდა, ორი წლის შემდეგ ჩვენს სოფელში მართლა ხრიოკები დარჩება. საჭიროა თემაღმასკომმა აუკრძალოს მეპატრონეს ტყის განადგურება, წინააღმდეგ შემთხვევაში აღძრას შუამდგომლობა ჩამოსართმევად.

მდინარშრომელი.

მუშათა ცხოვრება

მიწების დატაცების შესახებ

იყო დრო, როცა საჭირო იყო მიწების დატაცება. ამ დროს ნაძალადევიც ძალად შენდებოდა, მაგრამ დღეს გარემოება შეიცვალა. თავისუფალ მიწაზე დასახლებას მუშა-მშრომელს უარს ვერავინ ვერ ეტყვის. მაშ რაღა საჭიროა მიწების დატაცება და ჩუმად, ნებადაურთველად ქოხების აშენება. ისიც უგეგმოდ და ულამაზოდ, ისე, რომ ადვილი შესაძლებელია აშენებაში დახარჯული ხარჯები უსარგებლოდ ჩაუპაროს და თავისი ქოხის ისევ აღება დასჭირდეს.

სამოსახლო ალაგის შოვნა, დღეს გაადვილებულია, მაგრამ მიწების დატაცებას მაინც აქვს ადგილი, ეს კი არა, მიწების ყიდვა-გაყიდვაც ხდება. აქ ვიღაცა კომბინაციებს ეწევა. ვიღაცა ატყუებს გულუბრყვილოებს. დროა მუშები ჩაუკვირდნენ ამ გარემოებას. დროა შეიგნონ, რომ თავისუფალი ალაგების გაყიდვის უფლება არავის არა აქვს.

ვისაც სურს სადმე სახლის აგება, უნდა მიმართოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას და თხოვოს მისგან ნებართვა იმ ადგილის დაკავებისა, სადაც აპირებს დასახლებას. კომუნალური განყოფილება მისცემს მას დაგეგმულ-ჩამოყალიბებულ ალაგს.

კომუნალური სექცია და ოჯერთვე განყოფილება, თავის მხრივ მოვალენი არიან დროით დაგეგმონ ქალაქის თავისუფალი ალაგები ცენტრში თუ გარე უბნებში, რათა საჭიროების დროს, მსურველს პირდაპირ და უშუალოდ მიეცეს სამოსახლო, სადაც მას სურს. მიწების დატაცება და ყიდვა-გაყიდვას საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო.

აღსანიშნავია, რომ მუშებს გავათმყოფობად გადაეცათ—მაღალ ადგილებზე დასახლება, სადაც ვერ ადის წყალი, და შემდეგ უჩივიან აღმასკომს მოგვეცით წყალი, გაგვიკეთეთ ქუჩაო.

ქალაქს აქვს კარგი და სწორი ადგილები. მუშები უნდა ეცადონ ასეთ ადგილებზე დასახლდნენ. ამით აღმასკომს არ ჩააგდებენ უხერხულ მდგომარეობაში და არ მოახვევენ თავზე ულაგო და უთავბოლო ხარჯებს.

ძველი მუშა.

ბინით სპეკულიანტობა

ბინებით სპეკულაციამ უკანასკნელ ხანებში ფართო სახე მიიღო. ურცხვად ყიდის თუ ჯიბე „სქელი" არ აქვს ბინას ვერ იშოვის.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ბინებით სპეკულიანტობენ საზოგადო მოღვაწეებიც: პლეხანოვის გამზირზე სახ. № 141-ში, რომელიც ეკუთვნის ვიღაც ფრანკის, სცხოვრობს ექიმი ივანე ბოკერია. მას დაქირავებული აქვს ხუთოთახიანი ბინა (200 კვ. მეტ.) სამზარეულო, საბანაო და სარდაფის დამატებით და ქირას იხდის სულ 17 მანეთს. ექ. ბოკერიასათვის ხუთი ოთახი ძალიან დიდი იყო. ამიტომ მან ერთი ოთახი (12 კვ. მეტ.), მიაქირავა მასწავლებელ-სტუდენტ მაჭავარიანს თვეში 15 მანეთად. ამ ხაირად თვითონ იხდის ხუთ ოთახში თავის მოწყობილობით 17 მანეთს, ერთი ოთახიდან კი ღებულობს 15 მანეთს. ასე, რომ ოთხი ოთახი, აბანოთი, სამზარეულოთი და სარდაფით, ბოკერიას რჩება ორ მანეთად.

ამასაც არ ჯერდება ექიმი ბოკერია და ამ ბოლო დროს დაუწყო თავის მდგურ მაჭავარიანს შევიწროება. დაუკეტა ცალკე შესავალი კარები და აიძულა იაროს ეზოდან.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ექიმ ბოკერიას ჩამოერთვას მისთვის ზედმეტი ბინა.

გრიგოლ ამირელი.

იჯარის იჯარა

რკინის გზის სამმართველომ თბილისის სადგურის ხელის ბარგის მზიდავთა და შემნახველ კამერის საჯარო ვაჭრობა, რომელშიც მატერიალურ მუშების სახელით მონაწილეობა მიიღო ნიკოლოზ კობიძემ. სამმართველო მოურიგდა მუშების წარმომადგენელს, ნ. კობიძეს, თვეში 1.250 მანეთად, ხელის ბარგის შემნახველი კამერა და ბარგის ზიდვაც.

მუშებს იმედი ჰქონდათ, უმთავრესად შემნახველი კამერისა, რადგან უკანასკნელს [illegible] მაგრამ იმედი გაუცრუვდათ: ნიკოლოზ კობიძემ მუშების დაუკითხავად [illegible] იჯარით გადასცა თავისი [illegible] თვეში 250 მანეთად. იმ დროს, როდესაც 3—4 მზადვაის აძლევდა თვეში 600 მანეთს. ეჭვს გარეშეა, რომ აქ რაღაც ბოროტმოქმედებას უნდა ჰქონდეს ადგილი. [illegible] დაიწყო კისერზე თვეში 1.000 მანეთი, გადასახადი, რაც მათთვის აუტანელია.

ნ. კობიძემ, აქაც გამონახა გამოსავალი: მუშები მუშაობდნენ სამ ცვლად. მათი 8 საათის მუშაობა დაცული იყო. კობიძემ სამი ცვლა შესცვალა ორ ცვლად და ამგვარად მუშები აიძულა იმუშაონ 8 საათის მაგიერ 12 საათი. ასე აპირებს ნ. კობიძე 8 საათის სამუშაო დღეს.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა გამოარკვიონ ეს საქმე და მოსპონ ეს იჯარის იჯარით გაცემა.

1-ლი მაისი.

შრ. დაცვის კომისიის მუშაობა

მოძრაობის დარგის ადგილკომთან არსებული შრომის დაცვის კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა სამუშაო გეგმის მიხედვით. კომისიამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი საკითხი მოაგვარა. კომისიას ჰქონდა სულ რვა სხდომა, რომელზედაც გაირჩა სპეცტანსაცმლის უვარგისობისა და თავის დროზე დარიგების საკითხი, საცხოვრებელი ბინების შეკეთება და სხვა. განხილულ საკითხებიდან უმრავლესობა გატარდა ცხოვრებაში.

მაგრამ ამავე დროს კომისიას აქვს ნაკლიც. კომისიამ დღემდე ვერ შესძლო მოეგვარებინა საბარგო განყოფილების, ბათომის საწყობის და 13 საწყობის გათბობის საკითხი, რის გამო მწონავები და მოლარეები იყინებიან სიცივეში.

ამას უნდა მიექცეს მომავალში ჯეროვანი ყურადღება.

ამასთან საჭიროა შრომის დაცვის კომისიის დადგენილებებს ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს და რაც შეიძლება დააჩქაროს მისი ცხოვრებაში გატარება.

ის. გოგიბერიძე.

ბიუროკრატიზმი და „გულკეთილობა"

საკავშირო განყ. მეორე უბანში, ძირავილი მოსაგვარებელი საკითხებია, რასაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა უბნის უფროს მოქ. სკავინსკის მიერ.

ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა წერილი, მაგრამ სპეცი რა სპეცია, თუ თავისებური სკეპტიკით არ შეხედა საკითხს და თავისი უკუღმართობა არ განაგრძო.

მოქ. სკავინსკი, ვისაც შეხედავს მოწყალების თვალით, მას თავისი გულკეთილობით და სიუხვით ჩააქცევს და ვისი სახეც არ მოეწონება, უნდა შორიდან აქოს და ერიდოს. სკავინსკი ძალიან „მოწყალე" და გულუხვია მოქ. პოდგორნოვის მიმართ. უკანასკნელი ცოტა არ იყოს ღვინის მოყვარული კაცია. ყოველდღიურად 2—3 ბოთლ ღვინოს მიირთმევს და როგორც მოვიძიებენ ღვინოში გაწეულ ხარჯებს დამზღვევი სალარო არ ანაზღაურებს. ამიტომ პოდგორნოვს სჭირდება სკავინსკის „გულკეთილობა", რომელიც პირველ შესაძლებლობისთანავე მოულოდნელად [illegible].

გარდა ამისა, მოქ. სკავინსკი არც ბიუროკრატობაშია ჩამორჩენილი. გასულ წლის თებერვალში რკ. გზ. მერვე საზედამხედველო უბნიდან გადაიგზავნა 25 ცალი პატარა ტიპის კვერთხი შესაკეთებლად. მიუხედავათ მრავალი მიმოწერისა ეს კვერთხები მთელი 6 თვე ეყარა საკ. განყ. მე-2 უბანში მოქ. სკავინსკისთან და შემდეგ ძლივს [illegible] საკავშირო სახელოსნოში გადაგზავნა. ხშირად ხაშურის სახელოსნოში იგზავნება ელემენტები შესაკეთებლად, აქ ცოტას გაწმენდენ, მისცემენ პეწს და უბრუნებენ გამგზავნს უკან. რასაკვირველია, ასეთი „ერთგულად" შეკეთებული ელემენტები ისევ მალე ზიანდება.

პროფორგანომ და რკინის გზის სამმართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ვანო ურჩინარა.

მუშკორთა წერილებიდან

ვინ ქურდობს? სად. თბილისის ზაქოს სა. ბარგო საწყობში, 18 მარტს, გატეხეს ყუთი და წაიღეს 18 წყვილი ჩუსტი. ასეთი შემთხვევა პირველი არ არის. ხშირია საწყობში წვრილი ქურდობა. რკ.-გზ. პოლიტსამმართველომ აღმოაჩინოს ქურდი.

მუშა მცოდნე.

სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა. ამიერკავ. წითელ დროშიანი არმიის სტამბის მუშკორებმა, მოისმინეს მოხსენება სარედ. კოლეგიის მუშაობის შესახებ და მოახდინეს მისი გადარჩევა.

მ—ქი.

გამგეობა გადაირჩიეს. რკ. გზის თბილისის უბნის საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებამ, რომელმაც მოისმინა მოხსენება ამხანაგობის ძველი გამგეობის მუშაობის შესახებ, აირჩია ახალი გამგეობა.

მონადირე.

რად გვატყუებენ. სალიანდაგო დარგის მე-7 უბნის მუშები, კარგა ხანია ელოდებიან [illegible] ნამუშევრის ფულის მიღებას, მაგრამ [illegible] ბის გამო, ერთი თვის წინად მისაღები ფული, დღესაც მოუღებელი აქვთ. ადგილკომი, რად გვატყუებენ?

შმენელი.

თავის ადგილზე ვერ ნახავთ. სად. ნავთლუღის ადგილკომის თავმჯდომარეს თავის ადგილზე ვერას დროს ვერ ნახავთ. იგი ადგილკომში მოდის ხშირად დღის 3 საათზე, როდესაც მუშები სახლებში მიდიან.

ძ—ლი.

საწარმოო თათბირის სხდომა. № 1 აგურის ქარხნის საწარმოო თათბირის სხდომამ, განიხილა სეზონის სამუშაო მასალათა მომარაგების საკითხი და წინადადება მისცა ადმინისტრაციას ამ თავითვე შეუდგეს მასალის მომარაგებას.

უხამშობელი.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

სესხის რეალიზაცია აჭარისტანში

კამპანია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის აჭარისტანში წარმატებით ტარდება. ზემოაჭარიდან მიღებული ცნობებით, ხულოს და ქედის მაზრებში ყველა ობლიგაციები გასაღდა. სესხის კამპანიის განსაკუთრებით წარმატებით ჩატარების გამო სესხის რეალიზაცია ამ მაზრებში კვლავ გრძელდება. 20 მარტამდე გლეხებს შორის გასაღებულ იქნა 11.650 მან. ობლიგაცია, ე. ი. 75.5 პროცენტი იმ ობლიგაციებისა, რომლებიც მთელ აჭარისტანში უნდა გასაღებულიყო. განზრახულია ხულოს და ქედის მაზრები დაჯილდოებულ იქნას პრემიით.

ა დ გ ი ლ ე ბ ზ ე

სესხი წარმატებით საღდება

(ს. ხარაგოული, შორ. მაზრა)

ხარაგოულის გლეხები არ ჩამორჩნენ სხვა თემების გლეხებს და შეგნებულად გამოეხმაურენ საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებას საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელების შესახებ.

ჩვენში ობლიგაციების გასაღება წარმატებით მიდის. განსაკუთრებით ღარიბ და საშუალო გლეხობაში. ღარიბი გლეხობა პირველ რიგში იძენს სესხს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეს სესხი მოხმარდება ისევ მისი ღარიბი მეურნეობის გაუმჯობესებას.



გლეხი მალაქია ბრეგვაძე, ამბაკო კამკამიძე და პანტელ დეკანოსიძე ჩვენს თემში ითვლებიან ღარიბ გლეხებად. მათ შეიძინეს თითომ ათ-ათი მანეთის ობლიგაცია. სულ კი დღემდე ჩვენს თემში გასაღებულია 2.000 მანეთის ობლიგაციები.

ქ. ა—ძე.

3.500 მანეთის ობლიგაცია

(საჩხერის თემი)

საჩხერის თემში შემავალ სოფლებში დღემდე გასაღებულია 3.500 მანეთის ობლიგაციები. სესხის შეძენაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშა-ქალებიც. სოფ. სარეკის მცხოვრებმა მუშა-მეოჯახე ქალმა ალათი ჭიღლაძემ შეიძინა 40 მანეთის ობლიგაცია.

ნოვა.

კოლექტიურათ ყიძენთ ობლიგაციებს

(ლანჩხ-ჭაგანის თემი, ქუთ. მაზ.)

ლანჩხ-ჭაგანის თემის გლეხობამ დაადგინა კოლექტიურად შეიძინონ სესხის ობლიგაციები. ობლიგაციების შესაძენად უბნებში არჩიება გლეხთა ჯგუფები, რომლებიც საერთო თანხებით იძენენ ობლიგაციებს.

სულ ჯერ-ჯერობით თემში გასაღებულია 1.500 მანეთის ობლიგაციები.

მ. ბ.

ს ე ს ხ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

სესხის რეალიზაცია წითელ არმიელთა შორის

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხმა წითელ არმიელთა შორის კამპანიის პირველ დღიდანვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

საქართველოს ფინსახკომის ცნობით, თბილისში დაბანაკებულ წითელ არმიელებმა კამპანიის დაწყებიდან დღევანდლამდე ხელი მოაწერეს 45.000 მანეთის ობლიგაციაზე.

ხელის მოწერა გრძელდება.

მდგომარეობა ადგილებზე

საქართველოს ფინსახკომში მაზრებიდან მოსული ცნობებით, რომ ამინდის გამოკეთებასთან ერთად ადგილებზე გაძლიერდა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია.

შორაპნის მაზრიდან იტყობინებიან, რომ ლეღვან-მარელისის თემმა უკვე შეასრულა საკონტროლო ციფრი და ზედმეტად შეაგროვა 206 მანეთი.

მუშაობის შემოწმება

საქართველოს ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს მთელი აპარატი გამგზავრებულია ადგილებზე გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის კამპანიის მიმდინარეობის შესამოწმებლად.

დღეს სიღნაღის მაზრაში მიემგზავრება სავალუტო სამმართველოს უფროსი ნ. ქოიავა სიღნაღიდან ის დაბრუნდება ერთ კვირაში და გაემგზავრება აფხაზეთში და აჭარისტანში.

აღმშენებლობა ახალციხის მაზრაში

ქ. ახალციხეში უკვე დამთავრდა და აპრილის პირველ რიცხვებში მუშაობას დაიწყებს ლუდის ქარხანა, რომელიც ყოველ სეზონში დაამზადებს 15 [illegible].

დაიწყო მუშაობა 1924 წელში აგებულ ჰიდროელექტრო სადგურის გასაფართოვებლად და ხელახლა მოსაწყობად, რასაც 140 ათასი მანეთი ესაჭიროება. ამ თანხის ერთი მესამედი უნდა დაიფაროს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ამ მოკლე ხანში დაიწყება აგრეთვე მუშაობა წყალსადენის გამოსაყვანად ქ. ახალციხისათვის წყალსადენის გაყვანა ხდება ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე, ფულის აკრეფა უკვე დაიწყო და მოკლე ხანში დამთავრდება.

დამთავრებულია ახალციხის სახამებელი ქარხნის აგება. ქარხანა ამ მოკლე ხანში შეუდგება მუშაობას. ქარხნის საწარმოო გეგმით, მიმდინარე სეზონისათვის განზრახულია 150 ათასი ფუთი კარტოფილის დამუშავება.

სამაზრო აღმასკომი მიმდინარე საამშენებლო სეზონში იწყებს ერთ დიდ სახლის აგებას სამაზრო დაწესებულებების მოსათავსებლად. სახლის ტეხნიკური გეგმა და ხარჯთაღრიცხვა 140 ათასი მანეთის რაოდენობით უკვე დამტკიცებულია. აქედან 40 ათასი მანეთი უკვე მიღებულია კრედიტის სახით.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამაზრო საავადმყოფოს შენობის გასაფართოებლად. შენობის დამთავრების შემდეგ საწოლების რიცხვი საავადმყოფოში გადიდებული იქნება 60-მდე.

გახურებული შანთით

ჩხეტია დამნაშავეს [illegible]

სენაკის მაზრის ზოგიერთ საქ[illegible] თავიდანვე ბედი არ დაჰყვა. ექიმი [illegible], რომელიც ძველი მედრამე ხუცესივით [illegible] დობდა დაზღვეულს და დაუზღვეველს [illegible] ერთი მაკრატელით კრეჭდა, მოხვდა [illegible] ბული „შანთი"-ს განყოფილებაში და [illegible] სამაზრო აღმასკომის დადგენილებით [illegible] თანამდებობასაც გამოემშვიდობა. სენა[illegible] ვათმყოფოს მუშაკმა პაჭკორიამ არ [illegible] სალოგინებლათ მოსული მძიმე ავადმ[illegible] ლი იმიტომ, რომ ქალს სათანადო მო[illegible] აღმოაჩნდა. პაჭკორიასაც მოხვდა გ[illegible] მწვავე კალამი. გვეგონა საქმე ამით [illegible] ბოდა, რადგან სენაკის მაზრის დანარ[illegible] ქიმო მუშაკები კეთილსინდისიერათ [illegible] გიულათ მუშაობენ. მათ მადლობის [illegible] რა ეთქმის. მაგრამ არა... ზოგს ეტყო[illegible] გის ქაცილი ასტეხია. გინდა თუ [illegible] მაინც უნდა „ჩაიგდოს" თავის თავი [illegible] კეთილი იყოს, თქვენი მობრძანება, [illegible] ჩვენ ექიმ ჩხეტიას, რომელიც ყოვ[illegible] მართლებელ პროფესიონალურ სოლ[illegible] იჩენს ექიმ ქაჯაიასა და პაჭკორიას[illegible]

დამნაშავენი ადგილობრივ ხელის[illegible] ხომ ღირსეულად დასაჯა. საქმე ამით [illegible] თავებულიყო. ჩხეტია კი სხვა აზრისა [illegible] ფიქრით ნამდვილი დამნაშავე დაუსჯე[illegible] ჩი. ჩხეტია ეძებს წერილების ავტორ[illegible] ერთს დაადებს თითს, ხან მეორეს, [illegible] მეს. ბოლოს, როცა ნამდვილი ავტორ[illegible] სად ნახა, მიუვარდა გაზეთების ცნობილ კორესპონდენტს სენაკში ამხ. ბ. უჩანეიშვილს. სულერთია, ყველა ერთი ცოცხით გასარეკია, ფიქრობდა ჩხეტია, „დედას ვუტირებ", მაგათო.

მივიდა უჩანეიშვილთან სამსახურში, დაუდგა წინ ყვინჩილას პოზით, დაიწყო სტოლზე მუშტების ცემა. და ყვირილი. „მუშკორები მხოლოდ გროშებისთვის სწერთ", „დედას გატირებთ", „რა უპატიოსნებაა, რედაქციებისათვის ფარულად, ცნობების მიწოდება", „თუ წერილებს სწერთ, ჯერ ჩვენ გვიჩვენეთ და შემდეგ გაგზავნეთ". „თუ ექიმი არა ხართ, რა უფლება გაქვთ სწეროთ ექიმებზე?" ბევრი სხვა ასეთი მარგალიტები გადმოყაჭა სიბრაზით ცოფმორეულმა ჩხეტიამ. უჩანეიშვილმა თავდაჭერილობა გამოიჩინა, თორემ, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ჩხეტია „სიტყვიდან საქმეზე" გადასულიყო, როგორც ვიცით, ჩხეტია თავის საექიმო მოვალეობის გარდა ერთგვარ საზოგადოებრივ მუშაობასაც აწარმოებს მაზრაში. შეიძლება ეს ვინმემ მიხი და ნაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებათ ჩასთვალოს. ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ჩხეტია პასუხისმგებელია, როგორც ექიმი და როგორც, მით უფრო, საზოგადო მუშაკი. სენაკი არც თუ ისე მივარდნილი კუთხეა, რომ იქ ასე უპრაგონოთ შეიძლებოდეს გლეხკორის დატუქსვა-დაშინება.

თალი.

ყაზბეგური არიფები

ყაზბეგი ბევრ ჩვენგანს გაუგონია. [illegible] თხელ ყოფილა იქ, ხშირათ მეორე[illegible] ტრია მყინვარის ძირში გავლა და მ[illegible] თერგის გიჟმაჟ ბუნებით დატკბობა[illegible] არის ხალხი, რომელიც ყაზბეგს ისეთ[illegible] ბისათვისაც შეჰხარის, რაიც ამ ცამდ[illegible] თოვლით დაბურულ მთებში კაცს წარ[illegible] ლად მოეჩვენება. ჩვენ ყაზბეგის ღვ[illegible] გახსენებთ, კახეთზე რომ სთქვან ვინმე[illegible] ქება, ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ ყა[illegible] ღვინო, ყაზბეგი და დაუსრულებელი[illegible] ბა, ისე ეხამება ერთმანეთს, როგორ[illegible] ახალოხს დიპლომატის „კოტელოკი". [illegible]

მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, ამბობ[illegible] ბეგში კი მილიციის უფროსს გ. ჯომ[illegible] სა და საქმის მწარმოებელ გ. ქარუმიძე[illegible] რი ვინღა იქნება. ეს ორი გმირი ხევ[illegible] დველ ღმერთებს წარმოადგენენ. ის [illegible] ლიათ, რომ მყინვარის წვერზე არ ცხოვ[illegible] თორემ მათზე მაღალი ამ ქვეყანად არა[illegible] ნება!

ეს კიდევ არაფერი, რომ [illegible] შეთანხმებით ცხოვრობდენ, არა[illegible] ღმერთებსაც სჩვევიათ სიძულვილის [illegible] კინკლაობენ ძაღლსა და კატასავით. [illegible] მანეთს არ ელაპარაკებიან, მაგრამ დ[illegible] ბა თუ არა, სადაც არის, თუ არ არის[illegible] გააჩენენ და სულ ჰარი-ჰარალეს გაი[illegible] მის ორ საათამდე. ძილდამფრთხალი [illegible] ლები განცვიფრებით კითხულობენ: [illegible] ვინები არიან?" რამდენიმე ხნით [illegible] ყურს ათხოვებენ, ნაცნობი ხმა გულ[illegible] დებათ. გაბრაზდებიან, მაგრამ ხმა-[illegible] ლივ, კვლავ იძინებენ.

მილიციის უფროსისა და საქმის მწარმოებლის ხმაჩახლეჩილი სიმღერა კი დახრიალებს ღამის მდუმარებით მოცულ ხევში, წივილ-კივილით. უნდა ითქვას, რომ მეხსიერება ერთსაც და მეორესაც დიდებული აქვს. რაც უფრო მაგრათ ითვრებიან, მით უფრო ნათლად წარმოიდგენენ [illegible] შორის არსებულ უთანხმოებას, იმას, თუ რომელმა რომელს ამა და ამ დროს რა უთხრა, რა შეჰკადრა, რა შეურაცხყოფა მიაყენა. და კბილების ღრჭენით, იარაღ-ამოღებული, დედის გინებით მიეხრდება ერთმანეთს მოსაკლავად ყაზბეგის ეს ორი არიფი. მაშინვე გაჩნდებიან გამშველებლებიც—უმცროსი მილიციელები. ტუჩებში ჰკოცნიან და გრძნობა-მორეულ სიყვარულით თავზე ხელს უსვამენ მოხუცებულს. მუხლმოდრეკით ევედრებიან დაშოშმინებას....

მეორე დილას, ერთიც და მეორეც ისეთი მოძმარული სახით ადგება, თითქოს მთელი კავკასიონის ქედი მათ ზურგზე აწევს. თუ მილიციელს ღმერთი გაუწყრა და ჩესტის აღება ვერ მოასწრო, მაშინვე მზად არის წერილობითი სასტიკი საყვედური. ან კი როგორ უნდა მოიქცე? ჯომარიძე და ქარუმიძე დისციპლინის მომხრე ხალხია. ასე რომ არ იყვეს, ყაზბეგს აქამდე თერგი წაიღებდა. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ, დაე, ყაზბეგი თერგის წერა გახდეს, ოღონდ ბოლო მოეღოს აქაურ მილიციაში არსებულ ფელდფებელურ დისციპლინას.

გერგეთელი.

სახლის პატრ[illegible]—„ძველი ვ[illegible]რდენი"

თუ კი რომელიმე სახლის პატრონს ს[illegible] თბილისში თავის ქება მდგმურთა შ[illegible] ბის და ცემა-ტყეპის საქმეში, ვარდ[illegible] თქიფანიძე მათ შორის პირველი იქნ[illegible] როთქიფანიძე „ყველაფრის მცოდნე ქ[illegible] მის გამტანი", როგორც თვითონ ლა[illegible] მას მუდამ სასამართლოში ნახავთ, [illegible] მდგმურებს და ლამობს მათ გამო[illegible] უჩივიან მას თაღლითობაზე, მდგმურ[illegible] ტყეპაზე, ფულის მითვისებაზე და ს[illegible] ლაპარაკოთ ფაქტები და გავიგოთ [illegible] ფანიძის „საქმენი საგმირონი". სახლ[illegible] ვის დღიდანვე (1925 წლიდან) მიზა[illegible] ილო მდგმური იაკუბოვი, მიაყენა მას [illegible] ჯერმე ფიზიკური შეურაცხყოფა, ამ[illegible] კომისარიატში და სასამართლოში მია[illegible] მაგრამ სახლის პატრონი ახერხებს თავ[illegible] რენას და მაინც თავისას არ იშლის. [illegible] დენიმე დღის წინეთ მიუხტა ხანჯლით [illegible] იაკუბოვს მოკვლის მუქარით. მოუწყო ქურდობის სიმულაცია—ვითომც მას ახლას პატრონს) სამოვარი მოჰპარეს, სინამდვილეში კი ლორთქიფანიძეს სამოვარი არ დაჰკარგვია. ამ ხერხით მხოლოდ იაკუბოვის [illegible] უნდოდა ბინიდან.

ლორთქიფანიძემ ამ რამდენიმე ხნის წინად დაუნგრია ერთ-ერთ მდგმურს, მისი ხელში არ ყოფნის დროს, ოთახის კედელი მეუღლეთა ის თავის სამზარეულოს, მიაყენა[illegible]კური შეურაცხყოფა გალაქტიონოვის ქალს, რისთვისაც მილიციამ კიდევაც დააპატიმრა, მაგრამ აკი თვითონ ლაპარაკობს, რომ ყველაფრის შემძლეა, აქაც მოახერხა დაძვრენა, წაართვა „სარაია" მდგმურ პატარაიას. ლორთქიფანიძე წყლის ფულს ახდევინებს მდგმურებს გაცილებით მეტს, ვინემ წყალსადენის ანგარიშშია და შეაქვს წყალსადენის სამმართველოში ნაკლები, განსხვავებას კი თვითონ ითვისებს. აღმასკომის საფინანსო განყოფილების საგადასახადო ფურცელში შეიტანა ყალბი ცნობები გადასახადების აცილების მიზნით და ამით [illegible] ხელოვნ[illegible] მოუწყო ჭერის ჩამონგრევა. დაასხა სახ[illegible] წყალი, წყალი ჩავიდა ჭერში და უკანა[illegible] ლი დაანგრია. მუდამ დღე ეზოში აყალ[illegible] ლი და სახლის პატრონის ყვირილი და მუ[illegible] არღვევს მდგმურთა მშვიდობიან და მყუ[illegible] ცხოვრებას.

„მე ძველი ვარდენი ვარ, მომესწრება [illegible] უჭამ ხომ კომუნისტები არ იქნებიან, რო[illegible] მოვიხმარენ სახლის ყიდვაში, რომ ეხლა [illegible] შინაურ საქმეებში მერევიანო". ასე გაიძ[illegible] ლორთქიფანიძე, ჩვენი დროის კვაჭი. მდგ[illegible] რები განიცდიან დიდ გაჭირვებას სახლის პ[illegible] რონის უმაგალითო თავაშვებულობით. ს[illegible] როა აილაგმოს ალვირ ახსნილი სახლის პა[illegible] რონი.

[illegible]

მეცნიერება და ტეხნიკა

ც ი ვ ი ს ი ნ ა თ ლ ე

(განათება მომავალში)

იყო დრო, როდესაც პირველყოფილმა ადამიანმა არ იცოდა განათების ხელოვნური წყაროს დამზადება და მით თავის ბინის, თუ მგზავრობის დროს გზის განათება.

დღისით მზის და ღამით მთვარის და ვარსკვლავების სინათლით კმაყოფილდებოდა ის. იყო ხანა, როდესაც განსხვავება ადამიანსა და ცხოველებს შორის არც თუ ისე დიდი იყო, როდესაც ადამიანი ზაფხულს ხეებზე და ზამთარსაც გამოქვაბულებში ატარებდა.

ადამიანის ცხოვრებაში უდიდეს გარდატეხას ახდენს ცეცხლის მიღების წესის აღმოჩენა. ცეცხლი იმდროინდელ ადამიანისათვის მარტო სითბოს წყაროს კი არ წარმოადგენდა, არამედ ბინის გასანათებელ საშუალებასაც. ადამიანი მრავალ ათასეულ წლების მანძილზე თანდათანობით აუმჯობესებდა, როგორც ცხოვრების საერთო პირობებს, ისე ცეცხლის მიღების და განათების საშუალებებს. პირველყოფილ ადამიანის კოცონი, რომელიც მას სითბოსაც აძლევდა და სინათლესაც, შემდეგ კვარი, კვესაბედი, სანთელი, ზეთის და ნავთის ნათურები, გაზის ნათურები, და ბოლოს ელექტრო-განათება. აი, ეს ეტაპები, რომლებიც გაიარა განათების ტეხნიკამ უძველეს დროიდან ჩვენამდი. მიუხედავად იმისა, რომ განათების აღნიშნულ წყაროებს შორის დიდი განსხვავებაა, როგორც ტეხნიკურად, ისე ეკონომიურად, ყველა მათ ერთი საერთო თვისება აქვთ. როგორც უძველეს დროს, ისეთ თანამედროვე განათებას ვღებულობთ რაიმე მასალის გაცხელებით, გახურებით, ე. ი. ადგილი აქვს წვის პროცესს. სინათლის მიღების ასეთ საშუალების დროს კი ენერგიის უმთავრესი ნაწილი მიდის სითბოს გამოყოფაზე, უმცირესი კი გვაძლევს სინათლის ეფექტს. ცვილის სანთლის ქიმიურ ენერგიიდან სინათლის მიღებაზე იხარჯება ენერგიის მეათასედი ნაწილი, დანარჩენი—სითბოს გამოყოფაზე. ვოლფრამის ძაფიან ელნათურებში ელენერგიის მხოლოდ 4 პროც. იხარჯება სინათლის მიღებაზე, ვარვალა ნათურებში—10 პროც.

როდესაც ადამიანი მიზნათ ისახავს მხოლოდ სინათლის მიღებას, მაშინ, რასაკვირველია, უნდა იქნეს ნახმარი ისეთი საშუალება, რომელიც მხოლოდ სინათლეს მოგვცემს და სითბოს გამოყოფაზე ენერგია სრულებით არ დაიხარჯება, ე. ი. მივიღებთ ცივ სინათლეს.

თანამედროვე მეცნიერების და ტეხნიკის მდგომარეობა სავსებით დასაშვებათ და შესაძლებლად სთვლის განათების ასეთ წყაროს. ცივი სინათლის მისაღებად მრავალი მუშაობა და ცდები იქნა წარმოებული. განვიხილოთ ერთი მათგანი.

როგორც ვიცით ჰაერი ჩვეულებრივ მდგომარეობაში, მაგალითად ოთახის ჰაერი, არ ატარებს ელექტრობას, მაგრამ თუ ჰაერს მოვათავსებთ რაიმე ჭურჭელში და ტუმბოთი გამოვსწოვთ ჰაერის ნაწილს, ე. ი. გავაიშვიათებთ მას. ჰაერი ელექტრო[illegible]გამტარი გახდება და იწყებს ნათებას. [illegible] 1838 წელს ფა[illegible] [illegible]იშვიათებულ ჰაერის [illegible] რადღემ გამოი[illegible] [illegible] ჭურჭელში შედის [illegible] რომელთაც გეისლერის მილებს ეძახიან. გეისლერმა ქ. ბონში მოაწყო ქიმიურ და ფიზიკურ ხელსაწყოების სახელოსნო. მისმა გამოკვლევებმა მინაზე და აღნიშნულ მილების დამზადებამ დიდი სახელი მოუხვეჭეს მას. 1868 წელს ბონის უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის სახელწოდება მიანიჭა გეისლერს.

თუ გეისლერის მილებს ბოლოებში გავუკეთებთ ელექტროდებს (პლატინის ან ალიუმინის) და გამტარებით შევუერთებთ მაღალ ძაბვის ელექტრობის რაიმე წყაროს—რუმკორფის ინდუქტორს ან ელექტროფორულ მანქანას—მილში შევნიშნავთ ელექტრობის დაცლის ძლიერ საინტერესო მოვლენებს. იმის და მიხედვით როგორი გაზია მოთავსებული მილში, რამდენათაა გაიშვიათებული, როგორი ფორმის და სად იქნება გაკეთებული ელექტროდები, როგორ მინისაგანაა დამზადებული მილი,—მილში მიღებული ელდაცლაც ატარებს ამ თუ იმ ფორმას და ხასიათს. ჰაერის ან გაზის ნორმალურ წოლვის 4200-დე გაიშვიათების დროს ანოდიდან გამომავალი ნათება აღწევს თითქმის კატოდამდე. უკანასკნელი ანოდის ნათებიდან განცალკავებულია ბნელი შრეთი და გარსავლია ნათელი ლაქა. იმ თავითვე გეისლერის მილების ნათებით სარგებლობენ ფიზიკურ მოვლენათა გამოკვლევებისათვის.

1879 წ. ინგლისელმა ფიზიკოსმა ვილიამ კრუკსმა აღმოაჩინა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გაზის გაიშვიათება აღწევს ნორმალ წოლვის მემილიონედ ნაწილს, ანოდის ნათებას უკვე ადგილი აღარ აქვს, მაშინ როდესაც კატოდიდან გამოდის უხილავი სხივები და ავსებს თითქმის მთელ მილს. მილის ის ნაწილები, რომლებზედაც ეცემა კატოდიური სხივები, მის ზეგავლენის ქვეშ იწყებს ლამაზ ნათებას. კატოდურ სხივების უმთავრეს თვისებას შეადგენს სწორეთ ის, რომ ისინი მრავალ სხეულების ნათებას—ფლუორესცენციას იწვევენ. გეისლერის მილებს, როდესაც მათში ანოდურ ნათების მაგიერ კატოდიური ნათება ჩნდება, „კრუკსის მილებს" უწოდებენ. კატოდური სხივები წარმოადგენენ უარყოფით ელექტროობით დატვირთულ მატერიალურ ნაწილაკების ნაკადს. ამ ნაწილაკებს პირველათ 1891 წელს სტონეიმ ელექტრონები დაარქვა. გეისლერის მილების ნათება საინტერესო და მნიშვნელოვანია მით, რომ ის არ იყო შედეგი რაიმე ნივთიერების, სხეულის გაცხელება-გათბობისა— ის წმინდა ელექტრო-მოვლენის—დაცლას წარმოადგენს. ამიტომ ტეხნიკოსთა შორის დაიბადა აზრი გამოეყენებიათ გეისლერის მილების ნათება განათების საჭიროებისათვის, მიეღოთ ცივი სინათლე. ასეთ ცდების წარმოება დაიწყო პირველათ 1889 წელს ცნობილმა ელექტრო-ტეხნიკოსმა **ნიკოლა ტესლამ.**

ნიკოლა ტესლამ განსაკუთრებულ ტრანსფორმატორ-კოჭას საშუალებით შესძლო მაღალ ძაბვის და დიდ სიხშირის ცვლად-დენის მიღება. ასეთ დენის ძაბვა რამდენიმე მილიონ ვოლტს და სიხშირე მილიონამდე ცვლას აღწევს წამში. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ეს შემდეგ ტესლამაც და დარსონვალმა დაამტკიცეს, სრულიად უვნებელი არიან ადამიანისათვის. ესევე დენი იწვევს მეტად საინტერესო ელექტრო-განათების მოვლენებს. ტესლამ ასეთი ცდა მოახდინა: მან აიღო ლითონის ორი ფირფიტა და მოათავსა ოთახის მოპირდაპირე კედლებზე, განამხოლოვა მათგან და შემდეგ ერთი ფირფიტა შეუერთა დიდ სიხშირის ტრანსფორმატორის ერთ პოლიუს, მეორე ფირფიტა—მეორე პოლიუს. ფირფიტებს შორის ჩნდება ხშირი ცვლადი ელექტრო ველი, რომელშიაც არავითარი სინათლის ხილულ მოვლენას ადგილი არ აქვს მაგრამ საკმარისია ფირფიტებს შორის მდებარე ელექტრო ველში მოვათავსოთ გეისლერის მილები ან ელნათურები, რომ მათ მყის იწყონ ნათება. ასეთსავე ნათებას იწყებენ ველში მოთავსებული ლითონის საგნები, მაშინ როდესაც ადამიანი ასეთ ველში სრულიად უვნებელი რჩება.. სინათლის ეფექტი უფრო ძლიერია, თუ გეისლერის მილებში მოვათავსებთ ისეთ ნივთიერებას, რომელთაც ფოსფორესცენციური თვისება აქვთ. ამ გვარათ მიღებულ სინათლის დროს მილები სრულიად არ განიცდიან გაცხელებას და მისი სინათლე სავსებით ცივია.

ასეთ სინათლით, რომელსაც ნიკოლა ტესლამ „მომავლის სინათლე" დაარქვა, გაანათეს 1892 წელს ჩიკაგოში გამართულ გამოფენის პავილიონები. ტესლას შემდეგ გეისლერის მილებში გაიშვიათებულ გაზის ნათების გამოყენებაზე განათებისათვის ბევრს მუშაობდენ სხვა მკვლევარნიც, განსაკუთრებით მისი მოწაფე მაკ-ფერლან მური, რომელმაც ცივი სინათლის მიღება და პრაქტიკული გამოყენება შესამჩნევათ წასწია წინ. გეისლერის მილების გამოყენებას განათებისათვის წინ ეღობებოდა დიდ ძაბვის დენის მიღების საჭიროება და მილების ელექტრო გამტარებლობის უნარიანობის მალე კარგვა.

1910 წელს მური ელზანდში მცირე ზომის ტრანსფორმატორის შეყვანით ახერხებს 220 ვოლტიან დენიდან მაღალ ძაბვის მიღებას და განსაკუთრებულ მოწყობილობა-სარქველის გაკეთებით აგვარებს გაზების წოლვას და ელგამტარებლობას, რითაც გეისლერის მილების მოქმედებამ-ნათებამ რამდენიმე ათას საათს მიაღწია. მთელი მოწყობილობა ისეა გაკეთებული, რომ სრულიად უშიშარია მომხმარებლისათვის, როგორც მილების შეხება, ისე მათი დაზიანება, არავითარ საშიშ შედეგს არ იწვევენ.

1910 წლიდან დაიწყეს მათი გამოყენება განათებისათვის. ჭერის გასწვრივ ამაგრებენ მინის გრძელ მილებს, რომლებშიაც მოთავსებულია გაიშვიათებული ესა თუ ის გაზი, რომელიც დენის გავლის შემდეგ იწყებს ნათებას. განათების ასეთი წყაროები იძლევა თანაბრათ გაბნეულ, რბილ, დღის სინათლის მაგვარ სინათლეს და ამიტომ სრულიად არ ვნებს თვალებს. რუსეთში პირველათ მურის სინათლით 1912 წელს გაანათეს იმ დროინდელ პეტერბურგის რამდენიმე მაღაზიის ვიტრინები. მურის დადგმულობანი ჯერ ხანობით უფრო იხმარება საქსოვ და სამღებრო წარმოებებში, ფოტოგრაფიაში, მხატვართა და ოქროს მჭედელთა სახელოსნოებში.

მურის გარდა ცივ სინათლის მიღებაზე სხვა მკვლევარნიც მუშაობდენ. მაგალითად ფრანგმა მკვლევარმა რისლერმა 1923 წელს გრძელ ვიწრო მილებში მოათავსა სხვადასხვა გაზების ნარევი და მილის კედლებს გარედან წაუსვა ფოსფორესცენციური შემადგენლობა. ამგვარად მიღებული ცივი სინათლე უფრო ნაკლებ ელენერგიას ხარჯავს, ვინემ მურის დადგმულობაში. მეორე ფრანგმა—კლოდმა—იმავე წელს დაამზადა თავისებური მილები, რომლებიც კიდევ უფრო ნაკლებ ენერგიას ხარჯავენ.

ყველა ზემოთნათქვამიდან ცხადია, რომ განათების ტეხნიკის წინაშე სდგას ელენერგიის სავსებით სინათლის ენერგიათ გადაქცევის, ე. ი. ცივ სინათლის მიღების ამოცანა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, როგორც ტესლას ლაბორატორიული მიღწევა, ისე მურის და სხვა კონსტრუქტორთა ცდები და პრაქტიკული გამოკვლევისაგან თავდებია იმისა, რომ განათების დარგში მომავალში გაიმარჯვებს ის სინათლე, რომელსაც ტესლამ ამ 40 წლის წინად „მომავლის სინათლე" უწოდა.

უქ. ბ—ძე.

ამ შემ[illegible] ვარი ოპოზიცი[illegible] ლორდ კუშენდენ[illegible] ხადებს, რომ შეიარაღებული ძალა [illegible] ცილებელია სამოქალაქო ომის ას[illegible] ლებლად და უფრო დაბალ კულ[illegible] ნეზე მდგარ ხალხების შემოს[illegible]

გერმანიის ახალი ცეპელინი

(წერილი ბერლინიდან)

გერმანიის ახალი ცეპელინის „ლ. ზ. 127"-ის აგება უკვე თავდება, ცეპელინი დანიშნულია უმთავრესად ოკეანეზე გადაფრენისათვის. ამასთან შეფარდებით არის გამოანგარიშებული მისი ზომა და ტვირთ-ზიდვა. დირიჟაბლის კორპუსის სიგრძე აღემატება 150 მეტრს, იტევს 40 კაცს და სიმძლავრე მისი ხუთი მოტორის (მეიბახის სისტემისა) უდრის 2.500 ცხ. ძალას.

ამჟამად უკვე დასრულებულია აგება დირიჟაბლის. დიურალიუმინიდან დამზადებული ჩონჩხის. დირიჟაბლის მშენებელი დ-რი ეკკენერი იმედოვნობს, რომ უკვე მაისში შესძლებს საცდელ გაფრენას „ლ. ზ. 127"-ით.

მშენებელთა მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა ისეთი საწვავი მასალის პოვნა, რომელიც ბენზინზე უფრო მსუბუქი იქნებოდა. თუ გერმანულ გაზეთებს დავუჯერებთ, ცდებს ამ მიმართულებით არ ჩაუვლია ამაოთ. გერმანელმა ინჟინერებმა გადასწყვიტეს საწვავ მასალათ მოტორისათვის გამოიყენონ გაზების სპეციალური ნარევი, რომელიც თავისი თვისებებით სინათლის გაზს ენათესავება. ამ გაზის განსაზღვრული მოცულობის ერთეული 700-ჯერ უფრო მსუბუქია, ვიდრე ასეთივე მოცულობის ბენზინი, თბიერებითი თვისება კი ბენზინისას აღემატება. ამრიგად დირიჟაბლის ამშენებლები, დიდ ეკონომიას აღწევენ სათბობი მასალის ხარჯზე. ამ აღმოჩენის მნიშვნელობის შესაფასებლად საკმაოა მოვიყვანოთ ერთი ციფრი. „ლ. ზ. 127" წინამორბედმა—„ლ. ზ. 126"-მა ოკეანეზე გადაფრენის დროს წაიღო 1800 ფუთი ბენზინი. ამ მკვდარი ტვირთის დიდ ნაწილს „ლ. ზ. 127"-ზე დაიკავებს სასარგებლო ტვირთი. მაგრამ მსუბუქ საწვავი მასალის უპირატესობა მარტო ამით როდი ამოიწურება. წინათ მოტორების მიერ ბენზინის ხარჯვასა და ამის შედეგათ დირიჟაბლის შემსუბუქებასთან შეფარდებით, დირიჟაბლიდან უშვებდენ ჰელიუმს—ძვირფას გაზს, რომელიც დირიჟაბლის ამწევ ძალას წარმოადგენს. ამას შვებოდენ იმ მიზნით, რომ დაეცვათ ფრენის სიმაღლის თანაბრობა. ახლა, საწვავი მასალის წონის შემცირების წყალობით, დიდი განსხვავება არ არის დირიჟაბლის წონაში გაფრენამდი და ფრენის დროს, რის გამო ჰელიუმის გამოშვება ძველი რაოდენობით აღარ არის საჭირო.

მოტორებისათვის შერჩეული ახალი სათბობი მასალა ნაკლებ საშიშია აფეთქებისა და ცეცხლის გაჩენის მხრივ, ვიდრე ბენზინის ორთქლი. ახალი სათბობი მასალის უპირატესობასა და მოტორების სიმძლავრის გადიდების წყალობით შესაძლებელი შეიქნა დირიჟაბლის მოქმედების რადიუსის გაძლიერება: „ლ. ზ. 127"—შეუძლია გაიაროს 10—15.000 კილომეტრი მიწაზე დაუშვებლად. ამ ანგარიშით, დედამიწის გარშემო შემოსაფრენად „ლ. ზ. 127"-ს მხოლოდ 4-ჯერ დასჭირდება სათბობი მასალის მარაგის აღდგენა.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 14 მარტი.

მსოფლიო უდიდესი ჰიდროპლანი

დორნიეს საავიაციო ქარხნებმა ააგეს მსოფლიოში უდიდესი გიდროპლანი.

ამ გიდროპლანს საათში შეუძლია 195 კილომეტრის გავლა და 55 მგზავრის წაყვანა.

სურათზე—დორნიეს ქარხნებში დამზადებული უდიდესი გიდროპლანი. მის გვერდით—შესადარებლად—ჩვეულებრივი ზომის გიდროპლანი.

ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბერლინში ჩავიდა ცნობილი იტალიელი ავია-კონსტრუქტორი, მფრინავი და ჩრდილოეთის ქვეყნების მკვლევარი გენ. ნობილე, რომლის ბერლინში ჩასვლის მიზანს შეადგენს სათანადო პირობების მომზადება ჩრდ. პოლიუსისაკენ მომავალი გაფრენისათვის. ნობილემ დაათვალიერა სედდინის ანგარები (აეროდრომები) ქ. შტეტინის ახლო), რომლებიც ომის დროს გერმანიის ცეპელინების ბაზას წარმოადგენდა და სადაც ნობილეს განზრახული აქვს მოათავსოს თავისი უზარმაზარი დირიჟაბლი, რომლითაც იგი ჩრდ. პოლიუსის მიღწევას აპირობს. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ნობილემ გააცნო მათ ზოგიერთი ცნობები ამ დირიჟაბლის შესახებ, რომელიც მთლიანად ნობილეს გამოგონებითი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

ნობილეს დირიჟაბლი არის ნახევრათ მაგარი ტიპის უზარმაზარი საჰაერო ხომალდი, სიგრძით—100 მეტრამდი. დირიჟაბლის გონდოლაში ეტევა 18 კაცი, მათ რიცხვში—რამდენიმე ტეხნიკოსი და ინჟინერი, ბუნებისმეტყველი და ტოპოგრაფი, თვით ნობილე ორი თანაშემწეთი, ექიმები, მატროსები და მზარეული. ნობილეს განზრახული აქვს აპრილის შუა რიცხვებში გაფრინდეს იტალიიდან სედდინში. ეს გადაფრენა ორი ათასი კილომეტრის მანძილზე იქნება გამოცდა დირიჟაბლისა და მისი რაზმისათვის. თუ გადაფრენა წარმატებით დასრულდა, ნობილეს ორი კვირის დასვენების შემდეგ განზრახული აქვს გაფრინდეს ჩრდილოეთ-პოლიუსისაკენ, რომლის მიღწევას აპირებს შეუჩერებლივ.

„მცურავი კუნძულები"

მთავარ დაბრკოლებებს ოკეანეზე გადაფრენის დროს წარმოადგენს საწვავი მარაგის დიდი რაოდენობის წაღების საჭიროება, მეცნიერულ ტეხნიკური აზრი ამ დაბრკოლების დაძლევას აპირობს ოკეანეში ხელოვნური ბაზების—„მცურავ კუნძულების" მოწყობის გზით. ამერიკაში უკვე დაიწყეს პირველ საცდელ მცურავ კუნძულის აგება ინჟ. არმსტრონგის პროექტის მიხედვით.

არმსტრონგის საზღვაო საჰაერო სადგურს ოკეანეში ამაგრებენ რამოდენიმე ღუზით ჰიდროპლანების დასაშვებად. ჰაერო-სადგურს მოეწყობა ყოველი მხრიდან დაცული წყნარი სივრცე.

არმსტრონგის პროექტს აქვს მთელი რიგი ნაკლულოვანებები. ამ ნაკლულოვანებათა რიცხვს ეკუთვნის აშენების სიძვირე და ნამუშობის სიდიდე და სირთულე.

მეორე ამერიკელმა ინჟინერმა ფლიტმა შეიმუშავა პროექტი, რომელიც, როგორც სჩანს, მოკლებულია ამ ნაკლულოვანებებს. ფლიტი წინადადებას იძლევა აშენებულ იქნეს დიდი წყალწყვის მქონე (60.000 ტონამდე) რამოდენიმე გემი ბანით, რომელზედაც დაეშვებიან ჰაეროპლანები. ამ მცურავ ჰაეროდრომზე დადგმული იქნება სუსტი ძრავები, რომელთა საშუალებით გემები ნელა იმოძრავებენ ოკეანეში. ასეთი ტიპის გემების აგება უფრო ადვილი და იაფია, ვიდრე არმსტრონგს სისტემის ჰაერო-პორტების მოწყობა.

ელექტრო-მატარებლები

გალლე-ლეიპციგის რკინის გზაზე (გერმანიაში) შემოღებულია ელექტრონის მატარებლები. ეს ღონისძიება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს რკინის გზის ტრანსპორტის განვითარებაში, ახალი მატარებლები საათში 100 კილომეტრს ანვითარებენ და ამრიგად უკან სტოვებენ ყველა სახის სასწრაფო მატარებლებს, რომლებიც ორთქლმავალით მიჰყავთ. მეორე კლასის ელექტრონის ვაგონი იტევს 50 კაცს, პირველი კლასის—16. საჭირო შემთხვევაში შეიძლება მგზავრების რიცხვის გადიდება 100-დი.

ელექტრონის მატარებლების უდიდესი სისწრაფე პირველ რიგში აყენებს მგზავრების უშიშროების საკითხს. ამ მიზნით მატარებელი მომარაგებულია მთელ რიგ დამცველ მოწყობილობით. გათვალისწინებულია ისეთი შესაძლებლობაც კი, როგორც—მატარებლის წამყვანის უეცრად ავად გახდომა (გულის წასვლა და სხვა). სამართავი საჭე მომარაგებულია მოწყობილობით, რომელიც ჰკეტავს დენს, როგორც კი წამყვანი ხელს გაუშვებს საჭეს, დენი წყდება და მატარებელი ჩერდება. უამისოდ წამყვანის უეცარ ავადმყოფობას შეუძლია გამოიწვიოს საშინელი კატასტროფა, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი მიწისქვეშა ელექტრონის რკინის გზებზე.

რადიო ტალღები და მედიცინა

ამერიკის დიდ რადიო-სადგურების მუშაკებმა აღნიშნეს ფაქტი, რომ შედარებით დიდი ძალის (ინტენსიური) რადიო-ტალღები იწვევენ მათი მოქმედების სფეროში მყოფ ორგანიზმის ტემპერატურის აწევას. ამერიკელმა ექიმებმა ხელი ჩასჭიდეს ამ ფაქტს და განზრახვა აქვთ რადიო-ტალღების აღნიშნული თვისება გამოიყენონ სამკურნალო მიზნებისათვის ორგანიზმის ისეთი მდგომარეობათა დროს, როცა ადგილი აქვს ტემპერატურის—სიცოცხლისათვის საშიშ დაწევას. ამჟამად რადიო-ტალღების საშუალებით წარმატებით სწარმოებს ფილტვების ანთებისაგან განკურნებულთა და ძილის ავადმყოფობის მკურნალობა.

რ ა დ ი ო - კ ა ტ ე რ ე ბ ი

საფრანგეთის სამხედრო ფლოტშია იღებს ახალი საბრძოლო ერთეულები—ნავი კატერები (ნავები) რომელთაც მართავენ რადიოს საშუალებით. სამხედრო ექსპერტს აზრით, ეს ნავები (კატერები) წარმოადგენენ საზღვაო ომის საშიშ იარაღს. კატერზე დადგმულია მძლავრი მოტორები, რომ საშუალებით ისინი ახერხებენ დიდი სიჩქარის განვითარებას—80—90 კილომეტრამდე, რაც საგრძნობათ აღემატება სწრაფ სამხედრო გემების სისწრაფეს. ეს დიდ შესაძლებლად ხდის ნავების ჩქარა გამოყვანა ზარბაზნების მოქმედების სფეროდან.

რადიო-კატერები თან ატარებენ ასაფეთქებელ ნივთიერებას. პირველ შემთხვევაში ხდება ნაღმის ავტომატიური აფეთქება იმ პირის სიგნალით, რომელიც რადიოთ მართავს კატერს. მეორე შემთხვევაში, იმავე პირის სიგნალით,—კატერი ფეთქდება, როცა მტრის სამხედრო გემს მიუახლოვდება. ამ შემთხვევაში კატერი ასრულებს დიდი ნაღმის როლს.

კატერების ყველა მანევრები და ოპერაციები ავტომატიურად ხდება. კატერებს მართავენ რადიოთი ან ხმელეთიდან, ან აეროპლანიდან, რომელიც შორ მანძილზე უკან მიჰყვება კატერს და მიუწვდომელია მტრის ზარბაზნებისათვის. საფრანგეთის ფლოტის რადიო-კატერების მართვა ჯერ ჯერობით მოხერხდა 10 კილომეტრის მანძილზე. ამიტომ მათი დანიშნულება—სანაპიროების დაცვა. კატერები დაფარულია სქელი ჯავშნით, რომელიც იცავს მათ რთულ მოწყობილობას ყუმბარების ზემოქმედებისაგან.

საზღვაო-საჰაეროდგური—გემი „კორეიჯეს"

ინგლისის გემთა სააღმშენებლოში აგებული სამხედრო-საზღვაო სადგური—გემი „კორეიჯეს"—გემი. ეს არის უდიდესი გემი. მისი აგება დაჯდა 19 მილიონი მანეთი.

სურათზე—გემი „კორეიჯეს" ნავთსადგურიდან გასვლის მომენტში.

მ ფ რ ი ნ ა ვ ი ნ ა ვ ი

როჩესტერში (ინგლისში) [illegible] მსოფლიოში უდიდესი მფრინავი [illegible] მფრინავ ნავზე დადგმულია რო[illegible] მელთა საერთო ძალოვნება [illegible] ძალას უდრის. ნავით შეიძლება 15 მგზავრის წაყვანა მათი ბარგით. ნავზე არის დიდი სასადილო.

სურათზე—უდიდესი მფრინავი ნავი პირველი გაფრენის წინ.

ბრძოლა შრომის დისციპლინის აღდგენისათვის ტრანსპორტზე

დასჯილია 16 რკინისგზელი

ჩვენს მკითხველებს, ალბად, ახსოვთ თებერვალში სადგ. ნავთლუღში მომხდარი კატასტროფა, როდესაც უფროს მეისრე ბურკაძის და უნცროს მეისრე ქვავაძის საქმისადმი დაუშვებელი მოპყრობით, გარდა იმისა, რომ გზამ იზარალა რამდენიმე ათასი მანეთით, დაშავდა ექვსი კაცი, რომელთაგან ერთი შემდეგ გარდაიცვალა.

ბურკაძეს მანამდეც ჰქონდა ჩადენილი მთელი რიგი სამსახურებრივი დანაშაულობანი, რისთვისაც რამდენჯერმე იყო გაფრთხილებული, მაგრამ იგი არ გამოსწორდა.

ეხლა ორთავე მეისრე დასჯილია. ბურკაძის მისჯილი აქვს—სამი წლით, ხოლო ქვავაძეს—ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

იმავე თვეში სადგ. თბილისში მომავალი მატარებელი დაეჯახა ორთქლმავალს. ამ შემთხვევამაც რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი მიაყენა გზას.

ეს შემთხვევა გამოიწვია ტეხნიკური ექსპლოატაციის წესების უხეშად დარღვევამ.

ამ შემთხვევაში მთავარ დამნაშავედ ცნობილია სადგ. ნავთლუღის მაშინდელი მორიგე ჭანკვეტაძე, რომელსაც მისჯილი აქვს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სადგ. თბილისის დეპოს მემანქანეს შევეროვს, ორთქლმავალის დაუშვებელი სისწრაფით წაყვანისათვის და უფროს მეისრეს ქვიბილაშვილს ტეხნიკური ექსპლოატაციის ყველა წესების დარღვევისათვის მიუსჯიათ ექვსი თვით დაპატიმრება—თვითეულს.

უფრო აღმაშფოთებელია თავისი ხასიათით თებერვალში სადგ. ლიხში მომხდარი შემთხვევა. იგ[illegible] ძალიან ძვირად დაუჯდა გზას; გარდა ამ[illegible] ამ შემთხვევამ შეიწირა ერთი კაცი. ამ შემთხვევაში რკინის გზელების უმსგავსო სა[illegible]ელმა ყოველ საზღვარს გადააჭარბა. საქმის შინაარსი ასეთია:

სადგ. [illegible]ხში მისულ მატარებელს მოხსნეს ორთქლმა[illegible]ები და გაგზავნეს ხაშურში. სადგურის მორიგემ გიორგი ქიმერიძემ მისცა რა განკარგულება მთავარ კონდუქტორ მალრაძეს [illegible] ორთქლმავლების მოხსნის შესახებ, წინ[illegible]არ შემადგენლობის დამუხრუჭებით, არ [illegible]სინჯა მოიყვანეს თუ არა სისრულეში ეს განკარგულება; ამასთანავე მან საპიროდ [illegible]სცნო ორთქლმავლების წასვლის დროს გ[illegible]ზზე გამოსვლა.

მთავარი კონდუქტორი მალრაძე და მასთან ერთად მატარებლის კონდუქტორთა მთელი გუნდი: ქილოსონია, ლოცაბიძე, სტეფანე და ილია ხვედელიძეები, ლომსაძე, [illegible]ჯიშვანიძე და ქურდაძე დაუხსდენ მემანქანე ორთქლმავლებს და წავიდენ ხაშურში. [illegible]ობში დარჩენილ შემადგენლობასთან დარჩენ[illegible] ისიც იმის გამო, რომ ეძინად, მზეთავები [illegible]ფიხიშვილი და მეშველიძე.

უფრო[illegible]მავლად დარჩენილი მატარებლის შემადგენლობა დაიძრა ადგილიდან (დაუმუხრუჭებლობის გამო), წამოიწია გზაში ორთქლმავლებს და მოხდა კატასტროფა.

აღნიშნული პირებიც დასჯილი არიან თავისუფლების აღკვეთით: ქიმერიძე—სამი წლით, მალრაძე—ერთი წლით ყველა დანარჩენი კონდუქტორები—წელიწად ნახევრით (თითოეულს) და მეშეთავეები ექვსი თვით (თითოეულს).

რკინისგზებზე

კონკურსი საუკეთესო მემანქანეზე

კონკურსი დასრულდა, — ვინ [illegible] საუკეთესო მემანქანე

როგორც ვსწერდით, ა.-კ. რკ. გზებზე გამოცხადებული იყო კონკურსი საუკეთესო მემანქანის სახელწოდებაზე. კონკურსის მიზანი იყო სახალხო მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლა და იმის გამორკვევა, თუ რომელ მემანქანეს უფრო უკეთესად მიჰყავს მატარებლები. ა.-კ. რკ. გზების ყველა უბნებზე კონკურსი უკვე ჩატარებულია.

ამ დღეებში შესდგა კონკურსის შედეგების გამომრკვევ ჟიურის სხდომა. ჟიური დაწვრილებით გაეცნო სახალხო მატარებლების მემანქანეების საკონკურსო მგზავრობის ყველა მასალებს და გამოიტანა თავისი დასკვნა.

წევის დარგის პირველ უბნიდან ჯილდოები მიეცა შემდეგ მემანქანეებს: ადეიშვილს — პირველი ჯილდო 175 მან., ბერგერს — მეორე ჯილდო — 125 მან. და აბულაძეს — მესამე ჯილდო —75 მანეთი.

ამ უბანზე მომუშავე მემანქანეთა შორის ჟიურიმ საუკეთესო მემანქანის სახელწოდება მიანიჭა (ჯილდოს მიუცემლად) [illegible]ტაშვილს.

[illegible] უბნიდან პირველი ჯილდო მიეცა მემანქანე ჭუბაბრიას, მეორე — [illegible]ეუს და მესამე — კაკაბაძეს. საუკეთესო მემანქანის სახელწოდება ჯილდოს გარეშე მიენიჭა კაკია-[illegible] ბამალაშვილს.

[illegible] უბნიდან პირველი ჯილდო მემანქანე ლოლიანცს, მეორე—[illegible]ძეს და მესამე—სტაროსტინს. საუკეთესო მემანქანეების სახელი მიენიჭათ მუყობახიძეს, ვიტაგანს და მო[illegible].

[illegible]ე უბნიდან პირველი ჯილდო [illegible]ფურიანოვს, მეორე—კოსარევს [illegible] მიტროხაევს, საუკეთესო მემანქანეებად ცნობილ იქნენ: დემიანენკო, [illegible] და ლეოშკევიჩი.

[illegible] უბნიდან პირველი ჯილდო [illegible]ლიპატკოვს, მეორე— გუნჩ[illegible] და მესამე— არაქელოვს, საუკეთესო მემანქანედ ცნობილ იქნა მხი[illegible]

საფინანსო კურსების შესახებ

„კომუნისტი“-ს № 65-ში მოთავსებულია „მოკეთე“-ს წერილი—„რა ხდება საფინანსო კურსებზე?“ უცნობი ავტორის წერილში სიმართლე და ზომიერება გადალახულია როგორც კურსების, ისე ჩემ მიმართ.

რას ამბობს ავტორი? ის სწერს: 1) არავითარი სასწავლო გეგმა და დებულება კურსებს არ ქონდა და არც დასტური ქონდა ფინმუშაკების ახალი კადრის მომზადებისა და 2) დ. თოფურიძე და მსმენელები ცდილობდენ კურსები ორწლიანი ყოფილიყო.

შემდეგი საბუთები ამტკიცებენ, რომ „მოკეთეს“ სიტყვები სინამდვილეს არ ეთანხმება: 2 სექტემბერს 1927 წ. ფინსახკომი სწერს განსახკომს „წარედგინა კურსების დებულება და სასწავლო გეგმა“ და განსახკომმა „1927 [illegible] შემდეგი მოწერილობა“: „ფინსახკომთან არსებულ ეკონომიურ-ფინანსიურ კურსების გამგეს. გაცნობებთ, რომ პროფგანათლების მთავარმმართველობის კოლეგიის მიერ მიღებულია ეკონომიურ-ფინანსიური კურსები ორწლიანი სწავლის ხანგრძლივობით; სასწავლო გეგმა მიღებულ იქნა დროებით“.

პირველი მუხლი ხსენებული დროებითი დებულებისა ამბობს: „კურსების მიზანია მოამზადოს მუშაკები, რომელნიც სხვადასხვა კომისარიატებში, ალმასკომებში, ტრესტებში, საკრედიტო დაწესებულებებში და კოოპერატივებში შეგნებულად და ნაყოფიერად შესძლებენ მუშაობას“. ორივე საბუთის ასლებს აქვე ვარდგენ.

ეკონომ.-ფინანსიური კურსები მთავრობის თავმჯდომარისადმი მიმართვაში ამბობს: „არსებული ეკონომ.-ფინანსიური კურსების მიზანს შეადგენს მოკლე ვადაში,—ორი წლის [illegible]ობაში,—მსმენელებს შეასწავლოს ის [illegible] რომელნიც მათ ალმასკომებში, თემის საბჭოებში სხვადასხვა სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებებში შეგნებულად ნაყოფიერად მუშაობას შეაძლებინებს [illegible] დავალებით კურსების მო[illegible] ამჟამად იხილავს სათანადო [illegible]ანო.

[illegible]ანილი ფაქტებიდან აშკარაა რომ „მოკეთე“ თავის წერილში სინამდვილეს უვლის. „მოკეთე“ ორ რამეს [illegible]იცავს. 1) „კურსების გახსნის დღიდან (ი. გამგეს) ერთხელაც არ მოუწვევია მსმენელთა კრება, არც ერთი პრო[illegible] მეთოდიური საკითხი არ დაუსვამს. [illegible]ზრახ გაურბოდა“; 2) გამგემ წა[illegible] ჯგუფების გაერთიანების საკითხი.

[illegible]თი და არც მეორე არაა მართალი. [illegible] და სასწავლო გეგმა, რომელნიც [illegible] მიიღო დროებით 1927 წლის იან[illegible] შემუშავებული კოლეგიურად, [illegible] დროზე მაშინდელი ლექტორე[illegible]ბით. რაც შეეხება ჯგუფების გაერთიანებას, ეს საკითხი კრებაზე წამოაყენა [illegible] და ლექტორების უმრავლესობა [illegible] წინააღმდეგ წავიდით და ეს [illegible].

[illegible] სინამდვილე და „მოკეთის“ სინამდვილე ადვილად შეძლო, რომ სა[illegible] ცნობოდა.

[illegible] უნდა განვაცხადო, რომ 1927-28 [illegible] განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ არის განთავისუფლებული გა[illegible] 153 კაცი. მსმენელთა საერთო რიცხვი აღწევს 250 კაცამდე.

დ. თოფურიძე.

წყალდიდობის მოლოდინში

თათბირი ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში

გუშინ, ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში შესდგა თათბირი მოსალოდნელ წყალდიდობის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.

თათბირის თავმჯდომარემ—ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა ამხ. ხმალაძემ აღნიშნა, რომ თათბირის მიზანია იმ ღონისძიებების გამომუშავება, რომლებიც მთელ რიგ დაინტერესებულმა დაწესებულებებმა უნდა მიიღონ მოსალოდნელი წყალდიდობის დროს.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ თათბირმა განსაზღვროს ის მოვალეობანი, რომლებიც თვითეულ დაინტერესებულ დაწესებულებას ეკისრება. დასასრულ, ამხ. ხმალაძე მიზანშეწონილად სცნობს, რომ მოსალოდნელ წყალდიდობასთან საბრძოლველად გამომუშავებული იქნას ერთი მთლიანი სამუშაო გეგმა.

წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიის წევრი ინჟ. ქურდიანი თათბირს აცნობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ცხოვრებაში. შემდეგ აღნიშნავს, რომ მტკვრის საგრძნობლად ადიდება წალეკვით ემუქრება კამოს ქუჩას და მის ახლო-მახლო ადგილებს და აგრეთვე რიყის მიდამოებს, დესიმონოვის მოედანს, მადათოვის კუნძულს და ორთაჭალის რაიონს. ინჟ. ქურდიანი მიზანშეწონილად სთვლის ორთაჭალაში და მადათოვის კუნძულის მახლობლად მცხოვრებ პირთა ადრიან გადასახლებას სხვა უშიშარ ადგილებზე. მცხოვრებთა ჩასასახლებლად საჭიროა კახეთის და საბჭოს ქუჩაზე სამი დროებითი თავშესაფარის გამოყოფა.

წითელი ჯვრის წარმომადგენელმა ამხ. ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მოსალოდნელ წყალდიდობის დროს წითელი ჯვრის კომიტეტი წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიას მისცემს 1 საბარგო ავტომობილს, 1 ნახევრად მსუბუქ ავტომობილს და 1 მსუბუქ ავტო-მანქანას. რაც შეეხება საქმით დახმარების აღმოჩენის საქმეს, ამ მხრივ გადადგმულია სათანადო ნაბიჯი და ქალაქის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან შეთანხმების თანახმად მტკვარზე ნავის გასაჩერებელი 9 პუნქტი უზრუნველყოფილი იქნება საექიმო დახმარებით.

ქალაქის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ განყოფილების მიერ გამოყოფილია 3 სანიტარო და 1 საბარგო ავტომობილი.

„ზაკავტოპრომტორგის“ წარმომადგენელმა ამხ. ბექთაბეგოვმა განაცხადა, რომ მოსალოდნელი წყალდიდობის დროს კომისიის განკარგულებაში „ზაკავტოპრომტორგ“-ის მხრიდან იქნება: 12 საბარგო ავტომობილი, რომლებიც თითო მგზავრობაზე დაიტევს 840 კაცს და 3 სამგზავრო ავტომობილი 90 კაცისათვის. ამხ. ბექთაბეგოვი საჭიროთ სთვლის, რომ ამ საქმეში ჩაბმული იქნეს აგრეთვე კერძო საავტომობილო საზოგადოება „მოტორი“.

ბრანდმაიორი ამხ. ზერიძე ამბობს, რომ წყალდიდობის დროს სახანძრო რაზმიდან გამოყენებული იქნება 7 ცეცხლის მქრობელი მანქანა და 50 რაზმელი.

ქალაქის კომენდანტის თანაშემწე ამხ. მეხი ეხება ფიზიკური ძალის დახმარების საქმეს და ამბობს, რომ წითელი არმიის ნაწილებში შემოღებული იქნება მორიგეობა და ამრიგად საჭიროების დროს წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიის განკარგულებაში იქნება ქვეითა და ცხენოსან წითელ-არმიელების საკმაო კადრი. აგრეთვე წითელ-არმიელთა რიგებიდან დაარსდება მცურავთა ჯგუფი.

მომხსენებლების მიერ წარმოდგენილი პრაქტიკული ღონისძიებანი თათბირმა სცნო მიზანშეწონილად და დაადგინა—ყველა სატრანსპორტო და სხვა საშუალებანი ამთავითვე იქნას გადარიცხული წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიის განკარგულებაში.

გარდა ამისა, თათბირმა წყალდიდობის დროს საშიშარ ადგილებათ სცნო კამოს ქუჩა და მისი მახლობელი რაიონი, მადათოვის კუნძულის შუა ადგილი, რიყის მიდამოები და დესიმონოვის მოედანი.

ყველაზე უფრო სახიფათო ადგილად ცნობილი იქნა ორთაჭალის რაიონი.

თათბირმა დაადგინა მილიციის საშუალებით ეცნობოს ორთაჭალის მცხოვრებთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების პირველ მოთხოვნილებისთანავე დაუყოვნებლივ დასტოვონ საცხოვრებელი ბინები და გადასახლდნენ მათთვის მიჩნეულ ბინებში.

თათბირმა აგრეთვე გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ იმ რაიონებში მდებარე მოძრავი ქონება, რომელსაც მტკვრის ადიდების დროს წალეკვა მოელის—გადატანილ იქნას სხვა ადგილებზე.

თათბირის დადგენილებით, ყველა სამილიციო რაიონების უფროსებს, ქალაქის მორიგეს მილიციის სკოლის მსმენელებს და ცხენოსან მილიციას ევალებათ მდინარის ადიდების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს.

გზატკეცილების შეკეთება

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ შეატყობინა წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიას, რომ წელს აკრძალულია გზატკეცილების კაპიტალური შეკეთება და კაპიტალური ჯებირების აგება, რადგანაც წყალდიდობის დამთავრებამდე მათი გაკეთება არ მოესწრება.

ამიტომ გზატკეცილების სამმართველო წინადადებას აძლევს ადგილებს გზატკეცილების დასაცავად აგონ დროებითი ხასიათის ჯებირები.

ალაზნის ხიდს წალეკვა მოელის

სიღნაღის სამაზრო ალმასკომმა შეატყობინა წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას, რომ წელს წყალდიდობა წალეკვას უქადის ალაზნის ხიდს. ხიდის დასაცავად საჭიროა 10.000 მანეთის გადადება.

წყალდიდობასთან მებრძოლმა საგანგებო კომისიამ აღნიშნული შუამდგომლობა გადასცა გზატკეცილების სამმართველოს.

თოვლის დნობა

30 მარტისათვის თოვლის დნობის შესახებ გეოფიზიკური ობსერვატორია აქვეყნებს შემდეგ ცნობებს:

30 მარტის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში თოვლის დნობა ნორმალურად მიდიოდა. თოვლის სისქემ ყველგან დაიკლო [illegible]. დასავლეთ საქართველოში თოვლის დნობა სწარმოებდა უფრო ჩქარი ტემპით. ტემპერატურამ მოიმატა და ერთის დღის შემდეგ თოვლი გადნება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლემდე.

ჰიდრო-ელსადგურს საფრთხე მოელოდა

გორის წყალთა ოლქის უფროსი ინჟ. ჯათიანი ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ 30 მარტისათვის, გორის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის მთავარ არხში შემთხვევით დაუხურავი დარჩა მთავარი არხის საფარი. ამის გამო მთავარ არხში წყალი შემოიჭრა დიდი რაოდენობით და წალეკვას უქადდა მთელ სადგურს.

ამის შესახებ ცნობების მიღებისთანავე, მიღებული იქნა სასწრაფო ზომები და ამგვარად კატასტროფა აცილებულ იქნა.

შაქრის ჭარხლის პლანტაციები დაცულია

გორის სამაზრო სამეურნეო იტყობინება, რომ შაქრის ჭარხლის პლანტაციების წყალდიდობისაგან გადასარჩენად გადაწყვეტილია აგებულ იქნეს მთელი რიგი ჯებირები. ჯებირების ასაგებათ საჭირო ქვა მზადდება ბორჯომის და გორის რაიონებში.

ჯებირების აგება დაიწყება 2 აპრილს.

სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთში მდინარეთა ნაპირების გამაგრება წარმატებით მიმდინარეობს. სწარმოებს ხე-ტყის მასალების დამზადება და ჯებირების აგება. მდინარეებში წყალი თანდათან მატულობს.

ცაგერის დასაცავად

ცაგერიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივ მისულმა სპეციალისტებმა უკვე გამოარკვიეს ჯებირების ასაგები ადგილები.

ამასთან ერთად იტყობინებიან, რომ დაწყებულია მუშაობა სოფ. ორბელის დასაცავად წყალდიდობისაგან. სოფ. ორბელს წალეკვით ემუქრება მდინარე ლაჯანურა.

მტკვარის ადიდება

წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებულ ჰიდრომეტრიული განყოფილების ცნობით, გუშინ მტკვრის დონე უდრიდა 152 სანტიმეტრს, ანუ წინა დღესთან შედარებით მტკვარმა მოიმატა 33 სანტიმეტრით, ხოლო ნორმალურ დონეს ასცილდა 92 სანტიმეტრით.

ქრონიკა

მისალმება საქ. ცაკს და სახკომსაბჭოს

საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს სახელზე ახალციხიდან მიღებულია შემდეგი მისალმებელი დეპეშა: გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებების ახალციხის მე-5 სამაზრო კონფერენცია სალამს უძღვნის საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას. ახალციხის მაზრის მშრომელნი, მუშურ-გლეხურ მთავრობის მზრუნველობის მეოხებით მტკიცედ მიიწევენ წინ ლენინური გზით.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელთ!
გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

მზადება სავალდებულო სწავლების შემოსაღებად

განათლების სახალხო კომისარიატი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას სავალდებულო საყოველთაო სწავლის შემოსაღებად რესპუბლიკის ფარგლებში.

კომისარიატმა გამოიმუშავა ინსტრუქციები და ფორმები საყოველთაო სავალდებულო სწავლების გეგმის შესადგენად ადგილებზე. მთელი მასალები შედგენილია ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატებისა და განათლების სამაზრო განყოფილებების გამგეთა თათბირის დადგენილებათა საფუძველზე.

საყოველთაო სწავლების გეგმა პირველად შედგენილი იქნება ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში. შემდეგ ადგილობრივ შედგენილი გეგმები შეუთანხმდება განათლების კომისარიატის და სახ. საგეგმო ორგანოების ცენტრალურ გეგმას.

ადგილებზე გეგმების შედგენა დამთავრდება მიმდინარე წლის 1 მაისამდე.

ანტირელიგიური კამპანია

განათლების კომისარიატი, პროფსაბჭოს, კომკავშირის და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუდგენ მთელ რესპუბლიკაში ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებას.

ენტომოლოგების საერთაშორისო კონგრესი

ენტომოლოგების საერთაშორისო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტისაგან, რომელიც დაარსებულია ამერიკაში, განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღო მოწვევანი ენტომოლოგების საერთაშორისო მე-4 კონგრესზე მონაწილეობის მისაღებათ: ამ კონგრესზე საქართველოდან გაიგზავნება ერთი წარმომადგენელი—ენტომოლოგი. კონგრესი გაიხსნება მიმდინარე წლის აგვისტოში ქ. იტაკაში (ნიუიორკის შტატი).

ზვიგის სატყეო კომბინატი

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საზოგადოება „დორესტროის“ სპეციალისტთა კომისია, რომელსაც განზრახვა აქვს მიიღოს ხელმძღვანელობა ზვიგის სატყეო კომბინატის მოწყობაზე. კომისიაში შედიან ინჟ. კვიატკოვსკი, კონტორისი და შუმარინი.

კომისიამ გუშინ ინახულა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი, რომელთანაც თათბირი ჰქონდა კომბინატის შემავალ ქარხნების აშენების შესახებ.

ბრძოლა ხანძართან

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან დაარსდა ხანძართან მებრძოლ საუწყებათაშორისო კომისია. კომისიაში შედიან მიწად-მოქმედების, ჯანმრთელობის, განათლების და შინაგან კომისარიატების, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, რესპუბლიკის კოოპერატიული მეურნეობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლები.

საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

თბ. ალმასკომში

◆ **საჩვენებელი ნაკვეთები.** თბ. ალმასკომის სადგილმამულო განყოფილებამ გადასწყვიტა თბ. მაზრის აღმოსავლეთ რაიონებში მოაწყოს ახალი საჩვენებელი ნაკვეთები.

◆ **ნერგები.** თბ. ალმასკომის სანერგეებიდან წელს თბ. მაზრის უღარიბეს გლეხებს უფასოთ დაურიგდება 25.000 ძირი სხვადასხვა ხეხილის ნერგი.

◆ **საბეითლო ამბულატორიებისათვის** თბ. ალმასკომმა შეიძინა 7.700 მან. სხვადასხვა მედიკამენტები.

◆ **პოლიტგანათლების** განყოფილებამ ქურთებისა და ეზიდებს შორის პოლიტცოდნის გასავრცელებლად გახსნა 3 პოლიტწრე.

◆ **ქ. მთავარ საავადმყოფოსთან** გაიხსნა უროლოგიური განყოფილება.

სხვადასხვა

◆ **ხოცმოვის აუდიტორიაში** დღეს საღამოს 6 ს. შესდგება სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მორიგი კრება, რომელზედაც ს. ნარიკაშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „გაახალგაზრდავების პრინციპები“.

◆ **საქართველოს საექსკურსიო-ტურისტულ** ბიუროს კრებაზე ორშაბათს, 2 აპრილს საღ. 7 ს. (სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში) ნ. კეცხოველი წაიკითხავს მოხსენებას: „გაზაფხულის პირველი ბოტანიკური ექსკურსიები თბილისის მიდამოებში“. დასწრება თავისუფალია.

◆ **უნივერსიტეტის მთავარ შენობაში** დღეს 1 საათზე შესდგება თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა, რომელზედაც გარდა გამგეობის წევრებისა, კანდიდატებისა, პროფესორთა და უმცროს მასწავლებელთა მოწვეულნი არიან განათლების კომისარიატის, პროფკავშირთა და სტუდენტების წარმომადგენლები.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ხაშმიდან—ჩიხლაძეს,—ხაშურიდან — ბერიძეს. ონიდან—გოცირიძეს; აშხაბადიდან — თამარაძეს, მოლითიდან—დეკანოსიძეს, ქუთაისიდან — სალაროშვილს, სიღნაღიდან — კველეშიანძეს და კოჯრიდან კახთელიძეს.

◆ **თბ. სახელ. უნივერსიტეტის** სამკურნალო ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკაში ექიმ ანნა ულენტის მიერ ავადმყოფის თორმეტგოჯა ნაწლავის წვენში აღმოჩენილია ჩვენში ჯერ პირველად ნახული ღვიძლის პარაზიტი. ფასციოლა ჰეპატიკა. ეს პარაზიტი ეკუთვნის ბრტყელი ჭიების მწოვართა ჯგუფს—ტრემატოდებს. სცხოვრობს ადამიანის ღვიძლში, სადაც იწვევს მძიმე ფორმის დაავადებას. ამ ჭიით გამოწვეულ ავადმყოფობას დისტომატოზი ეწოდება—გავრცელებულია უმთავრესად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში.

შემთხვევები

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ქურდი რეციდივისტები: რევაზ გაბრიელის ძე ქავთარაძე, ივანე აზგარის ძე აბრამიანცი და ფედორ ფილიშვილი.

ხსენებული პირები თბილისში ეწეოდენ ბინებისა და მაღაზიების სისტემატიური ქურდობას.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს სარქის სარქისანცის ბინა (პლეხანოვის პროსპექტი № 156); წაიღეს 20 შეკვრა პაპიროსი.—გაქურდეს მოქ. კალანდარიშვილის ბინა (არკადის შესახ. № 10); წაიღეს 65 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ანა ქველაძის ბინა (სომხის ბაზარი № 14); წაიღეს 100 მანეთის ნივთები.—გაქურდეს მიხეილ სიზარაშვილის ბინა (გლდანის ქ. № 4); წაიღეს 150 მანეთის ტანისამოსი.

გუშინ, დღისით კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს მამიკონ მელქიაანცის ბინა (ალაგირის შესახვევი № 19); წაიღეს 90 მანეთის ნივთები.—გაქურდეს მაია ნავროზაშვილის ბინა (მალაკნის ქ. № 13); წაიღეს 500 მანეთის საოჯახო ნივთები.

ხელოვნება

ფოტო-კინო სექციის დაარსება

ხელოვნების მუშაკთა კავშირთან ამ დღეებში დაარსდა ფოტო-კინო სექცია, რომლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ფოტო-კინო მუშაკთა გაერთიანებას, კინო-მოწყობილობის პროდუქციის გაუმჯობესებას და სახელმწიფო ფოტოგრაფიის შექმნას.

ფოტო-კინო მუშაკთა საორგანიზაციო სხდომაზე არჩეულ იქნა აღნიშნულ სექციის ბიურო, რომელშიაც შედიან: ა. წუწუნავა, კ. მარჯანიშვილი (რეჟისორი), დიდმელიძე (ოპერატორი), კაცტაძე (მუშა), ბურჯვანაძე (ლაბორანტი), პეტროსიანი, თოხაძე (ფოტოგრაფი), მიქაბერიძე (მსახიობი), რეჟილი, ჩიბასოვი, სუპატაშვილი, პოზნანი და კრტიანი. ბიურომ თავის შემადგენლობიდან გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა ფოტო-კინო სექციის ექვსთვიანი სამუშაო გეგმა.

გეგმის თანახმად, ფოტო-კინო სექციამ უნდა დაამუშაოს კერძო ფოტოგრაფიებთან სატარიფო შეთანხმების პროექტი, ფოტოგრაფებისათვის შეიმუშაოს ნაღდი მუშაობის ტარიფი და მოაგვაროს სახელმწიფო ფოტოგრაფიის დაარსების საკითხი. სექციამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კინო-მექანიკოსების და კინო-მუსიკოსების კვალიფიკაციის ამაღლების წესის დამუშავებაში. მან უნდა დაამუშაოს აგრეთვე ეკრანებზე სურათების გაშვების ტემპის საკითხი, რადგან ზოგიერთ კინო-თეატრების ადმინისტრაცია მეტი სეანსების გამართვის მიზნით, ჩქარი ტემპით უშვებს სურათებს ეკრანზე, რაც იწვევს კინო-ლენტების მალე გაფუჭებას.

რაც შეეხება „სოვკინოს“ მიერ ჩვენი კინო-მრეწველობის პროდუქციისათვის ხელახალ, მონტაჟის გაკეთებას და კადრების შემცირებას, თბილისის ფოტო-კინო სექციას განზრახვა აქვს მიმართოს ფოტო-კინო სექციის ცენტრალურ ბიუროს მოსკოვში, რათა მან თბილისის ფოტო-კინო სექციის შეატყობინოს კადრების შემცირების და ხელახალი მონტაჟის წესი, რომლითაც ხელმძღვანელობდენ იქაური კინო-ორგანიზაციები.

ფოტო-კინო სექციამ უკვე დაიწყო მუშაობა.

საექსპერტო სამხატვრო საბჭოში

ორშაბათს, 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობაში მოწვეულია თათბირი საექსპერტო ბიულეტენის გამოცემის შესახებ. თათბირზე მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ა. გედევანიშვილი, ვ. იმედაძე, შ. დუდუჩავა, ს. ამაღლობელი, ვ. მაჭავარიანი, ნ. ჩიჩავა, ქ. კალაძე, ელ. პოლუმორდვინოვი, ზ. ელენტი, ბ. ბუაჩიძე, ს. ჩიქოვანი, დ. რონდელი და შ. რადიანი.

ჟურ. „პროლეტარულ მწერლობის“ თანამშრომელთა კრება

დღეს, 1 აპრილს საღამოს 5 ს. ხელოვნების სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანოს „პროლეტარული მწერლობა“-ს თანამშრომელთა კრება. კრებაზე მოწვეული არიან: ს. ამაღლობელი; ს. აბულაძე; ნ. ასლამაზაშვილი; ზ. ბუაჩიძე; კ. ბობოხიძე; შ. დუდუჩავა; ს. ეული; ი. ვაკელი; ქ. კალაძე; შ. კარსანიძე; გ. კაჭახიძე; კ. ლორთქიფანიძე; ვ. ლუარსაბიძე; ი. ლისაშვილი, ა. მაშაშვილი, ვ. მაჭავარიანი; ფრ. ნაროუშვილი; შ. ნავთლუღელი; ე. პოლუმორდვინოვი; შ. რადიანი; დ. რონდელი; პ. სამსონიძე; ა. სულავა; კ. ფოდოსიშვილი; გ. შინატეხელი; ს. ხუნდაძე; ა. ხოშტარია, ს. წვერავა და ს. ჯავშანიძე.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ბარხოვი და გოლოვინი** დღეს იმღერებენ ოპერა „სევილიელი დალაქში“.

◆ **ცნობილი კომპოზიტორის პროკოფიევის** კონცერტი გაიმართება 22 აპრილს ოპერის თეატრში.

◆ **დისპუტი.** დღეს, ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება დისპუტი კინო-სურათზე: „ცხოვრების სამართალი“.

◆ **ლიპკოვსკაიას გასტროლი.** 3 აპრილს ოპერის თეატრში გაიმართება მომღერალ ლიპკოვსკაიას პირველი გასტროლი.

◆ **ოპერის სეზონი.** ოპერის სეზონი დახურება 15 აპრილს.

◆ **პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში** ადგ. ქართულ დრამწრის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „სამანიშვილის დედინაცვალი“.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში** დღეს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **მოსკოვის კამერული თეატრის** გასტროლები ოპერის თეატრში დაიწყება 24 აპრილიდან.

◆ **„იყავ მზად“.** რკინისგზის უბკავშირთან არსებული ახალგაზრდა მაყურებელთა თეატრი ახლო ხანში რკინისგზელთა თეატრში დასდგამს: „იყავ მზად“.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს რუსული დრამის მიერ ა. სუმბათაშვილი-იუჟინის ხსოვნის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება: „ჯენტლმენი“.

◆ **სამხატვრო აკადემიის კლუბში** ორშაბათს, 2 აპრილს გაიმართება დიდი სამხატვრო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ოპერის, დრამის, ბალეტის და ცირკის მსახიობები.

◆ **წითელ-არმიელთა კლუბში** 3 აპრილს შ.ს.ს. კომისარიატის ურთიერთდამხმარე სალაროს ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

სასამართლო

როგორ გადაჰყვა ინჟინერი „გამოსარჩენს“

ინჟინერ კანონ ყორყოლიანს საყვედური არ ეთქმის „სპეც-ჭამიობაზე“.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კარები მუდამ ღია იყო მისთვის, მაგრამ ვისი ბრალია, თუ ეს კარები დაიხურა და სამაგიეროდ გამასწორებელ სახლის კარები გაიღო მისთვის.

ეს თავის თავს დააბრალოს. დაკმაყოფილებულიყო სპეც-ჯამაგირით, ეცხოვრა ისე, როგორც დანარჩენი პატიოსანი მუშაკები ცხოვრობენ!..

ჩვენს სახელმწიფოს ევროპის გაქნილმა და ყალთაბანდობაში გამოქანდაკებულმა დიპლომატებმა ვერაფერი დასტყუეს და ყორყოლიანმა როგორ იფიქრა, რომ ქურდულად მოტაცებული 13.000 მანეთი „ხაზეიათი“ შერჩებოდა... ბნელა!?

იმას მოგახსენებდით, რომ ინჟინერ ყორყოლიანს, როგორც სპეცს, ძალიან კარგი თანამ[illegible]ბობა, რომლითაც დასრულდა ყორყოლიანის კარიერა, იყო საქ. ს. მ. უ. ს. სამთო კომბინატის რწმუნებულობა ქუთაისში.

მადნეულის დამზადება და მიწოდება კომბინატისათვის, სამუშაოების იჯარით გაცემა, ხელშეკრულების დადება,—ყოველივე ეს ყორყოლიანს უნდა მოეგვარებია გამგეობასთან შეთანხმებით.

ყორყოლიანმა დაიბარა მოქ. სარდიონ ახაიანი და დავით წერეთელი, რომელთაც იცნობდა, როგორც მადნეულის დამმუშავებლებს. უკანასკნელნი კერძო მწარმოებლები იყვნენ, სანამ კომბინატი მონოპოლიას გამოაცხადებდა მადანის დამუშავებაზე. შემდეგ კი ძალიან გაქესატებული დადიოდნენ.

— აი, ძმებო, თქვენთვის კარგი საქმე გამოვნახე. კომბინატს განზრახული აქვს დაამზადოს 265,000 ფუთი ძიმილა (მადანია)... აიღეთ ეს საქმე. თქვენც იხეირეთ და ცოტა მეც მახეირეთ...

— ხეირი ნახე! ჩვენი კაცი არა ხარ!..

— როგორ შეგიძლიათ დაამზადოთ თითო ფუთი? როგორ იქნება თქვენთვის ხელსაყრელი?

— თითო ფუთ ძიმილას ჩაგაბარებთ ორ აბაზად. ნაკლებ ხელს არ მოგვცემს. ეს მხოლოდ თქვენი ხათრისათვის, თორემ ათ შაურზე ნაკლებ ამას ხელს არ მოეკიდებოდით...

ბევრი აღარ უვაჭრია ინჟინერს.

— ამიერიდან თქვენ კომბინატის კონტრაგენტები ხდებით, მხოლოდ ეხლა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ მე რა „ხეირი“ მექნება აქ საქმიდან,—ინჟინერს მხოლოდ „გამოსარჩენი“ აინტერესებს.

— ჩვენ დავდოთ ხელშეკრულება, რომელშიაც დამზადებულ თვითეულ ფუთის საფასურად შევიტანოთ არა ორი აბაზი, არამედ ცხრა შაური. ეს შაური კი თქვენი იყოს,—უპასუხებენ კონტრაგენტები, რომლებიც თავის ჯიბიდან არაფერს იმეტებენ და სახელმწიფოს ხარჯზე იძლევიან ქრთამს!

დაიწერა ხელშეკრულება, რომელიც წარედგინა გამგეობას დასამტკიცებლად. გამგეობის სხდომაზე ყორყოლიანი გამოვიდა მოხსენებით.

— მე ვფიქრობ, დაამთავრა თავისი მოხსენება ყორყოლიანმა, ეს ძალიან ხელსაყრელი პირობაა ჩვენთვის (გულში კი ფიქრობდა „ჩემთვის“).

ხელშეკრულება შევიდა ძალაში. კონტრაგენტებმა დაიწყეს მუშაობა.

— მუშაობა უნდა აწარმოოთ არაჩვეულებრივი ჩქარი ტემპით! რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოასრულოთ ხელშეკრულებაში აღნიშნული რაოდენობა,—ინჟინერს აინტერესებს შაურის გამორჩენა თითო ფუთზე, მადანს მეწყურსაც წაუღია!..

მოდის და მოდის შაურები. ინჟინერმა მოითბო ხელი. კონტრაგენტებიც შესუქდნენ.

„მადა ჭამაში მოდისო“, ნათქვამია. ყორყოლიანმა ოხრის დამზადებაზე მოინდომა თავისი „სპეც-მექრთამეობის“ გადატანა, მაგრამ სწორედ აქ მოიტეხა კისერი.

პოლიტსამმართველომ დაყნოსა ჰაერი და იგრძნო, რომ ოხრის ცუდი სუნი სდიოდა. ოხრამ გამოაჩხრიკა ძიმილას საქმე და ყორყოლიანი ჩავარდა ორივე ფეხით. მას თან მიჰყვნენ „კონტრაგენტები“.

გამოირკვა, რომ ინჟინერ ყორყოლიანს თითო შაურობით 13,270 მანეთი დაუტყუებია სახელმწიფოსათვის.

საქმე გაირჩა ქუთაისის მაზრის სასამართლომ.

ინჟინერ ყორყოლიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით ამნისტიის შეუფარდებლათ, ხოლო ყოფილ კონტრაგენტებს: სარდიონ ახაიანს და დავით წერეთელს—ხუთ-ხუთი წლის ვადით.

მსჯავრდადებულებმა უნდა აუნაზღაურონ სამთო კომბინატს 13,270 მანეთი.

სად იყვნენ თავმჯდომარე და მდივანი?

საქართველოს ფინსახკომის ადგილკომის თავმჯდომარეთ მოსამსახურეების საერთო კრებამ ერთხმად აირჩია მოქ. ვიქტორ ალექსანდრია, მასვე დაუნიშნეს პასუხისმგებელ მდივნად სხვერიან არსენიძე.

ადგილკომის მუშაობის დასახასიათებლად საკმარისია ერთი ფაქტი, რომელიც ამოიწერეთ საბრალდებლო დასკვნიდან.

ადგილკომს ჰყავდა ამჟამად მიმალული ხაზინადარი ლევან ლამბაშიძე.

ხაზინადარმა აღჭურვა თავისი თავი საგანგებო უფლებებით. მთელი ადგილკომის შემოსავალ-გასავალი ხელში ჩაიგდო. პასუხისმგებელი თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი ფაქტიურად არაფერში იჩენდნენ ამ პასუხისმგებლობას.

ხაზინადარს შეეძლო ათი ათასობით შეეტანა ბანკში ფული, გამოეტ[illegible] დაეტოვებინა პირად ხელწერილის ქვეშ. წარმ[illegible]ვინეთ, თანამშრომლების ფულით ბორჯ[illegible] სახლის ბედიც ხაზინადარის ხელ[illegible].

ასეთი უფლებებით აღჭურვილმა ხაზინადარმა ერთ მშვენიერ დღეს გამოიტანა [illegible]ნკიდან 9,690 მანეთი და მოკურცხლა.

თავმჯდომარე და პასუხისმგებელი [illegible] მიაბრძანეს საპატიმროში.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

ზერ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვა

მიწად - მოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა 5-წლიანი პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში შეძენილი იქნება: 13.600 ორმად მხვნელი გუთანი, 8.250 პატარა გუთანი, 750 ორკორპუსიანი გუთანი, 2.900 ფარცხი, 12.580 კულტივატორი, 1.450 ფოცხი, 1.450 — კონის შემკვრელი, 210 პურის სათესი მანქანა, 1.085 ბამბის და სიმინდის სათესი, 132—ორთქლით მომუშავე სალეწი მანქანა, 1.200 ხელით სალეწი, 525 ტრაქტორი, 1.300 დამხარისხებელი, 808 ტრაქტორი.

მანქანების ნაწილი შეძენილი იქნება საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში, ნაწილი შემოტანილი იქნება საზღვარგარეთიდან. წელს საბჭოთა კავშირში დამზადდება 151.350 მანეთის მანქანა - იარაღები. უცხოეთიდან შე[illegible] 230.400 მანეთის [illegible]

სულ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთში 5 წლის განმავლობაში საქართველოსათვის შეძენილი იქნება 1.500.000 მანეთის სასოფლო - სამეურნეო იარაღ მანქანები.

შეძენილ მანქანების ნაწილი გლეხებს მიეცემა ნისიათ. ნაწილი კი ნაღდზე. მაგალითად 50 მანეთამდე ღირებული მანქანა გლეხებს მიეცემა მხოლოდ ნაღდზე, ამაზე უფრო ძვირი მანქანა კი ნისიათ — მოკლე და გრძელი ვადით.

შეძენილ მანქანების ნაწილი განაწილებული იქნება გამქირავებელ პუნქტებს შორის.

ვაშლის ექსპორტი

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ დაამუშავა გეგმა მიმდინარე წლის განმავლობაში საექსპორტო ვაშლების დამზადების შესახებ.

საექსპორტო ვაშლების დამზადება იწარმოებს უმთავრესად გორის მაზრაში; ამ საქმის შესრულება მიენდობათ „სოფლის კავშირს“, „გრუზგოსტორგს“ და „ტიფტორგს“. „სოფლის კავშირმა“ უნდა დაამზადოს ვაშლები მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირის რაიონებში, სადაც უფრო ახალგაზრდა ბაღებია და სადაც მოდის შორი მგზავრობისათვის გამძლე ხილი. ამ რაიონში სულ დამზადებული იქნება 200.000 ფუთი ვაშლი. „გრუზგოსტორგი“ უხელმძღვანელებს ხილის, უმთავრესად, ვაშლის დამზადებას ტყვიავის რაიონში, სადაც მიმდინარე სეზონის განმავლობაში დამზადებული უნდა იქნეს 100.000 ფუთი ვაშლი. „ტიფტორგი“ დაამზადებს ხილეულს მეჯვრისხევის და მერეთის რაიონებში.

ხილის, უმთავრესად ევროპის ბაზრებზე გატანი ვაშლის დასამზადებლათ წელს. საჭიროა 335.000 მანეთის კრედიტი. ეს თანხა გამოთხოვილია სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორისაგან, აღნიშნული კრედიტიდან ვაშლის დამამზადებელ ცალკე მეურნეებს და ორგანიზაციებს მიეცემათ ავანსად, აპრილში—70.000 მან., ივნისში—89.000 მან., აგვისტოში — 71.000 მანეთი და სექტემბერში —105.000 მანეთი.

სულ მიმდინარე წლის განმავლობაში გორის მაზრიდან გატანილი იქნება 600.000 ფუთი საექსპორტო ვაშლი.

მწერლობა და ცხოვრება

ქართული მწერლობა № 1 და 2-3.

ჟურნ. „ქართული მწერლობის“ ამ ნომრების მოკლე კრიტიკული მიმოხილვის დროს, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ მხატვრულ ნაწარმოებთა შეფასებაზე, რომელიც ჩვენის თვალსაზრისით განსაზღვრულ ლიტერატურულ ღირებულებათა შემცველია.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გ. რობაქიძის ახალი რომანი „ფალესტრა“, რომლის ნაწილია მხოლოდ ჯერ გამოქვეყნებული. გ. რობაქიძე საერთოდ ეკუთვნის იმ კატეგორიას მწერლებისას, რომელთაც სჩვევიათ თავისი შემოქმედებითი პოტენციის მხილება შემოქმედების დასაწყისშივე. მკითხველზე ეფექტის მოსახდენად შესაძლებელია ეს დადებითი ხერხიც იყოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა მაგარი ხერხემალი და უდიდესი მხატვრული შესაძლებლობანი, რასაც მოკლებულია გ. რობაქიძე მთელი ნაწარმოების გასწვრივ. ერთი და იგივე მოტივი მეორდება სხვადასხვა ვარიაციებში. არ არის ის, რასაც ეწოდება განწყობილების თანდათანობითი გაშლა, დაბალი და მაღალი რეგისტრები. ყველაფერი იმ თავითვე წამოჭრილია და უეჭველად დიდი მასშტაბით განზრახული.

საინტერესოა მოვიგონოთ თ. დოსტოევსკის თავისებურება თემის პირველი გახსნისა. იგი ჩვეულებრივად პატარა ამბიდან იწყებს, რომელიც უფრო და უფრო ვითარდება და შემდეგ მთელი ტრაგედიის სახეს იღებს. მაგალ. რომან „ძმები კარამაზოვებში“ თავი „История одной семейки“ რა თქმა უნდა ყოველ მწერალს უნდა ახასიათებდეს თავისებური მიდგომა მოვლენებთან.

გ. რობაქიძის წერის მანერა სქოლასტიურია და თქმები უმეტესად პარადოქსალური.

რომან „ფალესტრაში“ გ. რობაქიძე ვერ იძლევა დამახასიათებელ ხაზებს თანამედროვე ევროპისა, რომლის დეკადანსის ხანა უკვე დადგა.

„დღეს ეპოქის ნიშანი ეს ტიტველი კანჭებია და ტიტველი მუხლები“ ამბობს გ. რობაქიძე.

ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის სინამდვილეში გარდა კაფე-შანტანებისა, სადაც იმართება ეს სქესობრივი ორგიები, სხვა არაფერი არ დაინახო; შეუმჩნეველი დაგრჩეთ ის „შეუწყვეტელი დენა მასების“, რომელსაც ისტორიამ დაავალა უდიდესი მისია ბურჟუაზიის აგონიის დაჩქარებისა და ახალი სამყაროს შექმნის, ეს მასები, რომელიც ავტორის თქმით წარმოადგენს „ანგრეულ ბუდეებს ჭიანჭველების“, არ ყოფილა ეპოქის ნიშანი, არამედ მხოლოთ „ტიტველი კანჭები“. დღის მხოლოდ დილეტანტს შეუძლია ამგვარად მსჯელობა იმ ღრმა სოციალურ პროცესებზე, რომელსაც ევროპის სინამდვილეში აქვს ადგილი.

შემდეგ. ნიკოლო მიწიშვილის ლექსი „პასუხი პაოლო იაშვილს“.

ნიკოლო მიწიშვილს შეუსრულებია თავის მეგობართა თხოვნა (ნეტავ არ შეესრულებინა): დაუწერია ლექსი. ნ. მიწიშვილი წინათაც წერდა ლექსს.

„ვერ მოვიცალე... სულ არა მაქვს
დრო მოსვენების,
ლექსი კი ითხოვს ბევრ შალაშინს,
დროს და წვალებას.
ვიქებდინ ლექსსა“ და სხვა.

ჩვენ არ ვიცით, ვფიქრობთ არც მკითხველს [illegible] თუ არა ნიკოლო მიწიშვილს წარსულში ლექსს. შეიძლება ეს [illegible] პაოლო იაშვილმა და მისმა სხვა კოლეგებმა, რომლებიც ასე ემუდარებიან მას დაწერას.

ლექსის წაკითხვის შემდეგ მკითხველს ისეთი [illegible] დარჩება, რომ ნიკოლო მიწიშვილი [illegible] სახელგამი ერთმანეთის სინონიმები [illegible] სახელგამი—მარტო ნ. მიწიშვილი [illegible] წინააღმდეგ ავტორის განცხადება [illegible], რომ არავინ არ არის მი[illegible] რომ ნ. მიწიშვილს დაება რითმა.

ვ. ნადაშვილი თავის ლექსში „სიხარული“ [illegible] მისი შემოქმედებისათვის უჩვეულ[illegible]აბილებას. იგი უმღერის სიხარულ[illegible] მტერსაც და მოყვარესაც.

„[illegible] მტერს და მოყვარეს,
[illegible] უმხურვალესი“.

[illegible] განწყობილება წმინდა რელიგიურ[illegible] იღებს, სახელდობრ ქრისტიანულ[illegible] ამით თუ აიხსნება რელიგიური [illegible] ხშირი ხმარება: ხარება, ზიარება[illegible] ხის ქარი და სხვა.

„[illegible] ვფიქრობ მე სიყვარულით (!)
[illegible] როგორ ხარება
[illegible] გადმოლაღრული
[illegible] ტკბილ ზიარებათ.

[illegible] ამისა, ყოველ სტრიქონში მოხ[illegible] ძველი კულტურა და განცდის [illegible]

[illegible]აშვილი ცისფერ ყანწელებს შორის [illegible]ების ნაყოფიერების მხრით, [illegible] უფრო უნაყოფო პოეტია. [illegible] კვირა“ უფრო სადღეგრძელოს [illegible] ექსპრომტათ წარმოთქმულს. [illegible] თავზე:

„[illegible]ამდვილი ხალხის პოეტი
[illegible] მაგარი ფეხით“.

[illegible] რომ ის ორივე ფეხით სდგას [illegible]აც შეეხება თავის თავის სა[illegible] გამოცხადებას, ეს კი ერთ[illegible]ებაა თუ მეტი არა.

„[illegible] თითქოს მხედნიდა
[illegible] ჯანმრთელ ფეხვებით,
[illegible] ლამაზ ქიდადან
[illegible] ლექსებით“.

[illegible] ერთი კვირა ძალიან ცოტა [illegible]ისათვის, რომ „გლეხურმა [illegible] „გახედნოს“ ავტორი. [illegible] ლექსებით დატვირთულ [illegible]ერ-ჯერობით ვერ ვხედავთ.

ტ. ტ[illegible] „მაშ გამარჯვება“ [illegible] ლექსი უთუოდ ლი[illegible] არის დაწერილი. პოეტის შემოქმ[illegible] საქართველოს“ ხმა ხში[illegible] მის კონსერვატიული ბუ[illegible], თანამედროვობა არ მოხ[illegible]ქმედებაში,

სიმ[illegible]ნის ლექსი „მოსკოვი“ [illegible] ქართული ფუტურიზმის [illegible] სწორ გზაზე [illegible] გზაზე პროლეტარული [illegible] წვდება რევოლუციის [illegible] თანამედროვობის გა[illegible]:

„აშენ[illegible] რკინი ძვლებივით
და შ[illegible]დახსნილან წიგნთა ტომებათ,
თითქო[illegible] აზროვნების დიდი ბრძოლები
[illegible] გადატანილი“.

[illegible] ალანიშნავია ნიკოლო მიწიშვილის „აქტუალური საკითხები“, საყურადღებოა იმ მხრით, [illegible] დასმულია, კრიტიკისა და პროზის [illegible] ავტორი კატეგორიულად უარყოფს ლიტერატურული კრიტიკის არსებობის რაიმე ნასახს საქართველოში. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მას არ მოჰყავს არც ერთი არგუმენტი. თვალად აცხადებს „ამაზე სხვა ორის“-ო. მაგრამ ცოტა ქვევით ვკითხულობთ:

„ჩვენში ლიტერატურას სამხედრო კომუნიზმის თვალით და გაწყობილებით უყურებენ და მწერლებს აფასებენ მათი ფიზიკური თუ ანკეტური თვისებების მიხედვით, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მწერლობის პერსონალური „სორტიროვკა“, შინ დატოვება და კურთხევა (?!) და მისი ლიტერატურიდან განდევნა და, რასაკვირველია, ამ წმინდა ლიტერატურულ თემისათვის ვინ მოიცლიდა“.

ამის შემდეგ ნ. მიწიშვილი ისტერიულად გაიძახის: „მწერლებო, კრიტიკოსებო (ასეთებიც კიდევ არსებობენ თურმე საქართველოში, დ. დ.—ძე), მკითხველებო უშველეთ ერთი მეორეს და მოვეხმაროთ“. აქედან ერთი რამაა ჩვენთვის ცხადი: ასე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დასწერს ისეთი კაცი, რომელიც დღევანდელ ხანაზე „სულიან ხორციანად“ არის შედუღებული. თუმცა ავტორს „წერა უნდა“ და სურვილს წერისას ჯერ-ჯერობით ამგვარად ამჟღავნებს. მიწიშვილისებურმა ხალხმა უნდა შეიგნოს ერთი დებულება: საბჭოთა ხელისუფლება არავითარ გასაქანს არ მისცემს თავის მოწინააღმდეგეთ არც ერთ ფრონტზე თავის შემოქმედებითი მუშაობისა და ეს კი განსაკუთრებით შეეხება იდეოლოგიურ სფეროს, სადაც არავითარ დათმობას არ შეიძლება ექნეს ადგილი.

მას შემდეგ, რაც მარქსიზმი შეიჭრა იდეოლოგიის ყოველ დარგში, ლიტერატურის შესახებ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა შეხედულებამ, რომ იგი არის ასახვა და შედეგი კლასთა ბრძოლის, დაიმსხვრა ძველი იდეალისტური ლეგენდა ზეშთაგონებით, ნიჭის მქონე მწერალთა შესახებ, რომლებიც დგანან მასებზე მაღლა და უწევენ მათ ხელმძღვანელობას, გაძლიერდა ტენდენცია ლიტერატურულ მოვლენათა კლასობრივი დაჯგუფების და შემოქმედებით პროცესების მატერიალისტური ახსნისა, იდეათა სხვაგვარ გაქანებას არ ექნება ადგილი, მიწიშვილს ეს მიაჩნია „ლიტერატურიდან განდევნათ“ და „სამხედრო კომუნიზმათ“.

მხატვრული პროზის საკითხის შესახებ ნ. მიწიშვილი აყენებს დებულებას, რომ საჭიროა გაბატონდეს ჟანრი „დოკუმენტალური პროზისა“; მემუარები, ქრონიკა, ავტობიოგრაფია და სხვა. ეს მოსაზრება უეჭველად ყალბია.

თანამედროვე მწერალი არ შეიძლება წარმოადგენდეს უბრალო ფოტოგრაფიულ აპარატს, რომელიც მხოლოთ ასახავს ნეიტრალურად გარეშე სინამდვილეს. იგი აგრეთვე ორგანიზატორია ამ სინამდვილის, ორგანიზატორი ადამიანთა ფსიქიკის, მათი ურთიერთ დამოკიდებულების, მარქსისტული თვალსაზრისით თვითეული სტილი ხელოვნებაში, წინასწარ გულისხმობს ისეთ ადამიანთა არსებობას, რომლებიც გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში არსებობენ. იმ მასალის გარეშე სინამდვილიდან ხდება გარკვეული მსოფლმხედველობის მიხედვით, გარკვეული მეთოდებით და წესებით.

ნ. მიწიშვილი ამბობს, რომ ასეთი პროზის ნიმუშები მე ვცადე მწერლობაშიო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ცდა უეჭველად დამარცხდა, ვერ დავეთანხმებით ავტორს, თითქოს მასაც ყავდეს აქტიური მკითხველი, ისე როგორც ბაბელს, ფურმანოვს და სხვებს. ეს ცოტა ტრაბახობას უდრის.

მაშ ასე. მშრალი ფაქტოლოგია პროზაში, არ არის შემოქმედება, ამ ჟანრის გაბატონება სიმპტომი იქნება ჭეშმარიტი შემოქმედების მოსპობის. რა თქმა უნდა მხატვრული პროზა იმ გზის მიხედვით, რომელსაც უსახავს მას ნ. მიწიშვილი, ვერ წავა, მისი შედეგი—კატასტროფაა.

ჟურნალის მეორე ნომერში, რომელიც მიძღვნილია ქართველ მწერალთა მეორე ყრილობისადმი, განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინე გამსახურდიას ნოველლა „ჯამუ“, რომელიც ავტობიოგრაფიული ხასიათისაა იქ ავტორი განზრახ ამახინჯებს სინამდვილეს და გარდა ამისა ერთხელ კიდევ ხოტბას ასხამს თავისი „რასსის ქედმაღლობას“. აი გამასწორებელი სახლების როგორ სურათს გვიხატავს ქ. გამსახურდია:

„ყაზარმული წესით კამერა კამერაზე მილაგებული, ვიწრო, გრძელი, ნახევრად ბნელი დერეფანი, შუაში გადაზიდული უშველებელი მავთულის ბადით. დაბალი, ვიწრო, რკინის რიკულებიანი ფანჯრები, დაბალი ჭერი და უგანო კედლები“...

ამ საავადმყოფოებში პერანგებს თურმე უკუღმა აცმევენ „უხეში მოწყალების დები“.

ასეთი საავადმყოფოები, მხოლოდ ფაშისტურ სახელმწიფოში თუ არსებობს, სადაც „ათასი კაცის პირით ნალოცი კოვზით“ პირში ჩაასხეს „რაღაც საზიზღარი გულის ამრევი წამალი“.

ქ. გამსახურდიას, როგორც ჩანს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ინსტიტუტი „ციხის“ იმ გაგებით როგორც ეს მას ესმის კარგა ხანია ჩაბარდა ისტორიას. სამწუხაროთ, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება, ყველასათვის როგორც დავინახეთ არ ყოფილა ელემენტარული. მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია ის გარემოება, რომ თვით ქ. გამსახურდია დიდის სიმპატიით და თითქმის თანამოაზრეთაც კი გამოდის იმ ბანდიტის, რომელიც აპირებს დაეცეს „მოსკოვის ერთ-ერთ ბანკს“. ნუ თუ არ იცის ქ. გამსახურდიამ, რომ მოსკოვის ბანკი, ეს მშრომელთა დოვლათია, რომ მოსკოვის ბანკზე თავდასხმა ეს ნიშნავს მუშურ გლეხურ ხელისუფლებაზე თავდასხმას და სხვ.

ქ. გამსახურდია რომანტიულ სამოსელში ხვევს მისი გმირის ხელიმ ეფენდიევის ამ ბანდიტურ აქტს.

აი, როგორ აღწერს იგი ამ თავდასხმას:

„ყველაზე უწინ ხელიმ ეფენდიევი გადმოხტა, სროლით გაუფანტა გზა ამხანაგებს, ორი იქვე მოჰკლეს, სამი გაიქცა. ეფენდიევიც მიმინოსავით (?!) გადაევლო მახლობელ ქვიტკირის ჯებირებს. ჯოჯოხეთური სროლა გაიმართა შუშის ჯებირში“.

თუ „მურის“ აგენტს უმტკიცებდა ქ. გამსახურდია, რომ მას ყაჩაღებთან არასოდეს არ ჰქონია საქმე, მთელი ნოველის შინაარსიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ისეთი ტიპის ყაჩაღებს, რომლებიც თავს ესხმიან მოსკოვის ბანკს, საბჭოთა ხელისუფლებას, ავტორი სავსებით უთანაგრძნობს.

„ფსიქიატრიული კომისია ამოწმებს, რომ ყაჩაღი ისე აღშფოთდა ღალატით, რომ ჭკუაზე შეირყა“.

თავის გმირთან ერთად აღშფოთებულია ამ „ღალატით“ ქ. გამსახურდიაც.

საინტერესოა ერთი მომენტი. ქ. გამსახურდია რაღაც „მაგიურ“ შთაბეჭდილებას ახდენდა ყოველთვის ბანდიტზე. როცა კი იგი შევიდოდა მის კამერაში; ბანდიტი მაშინვე ჩვიდლებოდა და აღარ ბორგავდა. ქ. გამსახურდია ნამდვილ ჭირისუფლობას უწევდა „ციხეში“ ყაჩაღს,

„და იმ წუთში მისს შველისებურ კეთილშობილ (?!!) თვალების შემყურე, როგორ იტყოდა, რომ ის გიჟი იყო, ყაჩაღი, ან კაცის მკვლელი“.

ამაზე იქით იდეალიზაცია სისხლის სამართლის დამნაშავისა, ვერ წავა. ბოლოს ირკვევა, რომ, ბანდიტი ეფენდიევი მეგრელი ყოფილა. მეგრელ ბანდიტმა იცნო მეგრელი ქ. გამსახურდია.

„— მიტ, ჯიმა—ღურელა, აქმუ გოკოდეს, თქვა, მა გიჩინენი შორიშ“.

ეხლა გასაგებია ფრაზა:

„ბულნაღვლიანი ვხედავდი, თუ როგორ ერიოდა სიკვდილი ჩემი რასის ქედმაღლობას“.

ხუსტია დემნა შენგელაიას ნაწყვეტი რომანიდან „რუსთიმე“. ჩვენი მწერლის ტრაგედია შეიძლება ამაშიაც მდგომარეობდეს, რომ იგი მალე იწურება და შემდეგ ფართო ადგილი ეძლევა ტავტოლოგიას, ერთი და იგივეს გამეორებას. შეიძლება ეს გონებრივი ჰორიზონტის სივიწროვითაც აიხსნებოდეს.

ვ. გორგაძის ლექსი „სიმღერა“ მეტად ხუსტია.

აი ამ ლექსის პირველი ტაეპი:

„ოდელია დელა
რკინის კაკუნელა!
გალესილი ხატვარო—
კობტა ჩხერიმელა!
იგორიელო ბიჭებო
ორბებო სალის კლდიხათ“.

ვ. გორგაძე იგორეთის პატრიოტია. ეს ლექსი მკითხველს ესთეტიურ გრძნობებს, მხოლოთ შეურაცყოფას თუ მიაყენებს.

ფ. ნაროუშვილის „პოემა“ სხვადასხვა საკითხებზე“ სხვადასხვა შთაბეჭდილებას სტოვებს. პოეტს ემჩნევა წინსვლა და ლექსის კულტურა.

დასასრულ არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ვიღაც „ქუთაისელის“ წერილზე „ლიტერატურული ქუთაისი“, წერილი დიდი უვიცობის ნაყოფია. ეს წერილი მხოლოთ სცემს ჟურნალის პრესტიჟს. აი, როგორც ერეტიკული და ხულიგნური აზრებია მასში გამოთქმული:

„ბევრ ტფილისელ მოქალაქეს და ხელოვანსაც კი ჰგონია, რომ ლიტერატურული ქუთაისი მოკვდა... მე კი ვამბობ და ვამტკიცებ, რომ ქუთაისი არ მომკვდარა“...

აქ ავტორს ურიგდებით მოეყვანა ა. წერეთლის ცნობილი სიტყვები:

„არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავს, მოვა დრო და გაიღვიძებს. და კომიკური სურათი დამთავრებული იქნებოდა, შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ კომიკური „ქუთაისელი“ მართლაც ამტკიცებს, რომ „ქუთაისი არ მომკვდარა“. არა. იგი ცოტა ქვევით ლაპარაკობს:

„ეს იცის ქუთაისმა, მკვდარმა ქუთაისმა, რომელიც თავის სიჩუმეში ხშირად ატარებს მომავლის გაქანებას“.

გამოდის, რომ თვით ავტორი ლაპარაკობს ლიტერატურული ქუთაისის სიკვდილის შესახებ, და არა მარტო ლიტერატურულ, არამედ საერთოდ ქუთაისის შესახებ, პირდაპირ ასე ლაპარაკობს: „მკვდარმა ქუთაისმა“. ცოტა ქვევით:

„ქუთაისი საქართველოს დასაწყისია, იგი წყაროა, რომელიც აძლევს ბალზამს (?!) და ამ ქუთაისის შესახებ მინდა მოვახსენო მკითხველს ორიოდე სიტყვა“...

შეუძლებელია კიდევ სიტყვის გაგრძელება. ასეთ კურიოზებს მომავალში არ უნდა ექნეს ადგილი. ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღიკვეთოს ასეთი უპასუხისმგებლო ლაყბობა, მით უმეტეს, როცა ორგანიზაციის სახელით გამოდიან.

ზოგიერთ მწერლებს წარმოდგენილი მეორე ნომერში ჩვენ განზრახ არ შევეხეთ. მათზე საუბარი გვქონდა პირველი ნომრის გარჩევის დროს. არ შევეხებივართ აგრეთვე უცხო ლიტერატურული ნიმუშების თარგმნებსაც, ვინაიდან სიტყვა ისედაც გაგვაგრძელდა.

დ. დ—ძე.

სახანძრო რაზმის მუშაობა

საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის ბრანდმაიორის ალ. ზერიძის მოხსენება სახანძრო რაზმის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა სახანძრო რაზმის მუშაობა. ეხლა ცეცხლის მქრობელი რაზმი მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

მოხსენების გარშემო ილაპარაკეს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა ამხ. იტრიევმა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წარმომადგენელმა ამხ. ორმოცაძემ და ტრამვაის დირექტორმა ამხ. მარიამიძემ. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სახანძრო საქმე ჩვენში სდგას სათანადო სიმაღლეზე.

კავშირის გამგეობამ ცეცხლის მქრობელ რაზმის მუშაობა სცნო ზედმიწევნით სამაგალითოდ და შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოს წინაშე ცეცხლის მქრობელ რაზმის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვების შესახებ.

დაფნის ფოთოლი

თბილისის საქონლის ბირჟის ცნობებით, მოთხოვნილება დაფნის ფოთოლზე უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. თბილისის ბირჟის სახელზე დაფნის ფოთოლზე შეკვეთას გზავნიან მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, კიევი, ტაშკენტი და ისეთი შორეული ქალაქებიც, კი როგორიც ვლადივოსტოკი. მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ სანახევროდაც ვერ კმაყოფილდება. მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება არა იმიტომ, რომ საქართველოში დაფნის ფოთოლის ნაკლებობა იყოს. დაუკმაყოფილებლობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ დაფნის დამზადების საქმე ჯერ-ჯერობით მოუწესრიგებელია. როგორც გამოირკვა ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები უძლურნი არიან (უსახსრობის გამო) იკისრონ დაფნის ფოთლის დამზადება. ადგილებზე ფასები დაფნის ფოთოლზე ძალიან დაბალია — და ბევრად ნაკლებია ომამდე არსებულ ფასებზე. „სოფლის კავშირს“ განზრახული აქვს თავისი ძირითადი ქსელის საშუალებით მოაგვაროს დაფნის ფოთლის დამზადების საქმე იმდენად მაინც, რომ სანახევროდ მაინც დააკმაყოფილოს დაფნის ფოთოლზე ამჟამად არსებული მოთხოვნილება.

ორშაბათს, 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე
მოწვეულია
საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა
სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად

1. **კომუნალური**—მუშათა თეატრში (ქორესის ქ.)
   დღის წესრიგი:
   1. მოხსენება საბინაო კოოპერაციის შესახებ.
   2. მიმდინარე საკითხები.
2. **სახალხო-განათლების**—განათლების მუშაკთა სახლში, ფურცელაძის ქ. № 3 (ყოფ. კალოუბნის).
   დღის წესრიგი:
   1. პოლიტგანის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ. კომისიის თანამოხსენება).
   2. მიმდინარე საკითხები.
3. **სახალხო ჯანმრთელობის**—საბჭოს წითელ დარბაზში.
   დღის წესრიგი:
   1. პრაქტიკული წინადადებების განხილვა სამალიარიო დისპანსერის მოხსენების გამო.
   2. მიმდინარე საკითხები.
4. **საფინანსო-სამრეწველო**—საბჭოს წითელ კუთხეში—შესავალი (ყოფ. ველიამინოვის ქ.)
   დღის წესრიგი:
   1. მე-4 და მე-9 უბნის ფინინსპექტორების საანგარიშო მოხსენება.
   2. მიმდინარე საკითხები.
5. **სავაჭრო-კოოპერატიული**—პროფსაბჭოს მცირე დარბაზში.
   დღის წესრიგი:
   1. კოოპერატიულ სასადილოების გამომკვლევ კომისიის მოხსენება.
   2. პურის ბაზრის მდგომარეობის შესახებ.
   3. მიმდინარე საკითხები.

ნ. 864. **თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.**

სიმახინჯის იშვიათი შემთხვევა

ბათომის ქალაქის საავადმყოფოში ამას წინეთ დაიბადა ბავში, რომელიც რამოდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა, ბავში წარმოადგენს სიმახინჯის საინტერესო შემთხვევას. ფეხები შეტყუპებული აქვს, ორივე ფეხზე ბავშს აქვს სულ ხუთი თითი. სქესობრივი ორგანო და გასავალი ნაწილი სრულიად არა აქვს. ბავშის მშობლები ნორმალური ადამიანებია. მათ ჰყავთ პირველი შვილი, რომელიც მახინჯი დაიბადა.

ამ სურათზე წარმოდგენილი ბავში მუცელზე გაჭრილია ექიმის მიერ, გვამი ინახება ბათომის ქალაქის საავადმყოფოში.

ფიზკულტურა

დღეს იწყება შეჯიბრი ფეხბურთში

დღეს, 1 აპრილს, ლენინის სახელობის სტადიონზე იხსნება ფეხბურთის გაზაფხულის სეზონი. პირველი დღე აღნიშნული იქნება პირველი კატეგორიის გუნდების ორი ამხანაგური შეჯიბრით.

ნაშუადღევის 2 საათზე თამაშობენ „დინამო—ბ" —„არსრაიონი"; ნაშუადღევის 4 საათზე გაიმართება „დინამო—ა"-ს და „გემოკვების მუშაკების" შეჯიბრი.

მოსკოვის „დინამო"-ს ჩამოსვლის გამო

მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო", რომელიც თბილისში ჩამოვა 5 აპრილს, ადგილობრივ გუნდებთან გამართავს ოთხ შეჯიბრს. შეჯიბრებები შესდგება „დინამო"-ს სტადიონზე 7, 8, 10 და 12 აპრილს.

ძალოსანთა შეჯიბრი

საქარ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიუროს ინიციატივით, დღეს, 1-ლ აპრილს, დღის 12 საათზე არსრაიონის სასპორტო კლუბში დაიწყება პროფკავშირების ძალოსანთა წრეების მეორე ხარისხოვან ძალოსანთა შეჯიბრი.

შეჯიბრში მონაწილეობას იღებენ სახალხო კავშირ-გაბმულობის, საბჭოთა მუშაკების, გემო-კვების და მბეჭდავთა კავშირების ძალოსანთა წრეები.

აღნიშნულ კავშირებიდან სულ მონაწილეობას იღებს 38 ძალოსანი. შეჯიბრი უმთავრესად გაიმართება სიმძიმეების აწევაში.

რადიო

საგლეხო მიტინგი რადიო-სტუდიაში

დღეს, 1 აპრილს, სააქციო საზ-ბა „რადიო-პერედაჩა" რადიო-სტუდიის ახალ შენობაში რადიოთი გადასაცემად აწყობს პირველ საგლეხო მიტინგს (ინსცენიროვკით და კონცერტით); მიტინგი მიძღვნილია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხისათვის. მიტინგში მონაწილეობას მიიღებენ გლეხები, მუშები, პრესის, საქართველოს ფინსახკომის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ინსცენიროვკაში და კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო დრამის და ოპერის არტისტები, სახალხო მომღერალთა გუნდი და სხვ.

გადაცემა დაიწყება დღის სრულ 12 საათზე.

საღამოს გადაცემული იქნება: პიონერთა გაზეთი; საუბარი აგრონომიაზე; მოხსენება თესვის კამპანიაზე; მოხსენება: კომკავშირის მონაწილეობა თესვის კამპანიაში; [illegible] კონსულტაცია; ობსერვატორიის ცნობები; ოპერა „სევილიელი დალაქის" ტრანსლიაცია; პასუხი რადიო-მოყვარულთა წერილებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათს, 2 აპრილს, გადაცემული იქნება მოხსენება—მუშათა უნივერსიტეტების ამოცანები და მიზნები; მოხსენება—ღმერთი და სოფლის მეურნეობა; რამდენათ მართლდება ამინდის წინასწარმეტყველება საზღვარგარეთ და ჩვენში; „ზაკსელმაშ"-ის საინფორმაციო მოხსენება: სას.-სამეურნეო იარაღების გავრცელება; კომკავშირის გაზეთი; ობსერვატორიის ცნობები; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ტრანსლიაცია მოსკოვიდან: ამხ. რიკოვის მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის პლენუმის გახსნაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, ორშაბათს, 2 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები: კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: იაგორ მალცოვი, გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ლიუსია ბეჟანოვა, ანდრია ავაქოვი, გიორგი მანჯგალაძე, ივანე კაპერსკი, ვართან შაბაშიანი, ევგენია ჩიჯავაძე, სარქის აროუთინოვი, გრიგოლ გვაზავა, მარია ოგანეზოვა, ბარბარე კალამკაროვა, მიხეილ კიშლიევი და გრიშა მირიანოვი; მშენებელ მუშაკთა სექციიდან: სარქის აკულიანცი და ზაქარია ლეკაშვილი; რკინისგზელთა მე-7 სექციიდან: ისაკი მესროპოვი, პეტროს არსენიანი, ალექსანდრე პრუსეცკი, ცანციევი, ნავრუზაშვილი, დავითაშვილი, ზარკოვი; მედსექციიდან: ტიტიკო ნიჟარაძე და პლატონ ბერიძე.

ბრძოლა უმუშევრობასთან

1926—27 წლის განმავლობაში უმუშევრობასთან საბრძოლველად გადადებული იყო 235.463 მან. 72 კაპ. რაოდენობით. ამ თანხიდან 225.713 მანეთი გაუნაწილდათ ადგილებს შემდეგნაირად: თბილისის შრომის ბირჟას—167.751 მან. და 36 კაპ., აჭარისტანს—16.848 მან და 80 კაპ.; აფხაზეთს—11.155 მან. და 84 კაპ.; ქუთაისს—14.033 მან. და 42 კაპ., ჭიათურის საზოგადო სამუშაოებს—3.572 მან.; თელავის მეჩექმეთა კოლექტივს—700 მან.; საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიას—8.100 მან. და უმუშევართა რეგისტრაციისათვის—3 551 მან. 54 კაპ.

ამ თანხებიდან საზოგადო სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 116.226 მან. 62 კაპ., რომელიც განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: თბილისს—91.033 მან. აჭარისტანს—7.294 მან.; აფხაზეთს—11.555 მან.; ჭიათურას—3.572 მან. და ქუთაისს—2.770 მან. გასული წლის განმავლობაში საზოგადო სამუშაოები ჩატარებულ იქნა უმთავრესად ქალაქის მუშათა უბნების [illegible] კეთილმოსაწყობად; [illegible] არსებული ქუჩების გაუმჯობესება და ახალი ქუჩების გაყვანა. გარდა ამისა, ჩატარებული იქნა საზოგადო მუშაობა თბილისის და ბათომის სტადიონების მოსაწყობად.

უმუშევარ გონებრივ მუშაკთათვის თბილისში მოწყობილ იქნა საარქივო საბუთების დამუშავება ცენტრალურ არქივში.

გასული წლის განმავლობაში საზოგადო სამუშაოებში (ფიზიკური და გონებრივი) ჩაბმული იქნა 3.276 კაცი, რომელთაც დაიმუშავეს 45.395 დღე. ხელფასი გაცემულ იქნა სულ 103.686 მან.; საზოგადო სამუშაოებში გასულ წელს ჩაბმული იყო უმუშევართა მთელი რაოდენობის 10 პროცენტი.

ნარევი

როალდ ამუნდსენი, ლორდი კერზონი და ძაღლების სადღეგრძელო

1911 წ. 16 დეკემბერს როალდ ამუნდსენმა მიაღწია სამხრეთ პოლიუსს. ერთი თვის შემდეგ, 1912 წ. 18 იანვარს სამხრეთ-პოლიუსს მიაღწია ინგლისელმა მკვლევარმა სკოტტმა, რომელმაც იპოვა ამუნდსენის კარავი და ამუნდსენის ექსპედიციის წევრების მიერ ხელმოწერილი ოქმი.

უკან დაბრუნების დროს სკოტტის ექსპედიცია დაიღუპა. ამუნდსენის ექსპედიცია კი მშვიდობით დაბრუნდა ევროპაში.

ამრიგად, სამხრეთ-პოლიუსის ფაქტიურ აღმომჩენად ითვლება როალდ ამუნდსენი. ეს აღიარებულია ყველა მეცნიერების მიერ, თუმცა როალდ ამუნდსენს არა ერთხელ განუცხადებია, რომ მზად არის აღმომჩენის სახელი გაუყოს სკოტსაც. მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას ვერ მოუნელებია, რომ პოლიუსი პირველად არა ინგლისელმა აღმოაჩინა და ამიტომ იქაურ შკოლებში ასწავლიან, თითქო სამხრეთ-პოლიუსი ინგლისელმა აღმოაჩინა.

ამუნდსენი სამხრეთ-პოლიუსის აღმოჩენას და უკან მშვიდობით დაბრუნებას მიაწერდა ძაღლებს, რომელთა მოვლა მან ესკიმოსებიდან შეისწავლა.

აი ამ გარემოებით ისარგებლა ინგლისის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის დიდმა მოძულე ლორდმა კერზონმა, რომელსაც სამეცნიერო წრეებთან არაფერი საერთო არა აქვს, მაგრამ ხსენებულ საზ-ბის წევრთა მლიქვნელობის წყალობით გეოგრაფიულ საზოგადოების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული.

1912 წ. 15 დეკემბერს ინგლისის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ბანკეტი გამართა ამუნდსენის საპატივსაცემოდ.

ჩრდილოეთ ქვეყნების განსვენებულმა მკვლევარმა ერნსტ შეკლტონმა ბანკეტზე შეიტანა წინადადება დაელიათ ამუნდსენის სადღეგრძელო.

თავმჯდომარე ლორდმა კერზონმა აიღო ფიალა და სთქვა:

— ვსვამ სადღეგრძელოს მისტერ ამუნდსენის ძაღლებისას, რომელთაც დაუხმარებლად იგი ვერას დროს ვერ მიაღწევდა სამხრეთ-პოლიუსს.—შემდეგ მიბრუნდა ამუნდსენისკენ და აღნიშნა, რომ პასუხის გაცემა ზედმეტი იქნება".

ვერც ერთი დამსწრეთაგანი გონს ვერ მოსულიყო და თავხედ ლორდის უხეირო გამოსვლა უპასუხოდ დარჩა.

ამ ინციდენტის გამო ამუნდსენსა და გეოგრაფიულ საზოგადოებას შორის გაიმართო მიწერ-მოწერა, რომელმაც არავითარი ნაყოფი არ გამოიღო.

ამის შემდეგ ამუნდსენმა გამოუშვა წიგნი: „ჩემი ცხოვრება, როგორც მკვლევარის". ამ წიგნში ამუნდსენი ეხება რა ლორდ კერზონის თავხედურ გამოსვლას, სწერს,—„რომ ინგლისელები (იგულისხმება ინგლისის ბურჟუაზია) ვერ ახერხებენ უკმაყოფილების დაფარვას, როცა რაიმე ისე არ გამოუვათ, როგორც ფიქრობდენ. სხვა სიტყვებით, ისინი ცუდი სპორტსმენები არიან, როცა აგებენ. ამ შენიშვნამ საშინლათ გააბრაზა ინგლისის ბურჟუაზია. სამეფო გეოგრაფიულმა საზ-ბამ შეურაცყოფილად ჩასთვალა თავი ნორვეგიულის „თავხედური" გამოსვლით. ამუნდსენის მაგიერ ძაღლებისათვის წარმოთქმული სადღეგრძელო დავიწყებულ იქნა და ამუნდსენს „დაემუქრენ", რომ თუ ბოდიშს არ მოიხდის, იგი გამორიცხული იქნება საზ-ბის წევრობიდან. წარსული წლის 13 ნოემბერს რ. ამუნდსენმა თავისი მდივნის საშუალებით წერილობით აცნობა ინგლისის სამეფო გეოგრაფიულ საზ-ბას, რომ ნუღარ თვლიან მას საზ-ბის წევრათ.

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში ნადია კალანდარაშვილის შენიშვნის შესახებ („კომ." 28 მარტი) შემდეგი ჩემი განცხადება: სრულიად გაუგებარია ჩემთვის, რამ აღელვა ისე ნადია კალანდარაშვილი, რომ ლექსის მოთვისებაც კი დამწამა.

სათაური—„როგორ ვრცელდება თესლი"—არის სათაური ამბის, რომელიც მოთავსებულია მე-2 ჯგ. სამუშაო წიგ. „ნაკადულის" 94 გვ., რაც სარჩევშიაც არის აღნიშნული. ის მეკუთვნის მე.

დასასრულ ამბისა არის მოთავსებული პატარა ცხრილი და აგრეთვე დავალებები ბავშვებს, რაც ცხადჰყოფს იმას, რომ ამბავი დასრულებულია.

გარდა ამისა დავალებების შემდეგ მკაფიოთ არის გასმული ხაზი, რაც ამასვე ამტკიცებს. მხოლოდ შემდეგ არის მოთავსებული ლექსი ცალკე. ეს ლექსი, რასაკვირველია, ეკუთვნის მხოლოდ ნადია კალანდარაშვილის კალამს და თუ იგი სარჩევში შეტანილი არ არის—ეს არის მხოლოდ ტექნიკური შეცდომა, რაზედაც ვერ დამემდურება ლექსის ავტორი.

სხვათა შორის, ნადია კალანდარაშვილი წიგნს, რომელსაც გარკვევით აწერია „სამუშაო" წიგნი, უწოდებს „საკითხავს".

ტასო ზაალიშვილი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს. ს. რ. ქ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს ს. ს. რ. ქ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო, სახანძრო კომისიის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვ. აღმსრ.
ს. სტეფანოვი.

1928 წ. მარტის 23.
თბილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს ს. ს. რ. ქ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის შესახებ

1. საქართველოს ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისია სათათბირო ორგანოა ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გაერთიანებისა და შეთანხმების საკითხების და აგრეთვე ყველა ისეთი საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც საქართველოს ს. ს. რ-ში ხანძრისაგან დაცვის საქმეს შეეხება.

2. საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის კომპეტენციაში შედის განიხილოს და შეათანხმოს:

ა) საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმა ხანძართან ბრძოლისათვის;

ბ) სახანძრო კანონთა პროექტები და აგრეთვე პრინციპიალური ხასიათის განკარგულებანი;

გ) ადგილობრივი და უცხოეთის სახანძრო ინვენტარის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა, უწყებათა განცხადებების მიხედვით;

დ) სახანძრო-სატეხნიკო განათლების გეგმა, აგრეთვე სახანძრო სკოლებისა, კურსებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლის პროგრამები და დებულებები;

ე) საერთოდ სახანძრო საქმისა და კერძოდ ცალკე უწყების მომუშავეთა ყრილობების დებულებები და პროგრამები;

ვ) სახანძრო დაცვის სფეროში ცალკე უწყებათა მუშაობის ანგარიშები;

ზ) როგორც ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე სახანძრო ორგანიზაციებისა და ხანძრისაგან დაცვის საქმეში დაშავებულ მომუშავეთა დახმარებისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივ ძალთა და სახსართა ორგანიზაციის საკითხები;

თ) სახანძრო საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი, რაც კი განსახილველად კომისიაში იქნება შეტანილი.

3. საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიაში შედიან: შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა, ჯანმრთელობისა, განათლებისა და შრომის სახალხო კომისარიატებისა, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსი, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კონტორისა, კომუნალური მეურნეობის მომუშავეთა კავშირის ცენტრალური სამმართველოსი და თბილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, რომელთაც უწყებანი პერსონალურად დანიშნავენ.

4. უკეთუ საუწყებათაშორისო სახანძრო კომისია იხილავს სხვა ისეთი უწყების ან დაწესებულების კომპეტენციის საკითხს, რომელიც ამ კომისიაში არ შედის, საკითხის განხილვაზე აუცილებლად უნდა მიწვეულ იქნეს აღნიშნული უწყების თუ დაწესებულების წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

5. საუწყებათაშორისო კომისიაში შეიძლება მიწვეულ იქნენ სახანძრო საქმისა და მეცნიერების სპეციალისტები, მცოდნე პირნი და სხვა უწყების წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით.

6. საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის თავმჯდომარე არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

7. კომისიის დადგენილება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ, განხორციელებულ იქნება არსებული წესით.

8. უკეთუ რომელიმე უწყების წარმომადგენელი არ დაეთანხმა კომისიას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში, მას უფლება აქვს არა უგვიანეს სამი დღისა კომისიის დადგენილების გამოტანის დღიდან, წარადგინოს წერილობით თავისი განსაკუთრებული აზრი, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო უწყების ხელმძღვანელის მიერ.

9. კომისიის შინა-განრიგების წესები განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციით.

დადგენილება № 2

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ვიდრე შეცვლილ და შევსებულ იქნებოდეს საქართველოს ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულების სათანადო მუხლები, სახალხო მსაჯულთა გაწვევისათვის მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

1. სახალხო მსაჯულთა სია ცალკე სამაზრო სასამართლოსათვის და ცალკე სახალხო სასამართლოს თვითეული უბნისათვის შედგენილ იქნება წელიწადში ერთხელ, იანვრის პირველისათვის იმ ვარაუდით, რომ სამაზრო სასამართლოზე მოდიოდეს არა ნაკლებ 100 კაცისა, ხოლო სახალხო სასამართლოს თვითეულ უბანზე—ორასი კაცი. ორი თვით ადრე აღნიშნულ ვადამდე განსაკუთრებული კომისია სამაზრო ცენტრში სათანადო მსაჯულთა რიცხვს სამაზრო სასამართლოსათვის და სახალხო სასამართლოს უბანთა რიცხვის მიხედვით, განაწილებს სახელმწიფო დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა, თემთა და მაზრის ტერიტორიაზე მყოფ ჯარის ერთეულთა შორის.

შენიშვნა. სამაზრო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიაში შეიტანება ისეთი პირები, რომელნიც შეეფერებიან სასამართლოს წყობილების დებულებაში აღნიშნულ საერთო პირობებს და, გარდა ამისა, რომელთაც აქვთ სახელმწიფო, პროფესიონალურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობის ერთ წლისაზე არა ნაკლები სტაჟი.

2. განმანაწილებელ კომისიაში შედიან: თავმჯდომარედ—ადგილობრივი სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ხოლო წევრებად—სამაზრო მოსამართლე, მაზრის პროკურორი და ორი წარმომადგენელი ქ. თბილისში—საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ხოლო ადგილებზე—პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროსი. განაწილება დაახლოვებით შემდეგ ანგარიშით უნდა მოხდეს: ქ. თბილისსა, ბათომსა, ფოთსა და სოხუმში მსაჯულთა 65 პროც. უნდა იყოს მუშებისაგან, 5 პროც. სოფლელებისაგან, 15 პროც ჯარის ერთეულებიდან და 15 პროც. მოსამსახურეთაგან; მაზრაში, რომელიც წარმოადგენს საფაბრიკო-საქარხნო ცენტრს—50 პროც. მუშებისაგან, 25 პროც. სოფლელებისაგან, 15 პროც. ჯარის ერთეულებიდან და 10 პროც. მოსამსახურეთაგან, ხოლო ყველა სხვა მაზრებში 65 პროც. სოფლელებისაგან, 15 პროც. მუშებისაგან, 10 პრ. ჯარის ერთეულებიდან და 10 პროც. მოსამსახურეთაგან. განაწილების ნუსხა გადაეგზავნება სამაზრო სასამართლოს და სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს, ჯარის ერთეულს და თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

3. განაწილების ნუსხის მიღებისთანავე პროფესიონალური კავშირი და თემის აღმასრულებელი კომიტეტი, თავის მხრით, გაანაწილებს სახალხო მსაჯულთა რიცხვს, რაც მას შეხვდება, სათანადოდ ცალკე საწარმოთა, დაწესებულებათა, თემის აღმასრულებელ კომიტეტთა და სოფლის საბჭოთა შორის რომელნიც მოახდენენ სახალხო მსაჯულთა არჩევანს შემდეგი წესით:

ა) საწარმოსა და დაწესებულებაში—საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტისა და ადგილკომის მეშვეობით, რომელნიც აარჩევენ მსაჯულთ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ბ) სოფლად—სოფლის საბჭოებისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით, რომელნიც აარჩევენ მსაჯულთ სოფლელთა საერთო კრებაზე თემის ცენტრში ან სოფელში.

მსაჯულთა ამრჩევი ორგანო ამორჩეულ კანდიდატთა სიას გაუგზავნის სამაზრო კომისიას და, გარდა ამისა, სამაზრო და სათანადო სახალხო სასამართლოს—კუთვნილებისამებრ.

4. სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს ჯარის ერთეულებში, კომისიისაგან (პუნ. 1) მიღებული განაწილების ნუსხის მიხედვით, აარჩევს სამხედრო მსახურთა საერთო კრება პოლიტგანათლების ან ჯარის ერთეულის კომისრის ხელმძღვანელობით.

5. სახალხო მსაჯულთა კანდიდატების სიებს არჩევნების ხელმძღვანელი ორგანო საყოველთაო ცნობისათვის გამოჰკიდებს ფაბრიკებისა, დაწესებულებებისა, მუშათა კლუბების, თემის აღმასრულებელი კომიტეტისა (სოფლის საბჭოს), გლეხკომებისა, სამაზრო პროფესიონალური ბიუროს და სხვ. სადგომებში, ამასთანავე ყველა მშრომელს უფლება აქვს სამი დღის განმავლობაში წარუდგინოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს, ადგილკომს, თემის აღმასრულებელ კომიტეტს, პოლიტგანყოფილებას ან ჯარის ერთეულის კომისარს, კუთვნილებისამებრ, დასაბუთებული განცხადება სიაში შეტანილ ამა თუ იმ პირის ჩამოცილების შესახებ.

6. მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ორგანოები, ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ჩამოცილების განცხადებისა, ჩამოცილების საკითხს, თავის შენიშვნით, გადასაწყვეტად სამაზრო კომისიას გაუგზავნიან. უკეთუ ჩამოცილების განცხადებას კომისია სამართლიანად სცნობს, ჩამოსაცილებელი პირი სიიდან ამოშლილ იქნება.

შენიშვნა. სამაზრო კომისიის მიერ სახალხო მსაჯულთა სიიდან ამოშლილ პირს უფლება აქვს კომისიის მოქმედება სამი დღის ვადაში სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტში განასაჩივროს.

7. სახალხო მსაჯულთა კანდიდატების სიას არჩევნების ხელმძღვანელი ორგანო გაუგზავნის სამაზრო კომისიას დასამტკიცებლად და, გარდა ამისა, სამაზრო სასამართლოს და იმ უბნის სახალხო სასამართლოს, სადაც არჩევნები მოხდა. სახალხო მსაჯულთა სიის მიღებისას სამაზრო და სახალხო სასამართლო სიის დამტკიცებამდე მოიწვევენ სახალხო მსაჯულთ მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის წესისამებრ, იმ სახალხო მსაჯულთა გარდა, რომელთა წინააღმდეგ ჩამოცილება იქნა განცხადებული.

8. სამაზრო კომისია ადგილებიდან სახალხო მსაჯულთა სიების მიღებისთანავე ამოშლის ამ სიებიდან იმ პირთ, რომელნიც რაიმე მიზეზით არ შეეფერებიან სახალხო მსაჯულისათვის სავალდებულო პირობებს, და აგრეთვე იმ პირთ, რომელთა წინააღმდეგ განცხადებული ჩამოცილება დასაკმაყოფილებლად იქნება ცნობილი. ამის შემდეგ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა სიებს, იმის აღნიშვნით, რომ ეს სიები დამტკიცებულია, გაუგზავნის სათანადო სახალხო სასამართლოებს, ხოლო სამაზრო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიას გაუგზავნის დასამტკიცებლად სათანადო სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტს. ეს უკანასკნელი სამი დღის ვადაზე გაუგზავნის ამ განსაკუთრებულ სიას სამაზრო სასამართლოს, თანაც აღნიშნავს, რომ სია დამტკიცებულია. სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება სიიდან ამოშლის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

9. დანარჩენში სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სასამართლოს წყობილების დებულება და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სამაზრო სასამართლოების შესახებ.

10. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარს გამოსცეს ამა დადგენილების განსაითარებლად დაწვრილებითი ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
შ. მათიკაშვილი.

1928 წ. იანვრის 10
თბილისი—სასახლე.

პარტიული

ორშაბათს, 2 აპრილს, საღა შესდგება სახ. უნივერსიტეტის ფაკულტეტთან არსებულ კომ კომკავშირის უჯრედებთან მ ლიტწრის მეცადინეობა ამხ. ხელმძღვანელობით. დასწრება ცადინეობაზე წრის ყველა წე ვალდებულია.

სახ. უნ. სოც. ეკ. ფაკ. მესამე კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბ ბინება, რომ ორშაბათს, 2 აპრი 7 საათზე სტუდ. სამკითხველო მიმდინარე საკითხების შემსწავლ მეცადინეობა. ამ. ლ.-კ. კ. უჯრ და კანდიდატთა დასწრება სავ

სახ. უნივერსიტეტის პოლიტ კულტეტის გაერთიანებული პარ შაბათს ა.-წ. 2 აპრილს საღამო სახ. უნივერსიტეტის ლადო სუ ხელობის კლუბში იწვევს მე თომადნო და აღმშენებელთა წევრთა საერთო კრებას, რომე ნიშნულ კავშირის წევრ სტუდ ჩება აუცილებელია.

სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონ კულტეტთან არსებული პოლიტ. ვას ჯგუფი) განაახლებს მეცადი შაბათს 2 აპრილს 5 საათიდან. უნდა გამოცხადდენ წრის ყვე წევრები, შეუძლია ჩაწერა ახალ

ორშაბათს, 2 აპრილს, საღამოს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტ ციტეტო -განმანაწილებელ განყ (ოთახი № 10) შესდგება საქ. კ. ლისის კომიტეტის მიმღები კომის მიმღებ კომისიის წევრთა დას ლდებულოა დაუგვიანებლივ. ა ლებლად უნდა გამოცხადდენ ამ ები შემდეგი ამხანაგები:

ბჭოთა კალენდარი

1-ლი [illegible] რაიონი [illegible] ვითაშვილი, რობერტ იაკობისძე [illegible], პავლე სოლომონიანი [illegible] სიმონისძე წერეთლიშვილი, თედორე [illegible] რიასძე ყუბაშვილი, იაგორ ანდრიასძე თოჩიკაშვილი, იოსებ გაბრიელისძე მეცვარიშვილი, არშაკ კაზარისძე მერაბიშვილი და ბაგრატ მიხეილისძე ასათიანი.

მეორე არსენალის რაიონში. დარჩო სარქისისძე ნერსესოვი, ზაქარია ისაკისძე სიყმიაშვილი, ლიუდვიგ იოსიპისძე კიკოანცი, არკადი ნონისძე ალანოვი, ნოდარ კონსტანტინესძე ამაშუყელი, ვლადიმერ გიორგისძე შენგელია, ნიკოლოზ ლაზარესძე ლიჩელი, მიხეილ კარაპეტისძე მნაცაკანოვი, ბაბკენ ამასპისძე მანუკიანი, ცოლაკ გალუსტისძე მარუთიანი და ოლღა თომას ასული ნოვიში.

მესამე ავლაბარ- ნარიყალის რაიონში. გიორგი არტემისძე აბაშიძე, დიმიტრი დავითისძე გიგოლაშვილი, ფარნაოზ საჩინოსძე ჯანელიძე, ივანე სტეფანესძე მელიქოვი, არტემ მარტინესძე მამიკონოვი, ნატალია პროკოფის ასული კედროვსკაია, მამედ ჯუნაშუტ-ოღლი ხიდავერდოვი და ივანე დიმიტრისძე მათეევი.

მეოთხე ქალაქის რაიონში: ივანე გიორგისძე კირკაშიძე, შალვა დიმიტრისძე გზიკაძე, გარეგინ მკრტიჩისძე მალოიანი, ნიკოლოზ ლევანისძე ოგანეზოვი, ვასილი გიორგისძე ახალკაციშვილი, ილია ნიკოლოზისძე ზაუთაშვილი, ივანე ნიკოლოზისძე შარაშიძე, ივანე სტანისლავისძე დეინაროვიჩი, მიხეილ არუთინისძე სოლოვიანი, გრიგოლ სიმონისძე სოლომონიანი, კონსტანტინე პავლესძე კაჩკაკოვი, მელენტი თადეოსისძე თოფურია, ქურბან მუსტაფა ოღლი ქულიევი, ჯაბარ როსულ-ოღლი მუხტაროვი, ივლიანე დიმიტრისძე ცანავა, ვაგარშაკ სიმონისძე ვოსკანიანი, ფირდულ აბას-ოღლი ფარაჯევი, შიო ისიდორესძე ჭანტურია, ნიკოლოზ მიხეილისძე კიკნაძე და აგა-ბალა ჰეიდარ-ოღლი აგაევი.

ღრმად დამწუხრებული მეულე ური, გიორგი, პელიკა და ნ ნა, სიძე თედორე გუმბერიძე აუწყებენ ნაცნობებს მარტს გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

დესპინე ი ასული იუროშიძისა

გამოსვენება ყოფილ არამიანცის საავადმყოფოდან 3 აპრილს სადგურზე ქუთაისში სასვენებლად. (შ)

მეუღლე სტეპა. მამულოვი, მ არტემ და მაშო, ძმები: მიშა და ვალოდია, და თამარა ჟორჟოლიანისა თავი ით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 1 აპრილს, 1 საათზე სასაფლაოზე მათი ძვირფასი

ნადია არტემის ა ჯიბუტი-მამულოვისა

წლის თავის აღსანიშნა გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1960

მეუღლე თამარი გიორგის ასული შვილები ნინო, ელენე, მარინე და ქეთევანი შოშიაშვილები ღრმა მწუხარებით ნ ყოფილ მრევლს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე ავათმყოფ მდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და წყარი დეკანოზი

სოლომონ ანდ ს ძე შოშიაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საათზე 19 თებერვლის ქ. № 9, დასაფლავების დღე იქნება გამოცხადებული. 1957

დამწუხრებული დედა ელისაბედ ის ასული, ძმა ზურაბ ვასილის-ძე წერეთლები, ბიძები: ყარამან, ნიკოლოზ, პე გოლ, ვასილ და ადამ გიორგის-ძენი აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავე ცნობებს, რომ ა. წ. 1- აპრილს, კვირას 12 საათზე, გადახდილი იქნება სა პანაშვიდი (ჯორჯაძის ქ. № 2) დაუვიწყარ

გოგიტა ერეთლის

ს აღსანიშნავად. 1946 2—2

კვირას, 1 აპრილს, ნაშუადღევ ლ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი გარდაცვალებული

სამსონ ნიკოლ დათეშიძის

პანაშვიდი, რასაც აუწყებენ თა და ნაცნობთ მეუღლე პაშა და შვილი ნიკოზ დათეშიძენი. 1961

ღრმად დამწუხრებული მეუღლ შვილებით: ლავრენტი, მარუსა, გიორგი, ალექსანდრე, ნოე, თამარა, უშანგ რძალი მარიამ ბერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე [illegible] შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი [illegible]

სოლომონ [illegible] ძე ბერიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ სში, 1 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 860

გულდათუთქული მეუღლე შვილებით, ძმები: ლევანტი და ილიკო; ძმისწულები: პონტია, სანდრო ცოლით, მარა მიშა, ბიძაშვილი არჩილა მაჩაიძეები, სიძე ათანა ნეფარიძე მეუღლით და სიდ, სიძე ანტონ სირაძე ცოლით, ცოლის ძმა არჩილ ქურციკაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ 28 მარტს, საღამოს 9 საათზე უეცრად გარდა მათთვის დაუვიწყარი

ნესტორ სიმონის ძე მაჩაიძე

გამოსვენება კვირას, 1 აპრილს 2 საათზე ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან. ვა კუკიის სასაფლაოზე. 1963

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 1 აპრილს, მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის პრემიერების
ვ. ვ. ბარსოვას და დ. დ. გოლოვინის
უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი **სევილიელი დალაქი**
წარმოდგენის დაწყების წინ დ. დ. გოლოვინი შეასრულებს პროლოგს ოპერა ჯამბაზებიდან.
ანონსი: სამშაბათს, 3 აპრილს, ლ. ი. ლიპკოვსკაიას პირველი გასტროლი - ტრავიატა.
ნ. 861

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

მსოფლიო ფილმი **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**
ორშაბათიდან აპოლოში და არფასტოში მეორე კვირა **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**
სოლეიში **განკიცხულნი** ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით
ტყის ნადირი ორშაბათიდან **დრამა ცირკში**
„მეორე ცოლი". ორშაბათიდან „მუდამ უცხონი"
„[illegible] მხედარი" ჰარი პილის მონაწილეობით 1 და 2 სერია
ანონსი: მალე რევოლიუციონური ფილმი „ოქტომბერი" 0—26

კინო-სოლეი
ხვალ ორშაბათიდან 2 აპრილიდან
მხატვრული შედევრი
„განკიცხულნი"
ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით
1 და 2 სერია
ნ. 863

ქ. ფოთსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ
კონტრაგენტ
მგალობლიშვილთან
4—1 „კომუნისტი" მთავარი კანტორა

ზუგდიდის ურთიერთ ნდობის საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია,
ამით აცნობებს წევრების და კლიენტების საყურადღებოდ, რომ 24 მარტის ა. წ. საერთო კრების დადგენილებით ხსენებული საზოგადოების ლიკვიდაციის [illegible] არჩეული კომისიები.
ნ. 866 კომისიის თ—რე ს. შელია.

არტილერიო ლეგიონი
ამ ხუთშაბათს 5 აპრილს, 12 საათზე
საჯარო ვაჭრობით
ალოზე გაიყიდება სხვა და სხვა.
სხვა ძველი ნივთები
1949

საქართველოს ს. ს. რ. სახკინმრეწვის
ფოტო--კინო--მაღაზია
თბილისი, რუსთაველის გამზ., № 11, ტელ. № 25—39, განყ. ბათომი, მესამე ინტერნაციონალის ქ., № 12.
უახლოეს დღეებში
დაიწყება **ფოტო-ღია ბარათების** გაყიდვა: „ეიკ", „ზამ ახი", „გევერტ" დ „აგრომლნი"
ყველა ზედაპირების ფასი **11 მან. 75 კაპ.**
ფოტო-ქაღალდი „გულმინო"
და „გევერტ" ყველა ზედაპირების და სიდიდის
ფასი **2 მან. 35 კაპ.** 50/60 ფურცელი
ნ. 858

მინოგრაფია
СТЕКЛОГРАФИЯ
სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ
ამით ცხადდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით (№ კ 47001, 7 მარტს 1928 წ.) ვამზადებ მინოგრაფიისთვის საჭირო მაღალი ხარისხის **რეაქტივებს** რომლებიც დაეთმობათ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მინოგრაფებს ოფიციალურ მოთხოვნის წარმოდგენისათანავე
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. რძისა და კეფირის ლაბორატორიაში. 25—1

საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო
მომავალ საზაფხულო სეზონისათვის კურორტებზე იწვევს **ექიმებს.** ცნობები თანამდებობაზე და სამსახურის პირობებზე გაიცემა სამმართველოში (ძმელაძის ქუჩა № 30) განცხადებები მიიღება აპრილის 20-დე.
ნ. 865 კურორტთა მთ. სამმართველო.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩის კუთხე. 25—1

ავტო ტრანსპორტის ხელახალი აღრიცხვა
ავტო-მოტო-მანქანების წლიურ ხელახალ აღრიცხვასთან დაკავშირებით ყველა დაწესებულებებს წარმოებებს და კერძო პირებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ევალებათ
ხელახლა გაატარონ რეგისტრაციაში
მათ განკარგულებაში მყოფი ავტო-ტრანსპორტი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-ინსპექციაში. (მაჩაბლის ქ., № 8) ა. წ. 10 აპრილამდე.
აღრიცხულ უნდა იქნეს მომუშავე, არამომუშავე და საწყობებში შენახული ავტო-მანქანები.
ის პირნი, რომლებიც ამას არ შეასრულებენ, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება № 55-ის დარღვევისათვის.
სამმართველოს უფროსის მოადგილე
ინჟენერი ჩიკვაიძე.
ნ. 859 2—1. ავტოინსპექტორი ცაგარელი.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კოლანოვის ქ., № 20 25—4

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელიბაქიძის დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 25—0

ქუთაისში
ექ. დ. ჩეჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ჭავჭავაძის ქ. № 4 ცეცხლის ჩქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებისა. მიღება დილის 8—12 საათ. 13—

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 4 აპრილს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 20 (სახკვების კავშირის 1-ლ ადკომში) ბაზრის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. შარომაშვილის მოძრავ ქონებას: როიალს № 1855 ფირმა „ირარდ", სკამებს, ჭურჭელს და სასადილოს სხვადასხვა ჭურჭლეულობას შეფასებულს 497 მანეთად, ცაგარეიშვილის და ჩიხიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 მარტს 1928 წ. თარიღით, № 877 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 862

საქართველოს ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის 1928 წლის 21 მარტის დადგენილებით, მიმდინარეობს ამჟამად
ს. მ. უ. ს. ტრესტების დასავლეთ საქართველოს სავაჭრო კანტორის
ლიკვიდაცია
ყველა დაწესებულებებმა და პირებმა, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ქონდათ აღნიშნულ კანტორასთან, უნდა წარუდგინონ თავისი პრეტენზიები
კანტორის სალიკვიდაციო კომისიას
ქ. ქუთაისში, წულუკიძის ქუჩაზე, ქუთვაჭრობის სადგომში, 1928 წლის 20 აპრილამდე.
აღნიშნული ვადის შემდეგ პრეტენზიები აღარ განიხილება.
1954 სალიკვიდაციო კომისია.

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ბ. ერისთავი
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის მიერ 7 აპრილს ა. წ. დღის 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება ქალ. ხონში მოქ. ერმილე ნესტორის-ძე მუშკუდიანის საცხოვრებელი აგურის სახლი ხუთი განყოფილებით, კრამიტით დახურული, წინ აივნით, ზევით და ქვევით ქერით და იატაკით, აგებული ნაკვეთ მიწაზე, ზომით დაახლოვებით ორასი კვად. საჟ. საზღვრებია შორის: აღმ. [illegible] ქუჩა, დასავლეთით გაბრიელ წოწონავას ობლების ეზო, ჩრდილ. და სამხრ. სევერიანე და დიმიტრი ტაბიძეების ეზო, აღნიშნული ქონება შეფასებულია 400 მან. და იყიდება მოქ. თედორე ბალავაძის და გიორგი ურეხელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ხონის უბნის სახალხო სასამართლოისა 24 დეკემბრის 1927 წ. № 3489, ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დროს. აგრეთვე უნდა წარმოადგინოს 10% საწინდარი. 1962

ა. ფელია
სიფილისური და ლება
პლეხანოვის 116. სასტუმრო „ნ მიღება დილის 9 —8 ნახ. საათ
ტელ. 12—76 25—1

ტორი
ბჟდოევი
ვენ. ავადმყოფობანი სხა.
დილ. 6—8 საა
სპექტი № 7.
შესა ნარიყალის ქ.
25—11

რტელი
ესპ. № 10
სპეციალობს სა (სქესობრივი) ვენერიული სი (ტრიპერ, სიფილისს, ნისა და ქი ელექტრო- თერაპიები. დილ. 8 ს. დილის საათ.—საღ. 7 ღება ცალკე. და საღამოს
13—7 ნ. ზ.

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

დაკარგა: პირ. მოწმ. თეკლათის თემ-აღმასკ. გაცემული № 24 ირინე სელიბის ასულ ჭანტურიას სახელზე, ჩ. გ. 1956

დაკარგა: ვინაობის წიგნაკი № 422 გაცემული სხვავის თემ-აღმასკომის მიერ პანტელეიმონ არჩუაძის სახელზე, ჩ. გ. 1959

დაკარგე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 10540 გაცემული გორის მაზრკავშირის მიერ ვლადიმერ მერკვილიშვილის სახელზე, პირ. 1955

პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა, კამოს ქ. № 65